1958/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2

1958

საქართველო

ლიტერატურული-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

ალაზანი

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის აჭარის განყოფილების
ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7600

2

1958

მარტი
აპრილი

შინაარსი

შ. როუსა — ლენინი (ლექსი) 3
მ. გოგგილაძე — პირველი სიყვარული (მოთხრობა) 5
ჯ. ჯაყელი — სათოფურები, ჩანჩქერი (ლექსები) 21
თ. გოგოლაძე — მე და ჩემი მეზობელი (მოთხრობა) 23
ლ. გელაძე — გვიფერხეო, ზიშვილი ფესვი (ლექსები) 27
ხ. ფლენტი — პორტრეტი (მოთხრობა) . . 29
პ. აბრამია — მეგობრებს (ლექსები) . . 36
ი. მელია — ზაქარია ჭიჭინაძე, ბედნიერება (ლექსები) 37
ა. ტაბაცისი — დაძლეული თავმოყვარეობა (მოთხრობა) თარგმნეს რ. და ელ. ბეროძეებმა 39
რ. ართილაუსა — ვენაცვალე (ლექსი) . 49
ო. ქემალი — პატარები და დიდები, ნახევარი ბლითი (მოთხრობები) თარგმნა ნ. ჩიჯავაძემ 50
ზ. გოგგილაძე — სომეხ მეგობარს (ლექსი) 55
ვ. სეიდიშვილი — სარაჯიშვილის სიმღერა (ლექსი) 56
სტენდალი — მოცარტის რექვიემი (მოთხრობა) თარგმნა ირ. არეშიძემ . . 57
თ. რამიშვილი — მხოლოდ ერთი მარცვალი ვარ (ლექსი) 59
აკ. ჩხაიძე — სამშობლოს გზაზე (ლექსი) . 60
ა. დოდე — ბორანი (მოთხრობა) თარგმნა კ. ჯაშმა 61

ბ. ბ. ... ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეები და ადამიანები

ს. ხელაძე—საზღვარი ჩაკეტილია . . . 63

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

დ. ჩავლეშვილი—ვ. ი. ლენინი და ლიტერატურა 67
მ. ნადირაძე—აჭარაში მომუშავე პოეტები და ხალხური შემოქმედება . 70

ქართული კულტურის დიდი ზეიმი

ფრ. ხალვაში—იმ დღეებს ვინ დაივიწყებს! 75
ი. კობალაძე—წარუშლელი შთაბეჭდილებანი 77
შ. ხოლუაშვილი—ათი დღე მოსკოვში . 79
ი. ხალვაში—დიდი ყოფა წარმატება . . 79

ლიტერატურული კალენდარი

ვ. ჭანიშვილი—ანთებული გული . . . 80

მწერლის არქივიდან

პ. იაშვილი—დაცემულ ბათომს, ეთიმ გურჯს (ლექსები) 83

მოგონებანი

მ. ხინიკაძე—რეჟისორი, მასწავლებელი, მეგობარი 85

წიგნის თარო

ძ. შავგულიძე—რომანი პარტიული ხელმძღვანელობის სტილის შესახებ 91
ჯ. ჩხეიძე—სახელმწიფო მუზეუმის შრომების მეორე ტომი 93
გ. ურუშაძე—პატრიოტული ლექსები . 94

რედაქტორი შოთა ქურიძე
სარედაქციო კოლეგია:
ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, გ. სალუქვაძე (პ/მგ მდივანი), ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გორკის ქ. № 1, ტელ. № 6-20
ნომერი გააფორმა თ. სამსონაძემ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა რუსვა

ლ ე ნ ი ნ ი

მახსოვს,
როდესაც ვიყავი ბავშვი,
პირველკლასელი,
ხელჩანთიანი,
ბაბუა ხშირად მეტყოდა მაშინ:
„შვილო, ლენინმა
გაგვითენა დილა მზიანი.
ლენინი იყო ბავშვების ძია,
რევოლუციის მწედ მოვლენილი“...
მე არ მესმოდა „რევოლუცია“,
არც „ბელადი“
და ვერ გავიგე ვინ იყო ლენინი.

სურათი ვნახე —
ლენინს ბავშვი დაესვა მუხლზე,
იღიმებოდა ნათელ თვალებით,
მაშინ ვთქვი: იგი ყოფილა თურმე,
უბრალო, როგორც ჩემი ბაბუა,
კაცი კეთილი და საყვარელი.

შემდეგ რომ გავიდნენ დღეები ღიმილში,
შევიტკბეთ,
გავიგეთ დიადი დღენი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულს დამრჩა მარად
ეს სიტყვები
სინათლის მფენი:
— გახსოვდეთ,
გიყვარდეთ,
ისწავლეთ
ილიჩი,
მასწავლებელი და მამა ჩვენი!

ახლა კარგად მესმის —
ვინ იყო,
ვინც არი,
დიადი, ჩვენს წინ რომ
დგას მაღალმთებურად,
ილიჩი ჩვენ გვახსოვს,
გვიყვარს
და ვისწავლეთ,
ვაშენებთ ქვეყანას
ილიჩისებურად.

მიხეილ გორგიჩაძე

პირველი სიყვარული

— გელა, ჰაუ, გელაა!

მაღლობზე ქალიშვილი იდგა. ვაჟმა ყანას თავი ანება, ეზოში გავიდა:

— მეძახდი, გულნარა?

— ბიძაჩემს სტუმრები ჰყავს, გთხოვა გვეწვიო.

— იალაღიდან ახლახან ჩამოვედი...

— მიზეზებს თავი დაანებე, უნდა ამოხვიდე! — უთხრა ქალიშვილმა, შეტრიალდა და ხეხილის ბაღს მიეფარა.

ვაჟი გაოგნებული დარჩა. მას ვერ გამოეცნო იმ გრძნობის თავისებურება, რომელიც გულნარასთან აკავშირებდა... როცა ისინი ერთად არიან, რატომ ვერ ახერხებს თავის თავს ეკუთვნოდეს? რატომ უძნელდება წინააღმდეგობა გაუწიოს გულნარას უცნაურ სურვილებს?

ტანსაცმელი გამოიცვალა.

სოფლის ბილიკით აუჩქარებლად მიმავალს თვალწინ წარმოუდგა განვლილი ამბები.

პატარა გულნარა ბიძამ ომის დროს სოფელში ჩამოიყვანა. მამა ოფიცერი იყო, ბრძოლაში დაეღუპა, დედაც ადრე გარდაეცვალა. გულნარა სხვაზე მეტად პატარა გელას შეეჩვია. ერთად თამაშობდნენ, დადიოდნენ მდინარის პირას, ტყეში, აგროვებდნენ ფერად ქვებსა და სოკოებს, ერთად იზრდებოდნენ.

შვიდი წლის გელა სკოლაში მიაბარეს. გულნარაც თან გაჰყვა და მის გვერდით მერხზე დაჯდა. „მე ექვსი წლის ვარ, კი ვისწავლი“, — არწმუნებდა მასწავლებლებს. უფროსები ნებას დაჰყვნენ. გულნარას გელასთან ერთად მონდომებით გამოჰყავდა ასოები. დათვლისას, როცა თავისი თითები არ ყოფნიდა, გელას თითებს იშველიებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულნარას ერთი ბიძა კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, მეორე მეცნიერი მუშაკი. ისინი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რათა დაკარგული ძმის ერთადერთ შვილს მზრუნველობა არ მოკლებოდა.

თბილისელმა ბიძამ გულნარას რადიომიმღები აჩუქა. ახალგაზრდები ხშირად ისმენდნენ გადმოცემებს, სწავლობდნენ ახალ სიმღერებს, ცდილობდნენ გიტარაზეც ემღერათ.

მუსიკა განსაკუთრებით გელას იტაცებდა.

გელა წამოიზარდა და დედას მხარში ამოუდგა. ყოველ ზაფხულს, არდადეგების დროს, ნახირში მორიგე მწყემსად მუშაობდა. გულნარა არ ივიწყებდა მეგობარს. მასთან მთაში ადიოდა და ახალი წიგნები აჰქონდა.

* * *

გელა და გულნარა მხარიმხარ ისხდნენ, სტუმრებს სიმღერებით ართობდნენ.

კარები მოულოდნელად გაიღო. ოთახში მაღალი, გამხდარი, მხრებში მოხრილი მამაკაცი შემოვიდა. ხელში ფეტრის შლაპა ეჭირა, თავის დაკვრით მიესალმა ყველას. მამაკაცს შემოჰყვა შუახნის ქალი, რომელსაც ლურჯი ატლასის კაბა ეცვა.

გულნარა მარდად წამოიჭრა ადგილიდან და შემოსულთ ყელზე მოეხვია.

გელამ იცნო გულნარას თბილისელი ბიძა და ბიცოლა — ირაკლი და ასმათ გათენაძეები. მათ მძიმე ნაბიჯით შემოჰყვა კარგად ჩაცმული ლამაზი ვაჟი.

— ჩემი დისშვილია, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი გურამ დავითაძე, — გააცნო ვაჟი ასმათმა.

სტუმრები სუფრასთან მიიწვიეს.

ასმათი და გურამი ლხინში მონაწილეობას არ იღებდნენ. ფარულად ჩურჩულებდნენ. გელა მიხვდა, რომ ისინი გულნარაზე ლაპარაკობდნენ. გურამი ცდილობდა ქალიშვილის გამოხედვა დაეჭირა, მისი ყურადღება მიეპყრო.

ასმათმა გულნარა თავისთან მიიპატიჟა.

— მე და გელა აქედან გიმღერებთ, ბიცოლა, — სთხოვა გულნარამ.

ახალგაზრდებს გიტარები მიართვეს.

მუსიკის საამო ბგერები ოთახს თანდათან დაეუფლა. გელას თბილ ხავერდოვან ხმას გულნარას ტკბილი კრინი შეუერთდა.

ღვინით შეზარხოშებული გურამი თვალს ვერ აშორებდა ბულბულივით აჭიკჭიკებულ გულნარას, მის მაღალ, თოვლივით თეთრ ყელს, ოდნავ ამობურცულ ტუჩებს, მოციმციმე თვალებს, სიცოცხლით სავსე მკერდს. „ყურადღებას არ მაქცევს, თითქოს არც ვარსებობდე, თავისი ტკბილი ხმით მოუჯადოებია გელას“, — ფიქრობდა გურამი.

საღამოს გულნარა ესტუმრა გელას.

— გელა, იცი რა? — გაუბედავად დაიწყო ქალიშვილმა. — სწავლის გასაგრძელებლად თბილისში გადავდივარ.

მძიმე დუმილი ხანგრძლივი აღმოჩნდა.

— ეგ შენი სურვილია, თუ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, გელა, — შეაწყვეტინა გულნარამ. — მე აქაც კარგად ვგრძნობ თავს, მაგრამ ბიცოლამ მირჩია. ქალაქს შეეჩვევი, ხალხს გაეცნობ, ჩემ-სათვის იქ უკეთეს პირობებს შეგიქმნითო. ესეც არ იყოს, ბიძაჩემი სექტებ-რიდან სუხუმის ინსტიტუტში გადადის სამუშაოდ, ბიცოლაჩემი კი მარტო რჩება. ხომ იცი, მათ შვილი არა ჰყავთ.

— ჰო, ისინი მართალი არიან, შენთვის ასე ჯობს, წადი, მხოლოდ... „ნუ დამივიწყებო“ — უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა.

— ჩვენ ხვალ დილით მივემგზავრებით. შენ ხომ მოხვალ ჩვენს გასაცილებლად? — გულნარა ოთახში შევიდა, გიტარა გამოიტანა...

— იმღერე, გელა. მინდა, რომ ეს გამოსათხოვარი საღამო იყოს, შენი ხმა ჩემს მეხსიერებაში წარუშლელად აღიბეჭდოს...

„მიდის ის, ვისაც ყველაზე უკეთ ესმოდა შენი; ო, რამდენი რამ გქონდა სათქმელი, შენ კი დუმდი. სთხოვე შეჩერდეს, მოგისმინოს, იქნებ დაბრუნდეს. იალაღების ვარდ-ყვავილნარი დაისუსხება, როცა მას სითბო მოაკლდება, ის ხომ მზე არის შენი გულისა...“

დამიბრუნდი,

თორემ გული გაცივდა,

შენს ლოდინში

ბევრი ცრემლი დამცვივდა...

თრთოდა სიმი, სევდიანი მელოდია უფრო და უფრო იპყრობდა გელას. სიყვარულის აღსარებას მომხიბვლელს ხდიდა მომღერლის ტკბილი ხმის უჩვეულოდ მგრძნობიარე ქვითინი.

„ალბათ, უკვე გასცილდა ორღობეს, აღმართი განვლო, წავიდა, წავიდა“. მისამღერი დამთავრდა. უსიტყვო კრინი მკერდის სიღრმეში თანდათან შთაინთქა.

— გელა, ნუთუ ეს შენ იყავი? — გულნარა ფრთხილად შეეხმიანა ვაჟს. — გამაგებინე რამ გამოგცვალა? იქნებ განშორების მოახლოებამ ასე იმოქმედა შენზე?

გულნარამ კიბე ჩაირბინა და წყვდიადში მიიმალა.

1.

— ჩემო გოგონა, შენ აქ იცხოვრებ, — გულნარა ასმათმა პატარა, მყუდრო ოთახში შეიყვანა.

ღია ფანჯრიდან გულნარამ ქუჩას გადახედა. მის ორივე მხარეს ხალხი უსასრულოდ მიედინებოდა. ვაჟები ქალიშვილებს ხელკავით დაატარებდნენ. დღეიდან გულნარაც უშფოთველად შეხვდება ქალაქის ამ ჩვეულებას.

გულნარამ თვალის ერთი გადავლებით შენიშნა, რომ ახალგაზრდებს ისეთი ძვირფასი და უნაკლოდ შეკერილი ტანსაცმელი ეცვათ, რომლის მსგავსი მას ოცნებითაც ვერ წარმოედგინა.

— ირაკლი, ჩვენს ქალიშვილს სათეატრო კაბა არა აქვს, — სადილის შემდეგ შეახსენა ასმათმა მეუღლეს.

— გულნარას ყველაფერი ექნება! — მეცნიერმა კაბინეტიდან ფული გამოიტანა და მაგიდაზე დააწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასმათი მაშინვე წავიდა და მალე მხიარული, კმაყოფილი დაბრუნდა, შეხვეული ფუთა გახსნა, გულნარას ნაირნაირი საკაბე გაუწოდა.

სამი დღის შემდეგ კაბები მზად იყო. გულნარა სარკის წინ ტრიალებდა და ახალ ტანსაცმელს თვალს ვერ აშორებდა, თვითონ უკვირდა, როგორ ერთბაშად გამოიცვალა.

— ოჰ, რა მშვენიერია! — ასმათმა ხელები მკერდზე სიამოვნებით დაიკრიფა.

გულნარამ თავი დახარა, უხერხულობით გამოწვეული სიწითლე ღაწვებზე მოედო.

— ბიცოლა, ეს კაბები მოსწავლეს არ შეეფერება.

— რას ამბობ, ჩემო გოგონა, შენ უკვე ჩვიდმეტი წლის ქალი ხარ, სიმდიდრე არ გაკლია და მშვენიერება.

— ამხანაგები და მასწავლებლები ამითვალისწუნებენ.

— სკოლაში მოსწავლის ფორმით ივლი, ასეთ კაბებს თეატრებსა და წვეულებებზე ჩაიცვამ. მაშ როგორ, საქმროს ოჯახში ბანტით ხომ არ მიგიყვან?

„საქმროს ოჯახშიო?“ გულნარას გულზე მოხვდა ეს ორი სიტყვა, თუმცა მოისმინა ის, რასაც მოელოდა. განა ვერ ამჩნევდა, რომ გურამის განსაკუთრებული ყურადღება უმიზნო არ იყო?

დღის ბოლოს გურამი მოვიდა.

— ფილარმონიის საზაფხულო თეატრში მივდივართ, მოსკოვის ოპერეტის მსახიობთა კონცერტია.

სანამ ქალები ეწყობოდნენ, გურამი როიალით ერთობოდა.

— ჰა, გურამ, რას იტყვი, მოგწონს? — ირაკლის მეუღლემ ვაჟს ახალ კაბაში გამოწყობილი გულნარა წარუდგინა.

გურამი შემოტრიალდა. მის წინ მშვენიერი ქალიშვილი იდგა. ჭაბუკის არსებაში დამათრობელი სიცოცხლე ზეიმობდა.

— დეიდაჩემო, თქვენ მართალი ხართ, დიდებულ სიურპრიზს მიმზადებთ! — გურამი ასმათს აღტაცებით გადაეხვია.

გადიოდა დღეები. გულნარას იტაცებდა „თბილისის ზღვა“, ბოტანიკური ბაღი, ჩამოსულ მსახიობთა კონცერტები, კინოთეატრები.

მარტოობის დროს გულნარა უცნაურ ფიქრებს თავს ვერ აღწევდა. უმოკლეს დროში მის სულში, მის გონებაში დიდი ცვლილებები მოხდა, თითქოს აქამდე ქვეყნიერებისაგან მოწყვეტით ცხოვრობდა, ვერაფერს ხედავდა. ახლა? რამდენიმე კვირა საკმარისი გახდა სხვა გულნარად გარდაქმნილიყო. ქუჩაში ყურადღებას აქცევენ, სიარულის დროს აღარავის ეჯახება, თავი ამაყად უჭირავს, სეირნობისას გურამს შეწყობილი ნაბიჯით მიყვება. ნუთუ მერყეობა დაიწყო, ადრინდელი ყველაფერი უარყო? აკი გელას აღუთქვა — არ დაგივიწყებო? არა, არ დავიწყნია, მშობლიურ სოფელსა და ბავშვობისდროინდელ მეგობარს — გელას მის არსებაში დიდი ადგილი უჭირავს, მაგრამ განა უფლება აქვს ბიცოლისა და გურამის მიმართ გულგრილობა გამოიჩინოს? რა თქმა უნდა, არა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

ბარათი, ერთი პატარა ბარათი შეცვლიდა გელას ფიქრთა დინებას. რამ იგი არსად ჩანდა.

რამდენი ხანი გავიდა განშორებიდან?

შემოდგომა მოახლოვდა. მერცხლებმა სამხრეთს მიაშურეს. ნახირი შორეული მთებიდან ჩამორეკეს. სტუდენტები ქალაქში წავიდნენ. სკოლის ზარი აწკრიალდა, მოსწავლეები მერხებს დაუბრუნდნენ.

არ ჩანს მხოლოდ გულნარას ბარათი.

ნუთუ მართლა დაივიწყა სოფელი?

ახალმა წრემ, ახალმა ადამიანებმა დაძლია?

ისინი მანძილმა კი არ გათიშა, არამედ ვიღაც ქალაქელმა გურამმა და ასმათმა, რომლებიც გამოჩენისთანავე ეკლის ღობის მსგავსად გადაიხლართნენ გულნარასა და გელას შორის.

კვირას გელა ნახირის სადგომის შეკეთებაზე დაეხმარა მწყემსებს.

— მოწყენილობას გატყობ, გელა! რა სევდას დაუძლევიხარ, გული გამიხსენ, შვილო, — გამოელაპარაკა მწყემსთა ბრიგადირი, ვეფხვივით კუნთმაგარი მამაკაცი.

— ეს ისე, ძია მიხა, ოცნებამ გამიტაცა.

— ეჰ, ნეტა შენს ასაკში ვიყო, წინ რა დამიდგება!..

გელამ ქვემოდან ახედა. ძია მიხას კუპრივით შავ, დიდრონ თვალებში ეშობლიური სითბო ენთო. იგი მუდამ ასე გამამხნევებლად ესაუბრებოდა.

სახლში დაბრუნებულს დედამ ახარა:

— თბილისიდან წერილი მოვიდა, შვილო.

გელამ ბარათი აჩქარებით ჩამოართვა და მაშინვე გადაიკითხა. ვაჟს შუბლი გაეხსნა, სახე გაებადრა.

„გულნარა კარგად ყოფილა, შეჩვევია თბილისს, ახალ ამხანაგებს, კარგი სწავლით თავიდანვე დაუმსახურებია მათი ყურადღება. იმ დიდ ქალაქში ბევრი რამ ყოფილა საყურადღებო. ნეტავ მეც იქ ვიყო“, — ფიქრობდა გელა.

გაიფანტა ეჭვი, უნდობლობა, ბურუსი. მგრძნობიარე დედამ შვილის სახეზე ამოიკითხა წერილის მთელი შინაარსი.

რამდენიმე დღის შემდეგ გელამ თბილისიდან ამანათი მიიღო. ყუთში სახელმძღვანელოები და ახალგამოცემული რომანები ეწყო. ყველა წიგნის პირველ გვერდზე გულნარა ადრესატის შემდეგ ინიციალებით აწერდა ხელს.

გელა დარწმუნებული იყო, რომ ამ წიგნებით ბევრად გაუადვილდებოდა სწავლა, რადგან ისინი გულნარამ მიუძღვნა.

3.

ნოემბრის მეორე შაბათი იდგა.

გულნარას ოთახში ასმათი შევიდა.

— ხვალ გურამის დედის დაბადების დღეა. როგორც გავიგე, სადედამთილო ნიშნობასაც გიმზადებს. ადექი, გულნარა, საჩუქრებისათვის წავიდეთ.

გულნარა უმალვე ფიქრმა გაიტაცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ დავითაძე! გელა სურმანიძე! ამ ორი ვაჟის არჩევანს სთავაზობენ.

გურამი ფაკულტეტის საუკეთესო სტუდენტია, ცოტათი ქედმაღალი, მაგრამ გულნარა შეძლებს მასში აღმოფხვრას ეს ნაკლი. ოჯახი კარგი აქვს, მამა პატივსაცემი მუშაკია. არა, გულნარა გურამის უმადური არ არის, მაგრამ... გელა?! მისი დავიწყება შეუძლებელია. ის მუდამ მგრძნობიარე იყო, მუდამ წინასწარ და უსიტყვოდ შეეძლო გულნარას სურვილების გამოცნობა. თუმცა გურამი უფრო ახლოს იცნობს საქმიან ადამიანებს, უფრო მაღლა დგას. მაგრამ გელას მაინც ვერ ჩრდილავს. მასში ბევრი რამ მოჩვენებითი და ხელოვნურია, გელა კი ხალასი და სუფთაა. მთავარი კითხვა მაინც ამოუხსნელი დარჩა. ნუთუ გელას ადგილს გურამი ვერ დაიჭერს? ნუთუ გურამის შეყვარებას ვერ შეძლებს?

ოთახში ასმათი შემოვიდა.

— არ ჩაგიცვამს?

— მე ვერ წამოვალ, ბიცოლა.

— ნუთუ გონება ისე გამოგეფიტა, რომ მოახლეობულ ბედნიერებას ვერ ამჩნევ? იყავი კეთილგონიერი, დააფასე პატივისცემა, თორემ, — საჩვენებელი თითი მრისხანედ აღმართა და ხმას ტლანქად აუწია, — ავტომანქანა, რომელმაც თბილისში ჩამოგიყვანა, უკანვე მიგაბრძანებს... დაფიქრდი, თუ ხვალ მათ არ ეწვევი, იცოდე, ყველაფერს დაჰკარგავ!

ასმათის წასვლის შემდეგ სახლში სიჩუმე ჩამოწვა.

„თუ ხვალ მათ არ ეწვევი...“ — მოიგონა ასმათის მუქარა. ნუთუ კარს გამომიკეტავენ? არა, ჯერ არ მინდა თბილისიდან წასვლა. აქ ცხოვრება თავისი მღელვარე ტალღებით იმდენად მიმზიდველია, რომ მთელი არსებით მიტაცებს. დავრჩე და მათი განზრახვა შევასრულო? მაგრამ სოფელი? გელა? უკანასკნელი „დამიბრუნდი?“

— მე ხვალ არ წავალ მათთან. — მთრთოლვარე ტუჩებით წაიჩურჩულა, ოცნებით გელას გამოელაპარაკა, ვიწრო ბილიკით ხელიხელჩაკიდებული გვერდით მიჰყვა.

ასეთი გატაცება ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. გულნარა დღეობაზე ეწვია დავითაძეებს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ნიშნობის მსგავსი რამ არ მოხდებოდა.

„ვნახოთ, მომავალი რას გვეტყვის, ვნახოთ, გული რომელს უფრო შეეთვისება“, — თავის თავს ეთათბირებოდა გულნარა.

4.

გულნარას ბარათების მიუხედავად, გელა სრულ სიმშვიდეს მაინც ვერ გრძნობდა. დარწმუნებული იყო, რომ გურამი მეტოქეობას უწევდა. რატომღაც ბარათებში გულნარამ ერთხელაც არ ახსენა. დუმილი მით უფრო აღიზიანებდა გელას.

ზაფხული შორს იყო.

მხოლოდ ზამთარი იწურებოდა.

სკოლიდან დაბრუნებისთანავე გელამ გულნარას ბარათი მიიღო.

„...მუსიკის მასწავლებელს შენს შესახებ ველაპარაკე. მითხრა — ჩამოვიდეს, პროფესორთან მე მივიყვან და ხმას გავასინჯებო. მე ხშირად ვიარ კონსერვატორიაში. გავიცანი რამდენიმე სტუდენტი და ოპერის მსახიობი. ძალერა, რომ შენ მათ აჯობებ. ჩემი აზრით, შენ მომღერალი უნდა გამოხვიდე. ზამთრის არდადეგებზე ვერ ჩამოვედი, დიდი თოვლი იყო. როცა შემთხვევა მოგეცემა, შენ თვითონ ჩამოდი. აქ ბევრი რამ არის შენთვის საჭირო და საყურადღებო...“

გულნარას ბიძაშვილმა გელას უთხრა, რომ ბიცოლა ასმათი იბარებდა.

გელა დაბნეული იდგა შუა ოთახში, გულნარას წერილი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა, ვერ მიმხვდარიყო, ირაკლის მეუღლე რისთვის იბარებდა, რა საქმე უნდა ჰქონოდა, სიხარული ჩამოიტანა თუ...

წერილი ჯიბეში ჩაიდო, ქურქი მოიხურა და ბავშვს გაჰყვა.

ასმათი ცივად შეხვდა, სკამიდან არც წამომდგარა. გელამ იგრძნო, რომ არასასიამოვნო ამბავი მოელოდა.

— დღეიდან, — პირდაპირ დაიწყო ასმათმა, — შენი და გულნარას ბავშვური გატაცება დამთავრებულად უნდა ჩათვალო, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, შენთვის სხვა გულნარა, სხვა სიხარული არ არსებობდეს. მე ბიცოლა ვარ გულნარასი, — ხმას აუწია ასმათმა, — და. მსურს იგი ყოველმხრივ ბედნიერი იყოს. შენ მას ვერ მისცემ იმას, რასაც ჩვენგან წასვლის შემთხვევაში დაჰკარგავს. მე არ მინდა სიძე, რომელსაც მათხოვრის მსგავსად ხელი მუდამ ჩემი ოჯახისაკენ ექნება გამოწვდილი. თქვენ არა ხართ ერთმანეთისათვის დაბადებული. ამაში გულნარაც დარწმუნდა. მან უკვე გადაწყვიტა არჩევანი. აი სასიძო, — ასმათმა რამდენიმე ფოტოსურათი გაუწოდა: გურამი და გულნარა ავტომანქანასთან ერთად დგანან, რომელიღაც ბაღში განიერ კიბეზე ერთად ადიან, ტბაზე ნავით სეირნობენ...

გელა მაშინალურად ათვალიერებდა სურათებს, უკიდურესი დაძაბულობით იკავებდა მღელვარებას, ღალატით გამოწვეულ მძულვარებას.

— გულნარამ წერილებიც დაგიბრუნა, მისთვის საჭირო აღარ არის. — ასმათმა ბარათებიც მიაწოდა.

„უკანასკნელი ბარათი? რატომ ეპატიჟება თბილისში, თუ კი მასთან ურთიერთობას წყვეტს? ეს რა ახირებული თამაშია, ხომ არ ცდიან გელას?“

სურმანიძე მძიმედ წამოდგა და კარებისაკენ უსიტყვოდ გაემართა.

გელამ გადაწყვიტა, ვიდრე ასმათი სოფელში იყო, თბილისში ჩასულიყო და გულნარა ენახა.

თბილისში ახლადჩასულ გელას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ძარღვებში სისხლი გაჰყინოდა, კუნთები სტკიოდა, ყელი ეწოდა. ტაქსი დაიქირავა. ავტომანქანაში ცოტათი შეთბა, დამშვიდდა, შემდეგ შოფერს იმ ქუჩაზე გააჩერებინა, სადაც გულნარა ცხოვრობდა.

დერეფანში, მეორე სართულზე, იქ, სადაც მოჩანდა წარწერა „ირაკლი გათენაძე“, გელამ ელექტროღილს თითი დააჭირა.

— ახლავე, — მოისმა შიგნიდან მასპინძლის ტკბილი ხმა. გასაღები აჩხარუნდა, დერეფნის კარი გაიღო. ზღურბლთან უცნობი ქალიშვილი იდგა, მშვიდი

თვალებით ვაჟს აკვირდებოდა, მარცხენა თვალს ქვემოთ პატარა ხალი ქმნის ბავშვურ სახეს ისე შვენოდა, რომ გელას ცნობისმოყვარეობას ისევ ეცხადებოდა რად იპყრობდა.

მისაღები ოთახის ფარდაშეკეცილი კარებიდან ტალღასავით მოდიოდა მუსიკის ჰანგი, წამიც და გელა ადგილზე გაშეშდა. შენიშნა ის, რაც ფიქრადაც არ უნდოდა წარმოედგინა. გურამს გულნარასთვის მარჯვენა ხელი წელზე მოეხვია, მარცხენათი ქალიშვილის ხელი ეჭირა, ოთახში წრეს უვლიდნენ. მათ მეორე წყვილი მიჰყვა, შემდეგ პირველნი ისევ გამოჩნდნენ. გულნარას მარცხენა ხელი ნებიერად ესვენა გურამის მხარზე, თან ისეთი გატაცებით მიჰყვებოდა, თითქოს მთელი სიამოვნება ფოქსტროტის ამ სწრაფ ტემპში ჩაექსოვა.

— ვინ გნებავთ?

უცნობმა ქალიშვილმა გელა გარინდებიდან გამოიყვანა. გელამ უმალვე მოიფიქრა განშორების მიზეზი და წავიდა.

„დამთავრდა, წარსული განუმეორებელი სიზმარი იყო, ჩვენი გზები სამუდამოდ გაითიშა“... — გელამ ირგვლივ მიმოიხედა, სასტუმროსთან აღმოჩნდა, შიგ შევიდა და ნომერი დაიქირავა.

საღამოს ოპერის თეატრში სპექტაკლს დაესწრო, „აბესალომ და ეთერი“ მიდიოდა. სიყვარულში მეფესაც კი ეცილებიან, მეტოქეობას უწევენ. მურმანის სიხარბე და შური ძლევს სათნოებასა და სულგრძელობას. უნებურად გელას გულნარა და გურამი მოაგონდა, ყურში ისევ ფოქსტროტის თავაწყვეტილი ტაქტი ჩაესმა. მაშინვე ადგა და დერეფანში გავიდა. არ სურდა მათზე ეფიქრა. მაგრამ იქვე ახლო გულნარა და გურამი შენიშნა — შეწყობილი ნაბიჯით ხალხში სეირნობდნენ.

სპექტაკლის შემდეგ, თეატრიდან გასვლისას, გელასა და გულნარას თვალები წააწყდნენ ერთმანეთს. გელამ აშკარად შენიშნა, გულნარა ჯერ როგორ შეკრთა, შეცბუნდა, შემდეგ სახეზე ღიმილი გადაეფინა, თითქოს შესახვედრად ნაბიჯიც კი გადმოდგა, მაგრამ უმალვე შედგა, დამნაშავესავით მხარი იბრუნა და ხალხში შეერია.

ვერც მეორე დღემ გაამართლა გელას მოლოდინი. კონსერვატორიაში გულთბილად მიიღეს, მაგრამ გულგრილად გამოისტუმრეს. ასეთი ხმით შორს ვერ წახვალო, უთხრა სიმღერის მასწავლებელმა. დილით სასტუმროში თავისი თავი რომ გამოეცადა, კონსერვატორიაში არც წავიდოდა, მაგრამ ეს აზრადაც არ მოსვლია. გასინჯვის დროს ყელიდან უცნაური ხრიალი ამოსდიოდა, ხმას გრძნობაც ვერ მიაყოლა, ყელი სტკიოდა, არც განწყობილება ჰქონდა. აღარ უნდოდა თბილისში დარჩენა, გული სოფლისაკენ მიუწევდა.

* * *

გელა ცდილობდა გულნარა დაევიწყნა, გულიდან ამოეღო, არ ეფიქრა მასზე, მაგრამ ვერ ახერხებდა. წიგნები, რომლებშიც გაკვეთილებს სწავლობდა, გულნარას გამოგზავნილი იყო. განა თვით სკოლა, სოფელი, ძველი ციხის ნანგრევები, მთები გულნარას არ აგონებდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაკითხული კლასიკური ლიტერატურიდან გელამ უბის წიგნაკში ორი წინადადება ჩაიწერა:

„სიმდიდრის ფასს მაშინ შეიტყობ, როცა შეიძენ, ხოლო მეგობრისას — როცა დაჰკარგავ“.

ეს სიტყვები გელამ მისი გრძნობების განმსაზღვრელად მიიჩნია, თუმცა გულნარასადმი თავშეუკავებელი სიბრაზეც იპყრობდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა მის ღალატსა და სულმდაბალ მოქმედებაზე ფიქრს თავს ვერ აღწევდა.

* * *

გელასაგან შეწყდა ბარათები.

„ალბათ, აღარც მომწერს. ჩვენს წმინდა მეგობრობაში ბზარი გაჩნდა“, — გულისტკივილით გაიფიქრა გულნარამ.

გაზაფხულზე სოფლელი ბიცოლა ესტუმრა.

— გელა როგორ არის? — ნახვისთანავე შეეკითხა გულნარა.

— ეჰ, რა ვიცი, — გრძლად დაიწყო სტუმარმა, — ყოფნით არა უშავს, კარგად არის. უბედური ისაა, ვინც სამარეში წევს. ჰოდა, რაც დედა მოუკვდა, სკოლას თავი მიანება, ნახირში წავიდა, გამოცდებს ექსტერნად ჩააბარებს. მის ოჯახს მიხას ქალიშვილი უვლის.

ეს ამბავი გულნარასათვის იმდენად მტკივნეული იყო, რომ თვალთაგან ცრემლები გადმოსცვივდა.

— დედა გარდაეცვალა და არაფერი მაცნობეთ?!

ბიცოლამ მხრები აიჩეჩა.

— საბრალო ბიჭი, ახლა რაღა უნდა ჰქნას?

გულნარა თავის ოთახში განმარტოვდა, გელაზე ფიქრი წუთითაც არ შორდებოდა. მისი წერილები მოძებნა, მაგრამ ვეღარ იპოვა.

— ბიცოლა, ჩემი ბარათები თქვენ ხომ არ აგიღიათ? — შეეკითხა ასმათს.

— ნუ ეძებ, ფერფლად ვაქციე.

— როგორ თუ ფერფლად?

— ისე, უბრალოდ, ღუმელში შევყარე, ჭკუა-გონებას გიმღვრევდა. — გულგრილად გასცა პასუხი.

„ყველანი და ყველაფერი ჩვენს საწინააღმდეგოდ მოქმედებს, ნათესავები წინ აღმიდგნენ“, — გაიფიქრა გულნარამ და აქვითინდა.

5

გულნარას წაერთვა ძველებური სილაღე, თითქოს ცხოვრების გაკვეთილებმა მისი სული უფრო დაამძიმა, მეტად დააფიქრა... ეჰ, უდარდელი, მხიარული, უმტკივნეულო ბავშვობა ჯობდა. პატარა იყო და თავის თავს ეკუთვნოდა, დიდი გახდა და სხვა მბრძანებლობს, ფრთებს უკვეცავს, ფეხდაფეხ დასდევს.

საკუთარ თავთან, საკუთარ გრძნობებთან ბრძოლა ძნელი აღმოჩნდა, ვერ ახერხებდა დაევიწყნა სოფელი და მასთან დაკავშირებული ბავშვობის წლები. სამუდამოდ სანანებელი დარჩა, რომ გელას თეატრში თვალი აარიდა, თვითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახდა საბაბი მათი მეგობრობის რღვევისა. „როცა დამწუხრებულს დახმარება, თანაგრძნობა სჭირდებოდა, მის გვერდით ვერ აღმოვჩნდი, სამძიმრის ბარათიც ვერ მივწერე... თუმცა ძალიან დაგვიანებით გავიგე, მაგრამ მოვალეობა ხომ უნდა მომეხადა? გელასთან არ ვარ მართალი, არა... ეჰ, ერთი წლის წინათ რას წარმოვიდგენდი, ჩვენს შორის უფსკრული თუ გაჩნდებოდა. ის სამუდამოდ ჩარჩა მთებში, ალბათ, მიხას ქალიშვილზე დაქორწინდება, მე კი...“

გულნარა მეცადინეობას ადრინდელი გატაცებით ვეღარ ახერხებდა, გართობას ეძებდა, თვითონ სთხოვდა გურამს თეატრებსა და კინოებში წასულიყვნენ. მუდამ უკმაყოფილო იყო, მუდამ რაღაც აკლდა და ვერ მიმხვდარიყო, რა! ხშირად უსიამოვნება მოსდიოდა გურამთან, ვერ ეგუებოდა მის პატივმოყვარეობასა და ქედმაღლობას, ბრალს სდებდა გულგრილობასა და უყურადღებობაში. „მეტისმეტ თვითრწმენას იჩენ, ისე მეპყრობი, თითქოს შენს იქით სხვა გზა არ მქონდეს, თითქოს შენთან რაიმე მოვალეობით ვიყო მიჯაჭვული. მიფრთხილდი!“ — ემუქრებოდა.

დამამთავრებელმა გამოცდებმა გულნარა დაარწმუნა, რომ უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე წარმატებას ვერ მიაღწევდა. ბიძამ დახმარება აღუთქვა, სუხუმის ინსტიტუტში თუ მოისურვებდა ჩარიცხვას. გულნარა სიამოვნებით დაეთანხმა. მას საშინელებად მიაჩნდა უმაღლესი სასწავლებლის გარეთ დარჩენა. „ხალხი რას იტყვის, თავი მომეჭრება, სოფელში რა პირით ავალ, უქნარას დამიძახებენ. ესეც არ იყოს, სუხუმი ულამაზესი ქალაქია. თუ საჭიროდ ვცნობ თბილისში გადმოსვლას, შემდეგაც მოვახერხებ“,—დაიიმედა თავი.

გამგზავრების წინ გურამმა გულნარას მაგიდაზე ბეჭედი, საყურეები და ოქროს საათი დააწყო.

— ეს ნივთები მოგაგონებს, რომ მე მეკუთვნი. პრაქტიკაზე სტალინოში მივემგზავრები, იქ დეკემბრამდე დავრჩები. დაბრუნებისთანავე, თუ მოისურვებ, დავქორწინდებით.

— არა, გურამ! განვლილი შეცდომებიდან საკმაო დასკვნა გამოვიტანე. ახლა გადავწყვიტე ვისწავლო, ვისწავლო კარგად. მინდა ვიყო თავისუფალი, ვეკუთვნოდე მხოლოდ საკუთარ თავს. შეიძლება ეს ნივთები ოდესმე სიხარულით მივიღო, მაგრამ დღეს არა! ბორკილი, თუნდაც ოქროსი იყოს, მაინც ბორკილიაო, ხომ გაგიგონია.

6

ზაფხულში გელა თბილისს ეწვია და წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები კონსერვატორიაში.

— გეთაყვა, მითხარი, მთაში კიდევ ხომ არავინ არის ასეთი ხმის მქონე?— უთხრა მას პროფესორმა აბაშიძემ. — ყველას უგამოცდოდ მივიღებთ.

გელას უკვე ეჩვენებოდა, რომ ცხოვრება მის სურვილებს დაემორჩილა, მის წინაშე ქედი მოიხარა. ნიჭი მისთვის ძალა და საშუალება გახდა. ბეჯითი შრომისა და აღმზრდელთა განსაკუთრებული დახმარებით ხმა უფრო დაწმინდა, დაეხვეწა. ხალხში მის შესახებ უკვე ლაპარაკობდნენ, რადიოკომიტეტში რამდენიმე სიმღერა ჩაიწერეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელამ გადაწყვიტა, გულნარა არ მოეძებნა, არ ეფიქრა მასზე, დავიწყა, როგორც უღირსი და მოღალატე... მაგრამ ხანდახან გულში ჩარჩენილ ... ბა ძლევდა და იმ ქუჩაზე გაატარებდა, სადაც გულნარა ცხოვრობდა. ... შეეძლო თამამი ყოფილიყო. კარგად ეცვა, კონსერვატორიაში პატივს სცემდ-ნენ, ნაბიჯი წინ გადადგა.

„ნეტავი სად არის, რატომ არ მხვდება? არც გურამი ჩანს, ალბათ, სად-მე ერთად...“

ერთ დღეს გელა პროფესორმა სახლში დაიბარა.

პროფესორ აბაშიძის ბინა ვაკეში აღმოჩნდა, უნივერსიტეტის ახლოს.

როცა გელა ელექტროღილს შეეხო, შიგნიდან მოესმა ქალიშვილის ტკბილი ხმა:

— ახლავე.

გელას ხმა ნაცნობი ეჩვენა. თითქოს სადღაც მოესმინა მსგავსი სიტყვები, მაგრამ სად?

კარი გაიღო, ქალიშვილი თავის ოდნავი დაკვრით მიესალმა.

— მობრძანდით, მამაჩემი უკვე გელოდებათ.

გელამ უცნობს თვალი შეავლო. ეს ოდნავ ფერმკრთალი სახე, მარცხენა თვალს ქვემოთ პატარა ხალი სადღაც მანამდეც ენახა, სად შეხვედრია?

პროფესორი გელას გულთბილად მიეგება.

— ჩემი ქალიშვილი გაიცანით? ფორტეპიანოს ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია.

გელამ მოასწრო შეეთვალიერებინა პროფესორის ქალიშვილი. მას სევ-დიანი შავი თვალები სიცილის დროს უცნაურად ეჭუტებოდა, ალერსითა და სიხარულით ევსებოდა, მკრთალ სახესა და თოვლივით სპეტაკ შუბლზე სულ-ერი უმანკოება აღბეჭდოდა.

— ნანა, დედას აცნობე სტუმრის მოსვლა.

ქალიშვილი მეორე ოთახში გავიდა, გელამ თვალი გააყოლა. „ნანა“, „ნა-ნა“, თავისთვის გაიმეორა რამდენიმეჯერ.

სადილის შემდეგ გამოირკვა, რომ პროფესორს რომანსი დაეწერა და სურდა გელას შესრულებით მოესმინა.

როიალთან ნანა იჯდა. პროფესორი შთაგონებით განიცდიდა თავის ქმნი-ლებას. გელა თვალს ვერ აშორებდა კლავიშებზე აცურებული ნანას თითე-ბის ჯადოსნურ მოძრაობას, ვაჟს იტაცებდა ლამაზი მკლავების რხევა.

მალე გელა აბაშიძეების არცთუ იშვიათი სტუმარი გახდა. ნანა და გელა ხშირად ერთად ამუშავებდნენ რჩეულ მელოდიებს. ნანა მაგნიტოფონის სრულ-მეტრაჟიან ფირს თანდათან ავსებდა გელას შესრულებით.

გელასა და ნანას დაახლოებამ ნაცნობობა უფრო გააღრმავა. ვაჟს მოს-წონდა ქალიშვილის კეთილი ხასიათი, ხელოვნებით გატაცება, მისი ტკბილი საუბარი. გელა ამჩნევდა, რომ ყოველი შეხვედრა ნანაზეც უჩვეულოდ მოქ-მედებდა, ცდილობდა თავისი განცდები დაეფარა, მაგრამ ცეცხლთან ბრძოლა უძნელდებოდა. „როცა გულს რჩეული ჰყავს, მაშინ ხმას მეტი განცდა ეძლევა. ნანა უნაკლო არსებაა, ის ჩემი სიმღერის შთაგონებაა“, — ფიქრობდა გელა.

ძია მიხას მიწვევით გელა სოფელში გასამგზავრებლად ემზადებოდა. გამგზავრების წინადღეს კონსერვატორიიდან გამოსულმა გელამ და ნანამ გადაწყვიტეს კინოსურათი ენახათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ა, გელა, როგორ ფიქრობ, ოდესმე დავიმსახურებთ თუ არა საგასტროლოდ მიწვევას? — ოცნებით ჰკითხა ნანამ.

— ფრთხილად იფრინე, ნანა, — შენიშნა გელამ.

— გეტყობა, მომავალზე ფიქრი არ გიტაცებს.

— მე, უპირველეს ყოვლისა, შენზე ფიქრი მიტაცებს.

ნანა საჩვენებელი თითით დაემუქრა, მამაჩემთან დაგასმენო.

ვაკეში ფეხით წავიდნენ. გრძელი გზა შეუმჩნევლად დამთავრდა. დერეფნის კიბესთან შეჩერდნენ. ნანას ხელი არ გაუშვია, სახლში ეპატიჟებოდა. გელა არ მიყვებოდა. მოაჯირზე მიყრდნობილ ქალიშვილს ნდობით ჩასცქეროდა თვალებში, ნდობითვე უპასუხებდა სიხარულით აციმციმებული ნანას თვალები.

გელას უცნაურად უცემდა გული, ღელავდა. აღძრული გრძნობა, გაუბედობა და სურვილი არ თმობდნენ ერთმანეთს.

ყველაფერი მოულოდნელად და სწრაფად მოხდა. არც ერთს არ უცდია სურვილს წინ აღდგომოდა. ქალიშვილი ვაჟის მკლავებს მიენდო.

7

გულნარა მალე შეეჩვია სუხუმს. არავინ არ ზღუდავდა, არავინ ფეხდაფეხ არ დასდევდა, თავს არ აბეზრებდა, გელაზე ფიქრი აღარ სტანჯავდა. სულიერმა სიმშვიდემ მუშაობის ხალისით აავსო, ცოდნის შეძენის სურვილმა მასში ყველა მისწრაფება დაჩრდილა.

ნაცნობებთან თითქმის გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი, მთელ თავისუფალ დროს ბიძასთან ატარებდა. ირაკლისაგან იმდენად დავალებულად თვლიდა თავს, რომ აუცილებელ მოვალეობად დაისახა მისთვის სულიერი შვება, ნათესაური სიყვარული არ მიეკლო.

კვირა დღე იყო. ირაკლი გაზეთს კითხულობდა, გულნარა რადიომიმღებთან იჯდა და თბილისიდან მუსიკალურ გადმოცემას ისმენდა.

მიყვარდი და მიყვარხარ,
სუნთქვამდე მეყვარები...

ხმა ისე სუფთად, გარკვევით და გრძნობით ისმოდა, თითქოს მომღერალი იქვე, მიმღების უკან იდგა და სიყვარულის განცდით ანთებული ზეზეურად იფერფლებოდა. ხმა თითქოს ნაცნობია, თუმცა ყოველი კარგი ხმა ნაცნობი გვგონია, რადგან სული ადვილად ითვისებს.

„თქვენ მოისმინეთ, — გამოაცხადა დიქტორმა, — სამი სიმღერა კონსერვატორიის პირველი კურსის სტუდენტის გელა სურმანიძის შესრულებით.“

გულნარამ ისე შეჰკივლა, რომ თავისსავე ხმამ შეაკრთო. განცვიფრებით გაფართოებულ თვალებს რადიომიმღებს ვერ აშორებდა, თითქოს მოელოდა ფარდის ახდას და სცენაზე გელას გამოჩენას.

— შვილო, ეს ჩვენი თანასოფლელი სურმანიძე გამოაცხადეს? — იკითხა ირაკლიმ.

გულნარა ფიქრებს იმდენად გაეტაცნა, რომ კითხვა არ გაუგონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სოფლიდან დაბრუნებულმა გელამ კონსერვატორიაში გაიგზავნა ავად იყო. მაშინვე მის სანახავად გაემართა.

ხალათით შებუდრული ნანა სავარძელში იჯდა, წიგნს კითხულობდა. გელას ხელგაშლილი მიეგება.

— როგორც იქნა! ასე მგონია, ხუთი დღე კი არა, ერთი საუკუნეა, რაც შენ წადი. — გელა გვერდით დაისვა. — გამიძნელდა განშორება. მაგნიტოფონი აქ შემოვატანინე, მუდამ შენი ხმა მესმოდა. მშობლებმა ადვილად გამოიცნეს ჩემი გულისთქმა, მეც დაუფარავად გავუმხილე ყველაფერი.

— პროფესორმა უკვე იცის?

— იცის, — ნანამ სიცილით დაუკრა თავი. — არჩევანი მომიწონეს. შენ ჩვენი ხარ.

— ძვირფასო ნანა!

გელა პირველად იყო ნანას ოთახში. მათ მარტოობას არავინ არღვევდა. ნანა წამოდგა, გელას ხელი გამოსდო, მაგიდასთან მიიწვია, შემდეგ ფოტოსურათების ალბომი აიღო და გელას გვერდით მოთავსდა.

— გელა, იცნობ ამ გოგონას, გულნარა გათენაძეს?

კითხვა იმდენად მოულოდნელი, ამაღელვებელი და საეჭვო იყო, რომ გელას პასუხის გაცემა დაუგვიანდა.

— კი, ჩვენებურია. შენ საიდან იცნობ?

— ჩემი ნათესავის საცოლეა.

გელა ნანას მიმზიდველ სახეს, მარცხენა თვალს ქვემოთ პატარა ხალს დააკვირდა. ეს იყო, ეს, თბილისში ამღერებული ხმით რომ გაუღო კარები, როცა გულნარას ნახვა სურდა.

— დღეს გულნარასაგან ბარათი მივიღე. შენს შესახებ მწერს, თუ იცნობო. ამას წინათ ტრანსლაცია მოუსმენია. არდადეგებზე ჩამოვა.

8

თბილისში ჩასვლისთანავე გულნარა ნანას ტელეფონით დაუკავშირდა.

— ჩემო კეთილო მეგობარო, კარგ დროს ჩამოხვედი, დღეს ჩემი დაბადების დღეა, აუცილებლად მოდი, ახალგაზრდები იქნებიან, გავერთოთ, ახალ ამბებს გეტყვი.

„ახალ ამბებს? ალბათ, გელა ჰყავს მხედველობაში“. ნანას მოზეიმე ხმა გულნარას ცუდად ენიშნა.

წინათ აბაშიძეებთან მიუხაროდა, გულწრფელად უყვარდა ნანა, ახლა კრთის, ცუდი განწყობილებით მიდის, რაღაც უკან ეწევა, მაგრამ მაინც არ დაბრუნდება, საბოლოოდ უნდა დარწმუნდეს...

სტუმრები შეკრებილიყვნენ. ნანა უკრავდა. გელა „სულო ბოროტოს“ ასრულებდა. მათ გულნარას მისვლა არ გაუგიათ.

გულნარა გელას დაკვირდა. როგორ შეცვლილა, ლურჯი კოსტიუმი, [illegible] დავარცხნილი შავი თმა, ხელებისა და სხეულის თავისუფალი მოძრაობა, თითქოს დაუნდობელ დემონს იწვევს ორთაბრძოლაში... ოჰ, გელა, [illegible]

7600

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიან გამოვფხიზლდი, რატომ არ ძალმიძს ავყვე გულისხმას და... ნუთუ არ ეფ-ნისმენ? ნუთუ არ გამიგებ? იქნებ მეტისმეტად დავაგვიანე? რომ შეეძლებინა დეს განვლილის დაბრუნება, მეორედ აღარ დავკარგავდი.

გულნარამ იქვე მდგომ ვაჟს ფანქარი გამოართვა, ქაღალდზე რამდენიმე სიტყვა დაწერა და გელას გაუგზავნა. როცა გელამ ქაღალდი გაშალა, ენებუ-რად შეკრთა, სახეზე ალმური მოედო, ხელი აუთრთოლდა, თავი დახარა.

გულნარა თვალს არ აშორებდა, მის ყოველ მოძრაობას იჭერდა. „ხელნა-წერი იცნო, განიცდის. როგორც ჩანს, ყველაფერი არ ჩაფერფლილა“.

— გელა, რას გწერენ? — ნანამ ვერ მოითმინა, ქაღალდი გამოსტაცა.

„გთხოვთ გვიმღეროთ „დამიბრუნდი!“

— გულნარა მოსულა, ხელნაწერზე ვცნობ.

ნანა გულნარასაკენ გაქანდა, გადაეხვია, გადაკოცნა, ხელკავი გაუკეთა და გელასთან მიიყვანა.

ისინი უსიტყვოდ მიესალმნენ ერთმანეთს.

— გელა, ძვირფასო, თანასოფლელს თხოვნა უნდა შეუსრულო.

როიალზე დაყრდნობილმა გელამ უარის ნიშნად თავი გააქნია. ნანამ გან-ცვიფრებით შეხედა სურმანიძეს.

გულნარასათვის გასაგები იყო გელას განწყობილება, მაგრამ აქ, სხვების ოანდასწრებით, არ შეეძლო თავი ემართლებინა.

სტუმრების წინაშე ნანა არ ფარავდა, რომ გელა მას ეკუთვნოდა, ცეკვის დროს თითით დაემუქრა:

— მხოლოდ გულნარასთან ცეკვის უფლებას გაძლევ. იცოდე, სხვებზე ვიეჭვიანებ.

წელიწადნახევარი გავიდა, რაც ერთმანეთი არ ენახათ და თითქოს არა-ფერი ჰქონდათ სათქმელი, დუმდნენ, დუმდნენ და ერთმანეთს თვალს არიდებ-დნენ. ორივეს სულს უხუთავდა ეს მწველი სიახლოვე. გულნარა ტანგოს პირ-ველ შემოვლაზევე ცუდად გახდა, სხვების შეუმჩნევლად ნანას გამოეთხოვა და სახლში წავიდა. მას გელასა და ნანას სიყვარული საეჭვოდ აღარ მიაჩნდა. სუხუმში წასვლა უკვე სანანებლად გაუხდა. თბილისში რომ დარჩენილიყო, გე-ლას შეხვდებოდა და ყოველგვარ გაუგებრობას ბოლო მოეღებოდა. ახლა უკვე გვიანღაა.

* * *

გულნარას აზრადაც არ მოსვლია გელას მიმქრალი გრძნობები გაეღვიძე-ბინა, მას მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდა, დაერწმუნებინა ის, რომ მარცხი სულმდაბლობით არ მოსვლია, არამედ გამოუცდელობითა და გაუ-გებრობით.

— ოჰ, გულნარა, — ნანა მღელვარებით მიეგება გულნარას. — ვერ წარ-მოიდგენ, როგორ მინდოდა შენი ნახვა. რაც შენ ჩამოდი, მას შემდეგ ჩემს ირგვლივ რაღაც ხდება. გელა გამოიცვალა, გულჩათხრობილი გახდა, გურამი მთხოვს, გელასთან რაც შეიძლება ჩქარა გავაფორმოთ შეუღლება. მარწმუნებს, ეს შენთვისაც და ჩემთვისაც სასარგებლო იქნებაო. თუ და ხარ, ნურაფერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამიფარავ, შენ და გელას გიყვარდათ ერთმანეთი? ასეა, არა?

გულნარამ ნანას აცრემლებული თვალები მოარიდა, თავი დახარა და ზარული ხმით გასცა პასუხი:

— ჰო, ნანა, ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი. განშორების შემდეგ ბარათებს ვწერდით. ეს არ მოსწონდა ასმათს, სოფლელ ბიცოლას და გურამს. მათ ისარგებლეს ჩემი გულუბრყვილობითა და სისუსტით. ირაკლის მეუღლემ ჩემგან დამოუკიდებლად გელას ყველა ბარათი უკან წაუღო და დაარწმუნა, რომ გურამი ჩემი საქმრო იყო. გელას დედის გარდაცვალების შემდეგ მე დამარწმუნეს, რომ გელა იქაური მეცხვარის, ძია მიხას ქალიშვილზე აპირებდა დაქორწინებას. მათი ასეთი განზრახვები ჩემთვის მხოლოდ ახლა გახდა გასაგები.

ნანა ვერ ახერხებდა თავი დაეჭირა, გულამოსკვნით ქვითინებდა, გელასთან განშორება საშინელებად მიაჩნდა.

— თუ გელა გიყვარდა, გურამს რაღად თანაუგრძნობდი? ნუთუ ასე გვიან გამოიცანი საკუთარი გრძნობა? არა, არა ხარ მართალი, შენ ორმაგ თამაშს ეწეოდი.

— ნანა, ნუ ტირი, დამშვიდდი. ჩემი განზრახვა არ არის თქვენი ურთიერთობის დარღვევა. დე, გელა თქვენთან დარჩეს, დარწმუნებული ვარ მისთვისაც ასე სჯობს. მხოლოდ ერთსა გთხოვ — ასე მკაცრად ნუ მდებთ ბრალს, მე არა ვარ დამნაშავე, სხვათა ვერაგულმა მოქმედებამ ბედნიერებას ამაცდინა. განა გურამს როდესმე აღვუთქვი, რომ მისი მეუღლე გავხდებოდი? არა-სოდეს!

გულნარა წავიდა.

* ** *

ნანა ცდილობდა გელასათვის ყოველივე გულმშვიდად აეხსნა, მაგრამ ვერ ახერხებდა, მისი ღიმილი ცრემლნარევი იყო, ხმა მთრთოლვარე და მისუსტებული. გონება, რომელსაც გრძნობას უპირისპირებდა, უკარნახებდა ვაჟისათვის არჩევანის თავისუფლება მიეცა.

— შენი გული ორადაა გაყოფილი. მე არ შემიძლია ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში დარჩენა, გადაწყვიტე, ან მასთან წადი, ან...

ისინი ფანჯარასთან იდგნენ, ნანა ქუჩას გადაჰყურებდა, ცდილობდა გულგრილი ყოფილიყო.

„სიხარული დაუბრუნოს ერთს, რომელიც უნდა წარსტაცოს მეორეს?“

ვაჟი შუა ხიდზე იდგა და ვერ გადაეწყვიტა რომელ ნაპირზე გასულიყო.

რამდენიმე დღე არ გაჰკარებია ნანას, არც გულნარას შეხვედრია, ორივეს გაურბოდა. ამხანაგებთან ერთად კახეთში წავიდა, რომ მათგან დაშორებით, დამშვიდებული გრძნობით განესაჯა ყოველივე.

* ** *

გულნარა ფეხაკრეფით შევიდა ნანას ოთახში.

ფერმიხდილი, დასუსტებული ნანა ტახტზე იწვა, თავი ბალიშზე გადაეგდო, ჭერში ერთ წერტილს მისჩერებოდა, მაგნიტოფონს უსმენდა.

გელას ხმა მაგნიტოფონიდან ისმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანას ცრემლები ჯერ თვალებში აუციმციმდა, შემდეგ გაფითრებულ სახეზე დაედინა.

ტელეფონი აწკრიალდა.

ნანა წამოიწია, მაგნიტოფონი გამორთო და ყურმილი აიღო:

— გისმენ... გელა, შენ ხარ? ჩამოდი? — ნანას ხელი აუთრთოლდა, ეტყობოდა, სისუსტემ დაძლია, ბალიშზე მიეშვა, ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა: — მოდი, ძვირფასო, მოდი!

ყურმილი დადო, ბალიშზე დაემხო და აქვითინდა.

ცრემლმორეული, აცახცახებული გულნარა აზრმიუცემლად იდგა ფარდასთან. „ისინი ერთმანეთით ბედნიერი იყვნენ. მე დავბრუნდი და დემონურად გავჩნდი მათ შორის... ო, არა, არა, ნანას უბედურების მიზეზი არასოდეს არ გავხდები“. — ის გონს მაშინ მოვიდა, როცა ალაყაფის კარების ხმაური მოესმა.

ნაბიჯების ხმა თანდათან მოახლოვდა.

გულნარა გვერდით ოთახს შეეფარა, იგი სუნთქვაშეკრული მოელოდა, ვიდრე გელა ჩაივლიდა, შემდეგ დერეფანს მიაშურა.

— ნანა, ძვირფასო!

— ჩემო სიყვარულო!

ოდნავ გასაგონად წარმოთქმულ ამ სიტყვებში ნატვრა და განვლილი მწუხარება იყო ჩაქსოვილი.

გულნარამ ვერ მოითმინა, იქითკენ მიიხედა. გელა ნანას სახეს, თვალებს, თმას, ხელებს უკოცნიდა. გულნარას სიკეთის, სიხარულის შუქი გადაეფინა, მაგრამ ამავე დროს მკერდის სიღრმეში იგრძნო შეუვსებელი სიცარიელე, მთელ სხეულში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა, სახეზე ხელები მიიფარა, რომ გულიდან ამოხეთქილი ქვითინი ჩაეხშო.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ჯაყელი

სათოფურები

ცუდას რათ უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი.

ვაჟა.

ცუდი ვის უნდა,
კარგი არი მუდამ საცილო —
ლამაზი ცოლი,
კარგი ცხენი,
ყანა,
მთა-ჭალა.
ალბათ, ამიტომ...
გიმზერდნენ შურით,
გითვალთვალებდნენ
შურით,
აჭარავ!
გითვალთვალებდნენ,
აბრმავებდათ შენი სილაღე,
შენი გოდერძი და ტევრების მწვანე ფარჩები,
შენი ბორბალო, პერანგას მთა,
სიმხნე, სილაღე,
შენი ხიხანი საქვეყნოდაც გამოსაჩენი.
შენი ჭალები,
სათიბები და ვენახები,
მოზვრების ქედით გატანილი ნედლი ხნულები,
ლამაზ-ლამაზი,
თვალხილული ოდა-სახლები
და ცის ტატნობზე — ღრუბლის ქულები.
ცუდი ვის უნდა...
ლაგამაშვებით,
ალბათ, ამიტომ,
გულბოროტები
ტანგაქაფული შავი რაშებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოგეჯარნენ და დაგავლეს მხეცის ტოტები.
...სამასი წელი,
ვით სამასი ღამე ნათევი,
მთებში —
ხარ-ირმის მობღავილი,
ბარად — ფურების.
სხალთის ტაძარში ვერ ჩააქრეს თაფლის სანთელი
და ხიხაძირში — სათოფურები.

ჩ ა ნ ჩ ქ ე რ ი

ამბობ:
— მზრდის, თანაც მასულდგმულებს დედამიწაო.
მთის შვილი ვარ და მიტომ მომსდევს ძალა
მთებური.
ქვებთან, ლოდებთან მუხლის მოყრა როგორ
ვიწამო —
მე სიცოცხლე ვარ მოხეთქილი, მოზავთებული.
ამბობ:
მიწაა მარადისი სიცოცხლე ჩემი,
ჩემი დღე, ხვალე, სიხარული, ძალა, ნუგეში.
მთის პირმშო ვიყავ. გავიზარდე —
მთის შვილად ვრჩები.
ზვავის ჯიქნები მიწოვია მშობლის უბეში.
ამბობ და გისმენ... და არ მკითხავ: ვინა ხარ შენა.
რადა ხარ მუდამ ჩანჩქერივით დაუდგრომელი,
ვინ გაგაჩინა, დაგარჩინა, ვინ აგაშენა,
ვინ გაგაკაცა, რა ნათელი დღენი მოგელის,
ვის წოვე ძუძუ, ვის კალთაში გაგზვიძებია.
ლოდებს ჩემებრ თუ ჩამორეცხე ურჩობა, ხავსი.
ხარირემივით გულის ტოლი თუ გიძებნია,
თუ ხარ გამტანი, თუ ისწავლე მეგობრის ფასი.
ჩანჩქერო!..
ჩვენ ხომ ერთი დედის შვილობა გვეთქმის.
ჩვენ ხომ ორივეს გვასაზრდოებს მიწა მშობელი.
ჩვენ ხომ ერთნაირ მაცოცხლებელ მაჯების
ფეთქვით
მოვზავთებულვართ, სიცოცხლე ვართ
დაუშრობელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ გოგოლაძე

მე და ჩემი მეზობელი

ძველია ჩვენი ქუჩა. მრავალი წლის განმავლობაში თითქოს არაფერი შეცვლილა აქ. ისევ ის ძველებური სახლები, ისევ ის ქვაფენილი, ისევ ის პატარა სკვერი ჩვენი სახლის გადასწვრივ. მაგრამ შევიცვალეთ თვითონ, ვინც ამ ქუჩაზე ვცხოვრობთ. ზოგი მოკვდა და სამუდამოდ მიგვატოვა, ზოგმა იქორწინა და სხვაგან გადავიდა, ზოგი ახალი მოგვემატა. ვინ იცის, როგორ არ ლაგდება ადამიანის ბედი! მეც გამოვიცვალე. ჯერ მოკლე შარვლით ჭინკასავით დავხტოდი და სხვა ბავშვებთან ერთად სკვერს ვიკლებდი, მეზობლის ეზოებს ყიჟინით ვავსებდი. მაშინ როგორ ვიფიქრებდი, რომ აქვე ქუჩაზე დინჯად და თავმომწონედ ჩავივლიდი ქოჩორგადავარცხნილი, დაუთოებული შარვლით და კრიალა ფეხსაცმლებით. სხვა ბევრი ჩემი ტოლიც წამოიჩიტა, მაგრამ უწინ რომ ჯეელები დადიოდნენ, დღეს ისინი თმამეევრცხლილი არიან.

ჩვენი კარის მეზობელი, ძია ამბაკო, უწინ თავმომწონე და ამაყი, წელში გამართული და ლამაზი, დღეს მოხრილი და დავრდომილია. მაინც, რა უცებ მოტყდა! კარგად მახსოვს, ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინათ მხნედ და ხალისიანად გამოიყურებოდა. უშვილო და უძირო იყო, მაგრამ კარგი ქალი ჰყავდა მეუღლედ, ოჯახში სიცარიელეს არ გრძნობდა.

საოცრად და უცებ გამოიცვალა, როცა მეუღლის კუბოს გაჰყვა თმაეშლილი და სახეგაფითრებული. დაბრუნდა სასაფლაოდან და... მოხუცდა კიდეც.

დიდი თანამდებობის კაცი არასოდეს არ ყოფილა, არასოდეს არ ბრწყინავდა. ასე, უბრალოდ, უხმაუროდ მიდიოდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ ჯერ კიდევ სიცოცხლისათვის ერჩოდა გული.

გაზაფხულის პირზე სკვერის ხშირი სტუმარი იყო. აპრილის მზით ბებერ ძვლებს ითბობდა. იქვე, მის მახლობლად, ბავშვები ყღურტულებდნენ. ყველაფერი და ყოველივე ნორჩი და ახალი ამ მოხუცის გარშემო ტრიალებდა და ხარობდა, მოხუცს სულს ულხენდა და გულს უმხნევებდა.

ამბაკო ხანდახან თავისთან მოუხმობდა ბალღებს, დასხამდა, საინტერესო რამეს უამბობდა, მერე გაჰფანტავდა და კვლავ მათი თამაშითა და ყიჟინით ერთობოდა.

ამ უკანასკნელ ორ წელს პენსიით ცხოვრობდა. უზომოდ გადაღლილს,

უკვე აღარ შეეძლო ყოველ დილას სამსახურში წასვლა და მთელი დღე კანტორაში ჯდომა. ზამთრის საღამოებს ჩვენთან ატარებდა, ხან რომელიმე ბარს ესტუმრებოდა. დათბებოდა თუ არა, მთელ დღესა და ნათელ და კარგ საღამოებს სკვერში ატარებდა.

— ქალს არ ირთავ, ბიჭო? — მკითხა ერთხელ, როცა ბაღში სკამზე ერთად ვისხედით.

რატომღაც გავწითლდი. ჩემდაუნებურად გავეცი გულის საიდუმლო. ქალს არ ვირთავდი, მაგრამ... ჩვენი ქუჩის ბოლოს ცხოვრობდა ჩემი ამორჩეული... არ ვიცი როდის იყო, სხვანაირად შევნიშნე და იმ დღეს პირველად მივუჯექი სარკეს, გულმოდგინედ დავივარცხნე სქელი და ურჩი ქოჩორი.

— ქალს? არა!.. რა დროს ჩემი ქალია, — წავილუღლუღე მორცხვად და თავი დავხარე. განა ეს მართლაც არ გამცემდა?! განა რამეს გამოვაპარებდი კაცს, რომელმაც ცხოვრების გრძელი გზა განვლო, ყველაფერი უნახავს და განუცდია?!

— ბედნიერი ხარ! შენ თვითონ არ იცი, რა ბედნიერი ხარ! — მითხრა მან, თან ღრმად და დარდიანად ამოიოხრა.

ეს ერთადერთი კაცი იყო, რომელსაც ვენდე და პირველად გავანდე ჩემი სიყვარული. მაშინ თვალები მიცინოდნენ, ვხარობდი, ვზეიმობდი, ვღელავდი და ყველაფერი ეს მოხუცის გულს სიამით ეფინებოდა.

— შვილი მაინც დამრჩენოდა, ვაჟი იქსებოდა თუ ქალი... დავაქორწინებდი, შვილიშვილს კალთაში ჩავიგორებდი... და ეს მზე ისე არ გამათბობდა, როგორც ის, რაღაც ყველაზე დიდი საზრუნავი. იცი, არავის დავანებებდი და თბილ წყალში მე თვითონ ვაბანავებდი შვილიშვილს... მერე შოკოლადს ვუყიდდი, კანფეტებს... და ამ ბაღშიც ერთად ვითამაშებდით... შეიძლება ასე ულონო აღარ ვყოფილიყავი მაშინ... ჰა, რას იტყვი, ვერ ვითამაშებდი?

სიბერის გამო უწინაც ეცრემლებოდა თვალები, მაგრამ ახლა სულ სხვა ცრემლი ჩაჰგუბებოდა უპეებში და დამჭკნარ ლოყებზე გადმოგორებას ლამობდა კურცხალი.

ამ კაცის ხვედრს ხშირად ჩავუფიქრებივარ. ვეხმარებოდით, ვამხნევებდით, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მისი ცხოვრების ცაზე ღრუბლები უფრო შავდებოდა და სქელდებოდა. რაღაცას ჩალიჩობდა ამბაკო, რაღაცას ცდილობდა, უსაქმოდ მთელი დღის გატარება ტანჯვა იყო მისთვის. მაგრამ რა უნდა გაეკეთებინა ისეთი, რომ გული გადაეყოლებინა და სხვისთვის ეჩვენებინა თავისი ნამოქმედარი?! დღემდე განსაცვიფრებელი და საყურადღებო არაფერი დაუტოვებია და ახლა რას გააკეთებდა! იქ, სადღაც, დიდი არქივის დამტვერიანებულ ქაღალდებში ჩაღვრილიყო მისი მრავალი წლის შრომა. იქ არც ლექსი იყო, არც მოთხრობა და რომანი, არც რაიმე მნიშვნელოვანი, რომ შემდეგ მაინც ენახათ და აღედგინათ ამ კაცის სახელი. თავის დროზე რაღაც გააკეთა, პატიოსნად იშრომა... მაგრამ მაინც არაფერი დარჩა. სიკვდილის შემდეგ ჩვენ, მისი ახლო მეზობლები თუ მოვიხსენიებთ... და ვინ იცის, ხშირად კი გაგვახსენდება? რა დარჩება მისგან? არაფერი. მის ბინაში შეასახლებენ სხვას და ახლა ეს სხვა გვიმეზობლებს.

განსაკუთრებით ზამთარი გადაექცეოდა ხოლმე ტანჯვად. ის ხშირად ოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავდა და წუწუნებდა. შევირბენდი მასთან, შეშას დავუჭრიდი, ღუმელს კი თვითონ დაანთებდა და იტყოდა:

— ეს იანვრის თხუთმეტი, გაზაფხულამდე კიდევ დარჩა... ეჰ, კიდევ ბევრი დარჩა.

აი გაზაფხულიც, სკვერი და გრძელი სკამი. შარშანდელთან შედარებით კიდევ უფრო მოხუცებულა ჩვენი ამბაკო. თვალები მიულულავს, ტანთ თხელი პალტო აცვია, ეშინია ნაადრევი გაზაფხულის ნიავმა არ დაჰკრას.

— ჰა, ქალს არ ირთავ, ბიჭო? — ხშირად მეკითხება. მპირდება, რომ ჩემს ქორწილში უკანასკნელ ძალას მოიკრებს და იცეკვებს. ქორწილი კი ჩემთვის ადრეა, თვრამეტი წლისა ვარ და, ესეც რომ არ იყოს, ჩემი გულის სატრფოსათვის ხომ ერთი სიტყვაც არ მითქვამს. მაგრამ კარგია ამ ბერიკაცთან გულახდილი საუბარი სიყვარულზე. ის ისე განიცდის, ისე შემომხარის...

— აი, ამ გაზაფხულზე და ზაფხულზე რაღა იქნება და... შემოდგომას კი ქორწილი უთუოდ მექნება... ჯერ კი ნუ გამთქვამ, ძია ამბაკო.

— შენ იცი, შვილო, შენ იცი. საზრუნავი, საზრუნავი გაიჩინე... მაგაზე კარგი რა არის ქვეყანაზე!

განა მე კი არ ვგრძნობ, რომ რაღაც კარგი მომელის, მეტისმეტად კარგი! განა ამისკენ არ მიმაქანებს ჩემი სიყვარული!

შემოდგომა დგება და მოხუცი მებუზღუნება:

— ეე, ესეც შენი შემოდგომა, ქორწილი სად არის, ძმობილო?

მხრებს ვიჩეჩავ და ვწითლდები.

— აი, ხედავ, თანდათან როგორ ვბერდები და ვეცემი, განა გაისადაც ვიცეკვებ შენს ქორწილში!

ზამთარში ხშირად ავადმყოფობდა. ლოგინში ჩაწვებოდა, მე კი აფთიაქში გავრბოდი. რაღაცას განიცდიდა, რაღაც აწუხებდა და ეს რაღაც თვალსაჩინო იყო ჩვენთვის, ვინც ყოველდღიურად მასთან ახლოს ვიყავით. აწუხებდა ის, რასაც იგი საზრუნავს ეძახდა. საზრუნავი არ გააჩნდა და ეს ყველაზე უფრო დიდი უბედურება იყო მისთვის. ალბათ, ამის გამო უფრო დაძაბუნდა და დავარდა.

ოცნების მაგივრად ოხრავდა.

მე შეშას ვჭრი, ის კი თავისი ოთახის კართან ზის და ამბობს:

— ეს თებერვლის ოცი... გაზაფხულამდე რაღა დარჩა!

ცას გახედა, თითქოს იქ უნდა დაენახა მოახლოებული გაზაფხულის სხივი. გაზაფხულდა. მოხუცი სკვერში გადავიდა, სადაც უკვე ყვავილი გაჰქონდათ ბალღებს და ბებრები ჩვილებს ასეირნებდნენ.

ერთ დღეს ჩვენი მოხუცი დაიკარგა, შინ გვიან დაბრუნდა და მაშინვე დაწვა. მეორე დღეს, დილით, შევატყვე, რომ მოუსვენრად იყო. ღიმილით მომესალმა. გადაჰკეტა თავისი ოთახის კარი და სადღაც წავიდა. არაფერი მიკითხავს, შინ რომ დაბრუნდა. მის ცხოვრებაში ნამდვილად მოხდა რაღაც ახალი, გამამხნევებელი, ძალის მიმმატებელი, სასიხარულო. აბა, მაშ რას უნდა აემჩატებინა აგრერიგად იგი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე დღის განმავლობაში ასე მიდიოდა და მოდიოდა. არავერს მე უბნებოდა. დილით ჯოხის ბაკი-ბუკით გაივლიდა ჩვენს კარწინ, ჩალეკიოსტა ჩას და დაბინდებისას ბრუნდებოდა. კმაყოფილი იყო.

იმ გაზაფხულზე პირველად შემხვდა ჩემი გულის სატრფო. მარტონი დავრჩით და, ნაცნობებს რომ არ დავენახეთ, ჩვენი ქუჩიდან შორს წავედით და ერთ მიყრუებულ უბანში ვისეირნეთ.

მეორე საღამოს კიდევ უნდა შევხვედროდი. პაემანზე მივიჩქაროდი. ხელცარიელი რომ არ მივსულიყავ, საკონდიტეროში შევიარე შოკოლადის საყიდლად.

და აი, რას ვხედავ: დახლთან დგას ამბაკო, ხელში რამდენიმე პარკუჭანა უჭირავს და გამყიდველს კიდევ აწონინებს ძვირფას კანფეტს.

— აა, შენა ხარ? — შემომხედა და გამიღიმა, — რამე გინდოდა გეყიდნა?

— ჰო... არა... მე აი, დაგინახე და შემოვედი.

არ ვიცი, რატომ შემრცხვა და დავიბენი.

— აი, რამდენი რამ ვიყიდე, — მას თვალები უცინოდნენ, თავს შედარებით მხნედ გრძნობდა.

ერთად გამოვედით მაღაზიიდან. პაემანზე მაგვიანდებოდა, შოკოლადიც ვერ ვიყიდე. მოხუცს ნელის ნაბიჯით მივყვებოდი. რაღაც უნდოდა ეთქვა. დღეს ჯოხი არ წამოელო და ორივე ხელით მაგრად ეჭირა პარკუჭანები. ერთში ცოცხალი ყურძენი მოჩანდა. ნეტავ სად იშოვნა ამ გაზაფხულის პირზე? თითქოს ყურძენმა უსიტყვოდ მითხრა: „ეცადა, გულით ეცადა... მოინდომა და იშოვნა და იცი ვისთვის?..“

ვისთვის, ნეტავ ვისთვის?

მოხუცი სახლისკენ არ მიდიოდა. სულ სხვა გეზი აეღო.

— როგორ გავახარებ! — დაიწყო მოხუცმა და პარკუჭანებს დახედა, ხელში შეისწორა.

— ვის, ვის გაახარებ, ძია ამბაკო? ამ ბოლო დროს რაღაც სხვანაირი ჩანხარ.

— შემატყვე განა! ასე იცის საზრუნავმა, შვილო... მე ახლა საფიქრელი გამიჩნდა... შვილობილი მყავს და იმასთან მივიჩქარი. ამას წინათ ერთმა ჩემმა მეგობარმა მითხრა, ასე რომ განიცდი, საქმეს გამოგიჩენო და უდედმამო ბავშვთა სახლში მიმიყვანა, იქ თურმე... საბრალო ბავშვები!.. არც დედა, არც მამა და არც ნათესავი... წარმოგიდგენიათ, რამდენი რამ აკლიათ!

მის თვალებში ცრემლი დავინახე. პარკუჭანებს იხუტებდა და მიდიოდა, იმ ბალღის სიყვარულის ძალა იყო, ალბათ, მხრებში რომ გასჯდომოდა.

ქუჩის კუთხეში დავშორდი. ერთხანს თვალს ვერ ვაშორებდი უდედმამო ბავშვთა სახლისკენ მიმავალ მოხუცს, მერე მოვტრიალდი, სწრაფად შევირბინე საკონდიტეროში და ცოტა ხნის შემდეგ ძვირფასი კანფეტებით სავსე პარკუჭანით პაემანზე მივიჩქაროდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან გელაძე

გვიფერხეო

არ მიხვიდე მეზობლისას,
არ უფერხო ხვალე, ბიჭო,
შინ დაჯექი, ფეხი არსად,
ფეხი არსად გააბიჯო. —
დედა ასე მაფრთხილებდა
ახალი წლის წინა ღამეს,
ვმორჩილებდი და მეგონა
მოხდებოდა მართლა რამე.
მართლა ვიყავ ცუდი ფეხის,
დამყვებოდა რაღაც ბედი,
და ახალ წლის გაცინებას
შევხვდებოდი ბალღი სევდით.
და მინდოდა, და მინდოდა
იმ დღის მალე დაღამება.
ჰოი, როგორ მძიმე იყო,
მაშინ სახლში დახანება.
დასაბამით ბალღი ყველგან
აკრძალულ ხილს ეტანება
და მეც ერთხელ სულმა მძლია,
არც დედ-მამას ვთხოვე ნება
და ახალ წელს მეზობლის ზღურბლს
გადავადგი შიშით ფეხი.
მწამდა, რაღაც მოხდებოდა,
გასკდებოდა იქვე მეხი.
მეზობლები ღიმით შემხვდნენ
დაფეთებულ, შემკრთალ სტუმარს
და მომართვეს მოხარშული
სიმინდი და ხილი უმალ.
და შემძახეს: გვიფერხეო,
გვიფერხეო, ერთა ბიჭო,
ღმერთმა... ღმერთმა... წელს შენს ფეხზე
სიხარული მოგვანიჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთმა... ღმერთმა... მშვიდობა ქნას
და დოვლათი და ბარაქა.
ახალი წლის, ახალ ბედის
შემომყვანი შენ ხარ აქა.
იმ დღის შემდეგ მე მიწვევდნენ,
გვიფერხეო ერთა ბიჭო,
დედა აღარ მიწყრებოდა, —
ფეხი არსად გააბიჯო.

შიშველი ფესვი

იცრემლებოდა შიშველი ფესვი,
მეწყერს მოეძრო მიწის საბანი,
ვკითხე: „რად მოთქვამ,
ასე რად კვნესი,
მითხარი შენი დარდის ამბავი“.

არ შემომხედა, ატირდა უფრო,
გოდებით გული მეც დამიმძიმა,
ვფიქრობდი:
ბოლმა როგორ გავუქრო
და ერთმა აზრმა გამიციმციმა,
უმალვე მიწა ავხვეტე პეშვით,
საბრალოს დიდხანს ვაყარე ასე,
სანამ არ ჩავფალ მტირალი ფესვი,
სანამდე თხრილი არ ამოვავსე.

შემდეგ ხეს მაღლა ავხედე თრთოლვით,
გულში ახალი სიამე იშვა...
ამ დროს დამეცა მწვანე ფოთოლი,
დამეცა, ალბათ, მადლობის ნიშნად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულიკო ქლენჯი

პორტრეტი

ისინი ყოველ დილით ავტობუსის გაჩერებასთან ხვდებოდნენ ერთმანეთს. ზამთარში ქალიშვილს ყავისფერი პალტო ეცვა და კეფასთან დახვეულ ნაწნავებზე ქუდის ნაცვლად ჭრელ ყელსახვევს ატარებდა. გაზაფხულის პირველსავე დარიან დღეს იგი ცისფერ კაბაში დაინახა არჩილმა. ვაჟი იმდენად შეეჩვია ყოველ დილით ამ ქალიშვილთან შეხვედრას, რომ სახლიდან გამოსვლისას მხოლოდ მასზე ფიქრობდა: ზუსტად იცოდა ავტობუსების გაჩერებასთან ქალიშვილის მოსვლის დრო. ყოველთვის ცხრის თხუთმეტ წუთზე, მოპირდაპირე სახლის კუთხიდან ქალიშვილი გამოჩნდებოდა ხოლმე. თავაწეული და ყელმოღერილი გადმოსჭრიდა ქუჩას და გვერდით ჩავლისას არჩილს მხოლოდ წამიერად შეავლებდა თვალს. ახალგაზრდა ვერ უძლებდა დიდრონი შავი თვალების მცხუნვარე გამოხედვას და პირს იბრუნებდა ხოლმე. შემდეგ კი, როდესაც ქალიშვილი მისგან შორიახლო იდგა, არჩილი გატაცებით ჰვრეტდა მის გულისწამღებ სილამაზეს... არჩილს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ყრმობის ჟამიდან იცნობდა ამ ქალიშვილს. მიცლილ საათებში იგი დაფიქრებით იჯდა მაგიდასთან და ფანქრით ქალიშვილს ხატავდა. ყოველ ჩანახატს მაშინალურად მოაწერდა ხოლმე სახელს — „ციალა". რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ ქალიშვილს უეჭველად ციალა ერქვა და უცნაური სინაზით ელოლიავებოდა მას. „ციალა" აგონებდა მზის მცხუნვარებას, ჩქერებად დაღვრილ სინათლეს, გარიჟრაჟისას მოციალე ზეცას...

ერთხელ არჩილთან სერგო შევიდა და ჟურნალისტისათვის ჩვეული ცნობისმოყვარეობით დაათვალიერა ატელიეს ყოველი კუთხე. იგი ცდილობდა ყველაფერში ერთბაშად და თანაც დეტალურად გარკვეულიყო. მისი ყურადღება ქალიშვილის სახელით აჭრელებულმა ქაღალდებმა მიიპყრო. არჩილმა ოდნავი მორცხვობით უამბო მას „ციალას" შესახებ...

მეგობრის ნაამბობი რომ მოისმინა, სერგომ უდარდელად ჩაიქნია ხელი:

— კი, მაგრამ თუ ასე მოგწონს, რატომ არ გაეცნობი?

— ჯერჯერობით არ მიცდია, — უპასუხა არჩილმა და უხერხულად შეიშმუშნა.

— რას ელოდები!.. მიდი, გაესაუბრე, მიიპატიჟე კინოში ან თეატრში და....

— ოჰ, არა, არა! შენ მას არ იცნობ!.. ისეთი ამაყია!.. ასე ადვილად ვერ მიეკარები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ ეგრეა, განაგრძე „შორით წვა და შორით დაგვა“.

არჩილმა ხელები დაფიქრებით მოისრისა და გაუბედავად გამოაცხადა:

— იცი... გადავწყვიტე დავხატო იგი, არ ვიცი, რა გამოვა აქედან, მაგრამ გასაცნობად ეს ყველაზე კარგი საშუალებაა...

არჩილი მოლბერტთან მივიდა და მეგობარს მომავალი პორტრეტის მონახაზი უჩვენა. ტილოს მკრთალად აჩნდა ქალიშვილის სახისა და მხრების კონტურები...

გადიოდნენ დღეები. არჩილი გაურკვეველი ძრწოლითა და შეშფოთებით განაგრძობდა „ციალას“ პორტრეტის ხატვას. მას უხდებოდა წარმოსახვის უკიდურესად დაძაბვა, რათა ზუსტად წარმოედგინა ქალიშვილის სახის ყოველი ნაკვთი. ხშირად ფუნჯს გვერდით მიაგდებდა ხოლმე და მთელი ყურადღებით ჩანახატებს სწავლობდა. ტილოზე თანდათან გამოიკვეთა ქალიშვილის სახე. მაგრამ ეს არ იყო „ციალა“. პორტრეტიდან ლუსკუმივით შავი თვალები გამოიყურებოდნენ, ხოლო სულ სხვა იყო „ციალას“ თვალები. მათში უფსკრულების სიღრმე და ვულკანთა მხურვალება ცნაურდებოდა. უმეტყველონი იყვნენ ტილოზე გამოსახული ქალიშვილის ატმის ყვავილისფერი ბაგენიც... ახალგაზრდა მხატვარი საათობით ეძებდა ისეთ შტრიხს, რომელიც სიცოცხლეს შთაბერავდა „ციალას“ ლოყებს, გააცოცხლებდა და მეტყველს გახდიდა მის ტუჩებს... პალიტრის საღებავები საშინლად ერთფეროვანი და გამოსახვითს ძალას მოკლებული ეჩვენებოდა. ახალგაზრდა ნამდვილად იტანჯებოდა, მაგრამ მას აღაფრთოვანებდა ძიებისა და სრულქმნისაკენ სწრაფვის გრძნობა... ღამით „ციალას“ დამთავრებული პორტრეტი ესიზმრებოდა, ძილგატეხილი უთენია გამოდიოდა სახლიდან. უცნობი ქალიშვილი, რომელმაც ასე ააფორიაქა მთელი მისი არსება, კვლავ პუნქტუალურად ცხრის თხუთმეტ წუთზე გამოჩნდებოდა ხოლმე მოპირდაპირე სახლის კუთხიდან. იგი გრძნობდა ვაჟის დაჟინებულ გამოხედვას და განაწყენებული იყურებოდა იქით, საიდანაც ავტობუსს ელოდნენ. ახლა არა მარტო ის, არამედ ყველა, ვინც ყოველ დილით ავტობუსის გაჩერებასთან იდგა, გრძნობდა, რომ ამ ლამაზ ქალიშვილსა და ესკიზების ყუთით ხელში ქვაფენილზე მოუსვენრად მოწრიალე ახალგაზრდას შორის რაღაც უხილავი ძაფები იბმებოდა. ქალიშვილს ეს აბრაზებდა, ვაჟი კი ვერ ამჩნევდა იდუმლად მოღიმარ გარეშეთა ფარულ თვალთვალს. ბოლოს არჩილი ქალიშვილისათვის სავსებით აუტანელი გახდა. იგი ისეთი ყურადღებითა და გულმოდგინებით შეჰყურებდა მას, თითქოს რაღაც უძვირფასესი დაეკარგოს და ახლა ქალიშვილის სახეზე ლამობდეს მის პოვნას. გარშემო უკვე საკმაოდ დაუფარავად იღიმებოდნენ და ჩურჩულებდნენ.

„ვიღაცაა, ეტყობა დიდი უზრდელია, — უმწეო ბრაზით ფიქრობდა ქალიშვილი. — ყეყეჩი ხომ არ არის ნეტავი, ასე რომ მომშტერებია!“

„მისი თვალები ღამესავით ბნელია, მაგრამ როგორი უცნაური ციაგი გამოკრთის მათში!.. ნუთუ შესაძლებელია, რომ წყვდიადი შუქს ჰფენდეს?! — ფიქრობდა ვაჟი. — როგორ გოროზად აზიდულან წარბები! რა საოცარი განზომილებით შერწყმია ერთმანეთს სიამაყე და მოკრძალება. ცივი მიუკარებლობა და მხურვალე გულითადობა, არწივისებური ზვიადობა და ქალური სინაზე!..“

ფიქრებში გართულს არც კი შეუნიშნავს, როგორ მიუახლოვდა ქალიშვილს.

— რა გნებავთ ჩემგან? — ქალიშვილის ნაზ ხმას დიდი ხნიდან [illegible] ბრაზი ჩაექსოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა მხატვარი შეკრთა. უეცრად გამოერკვა და შენიშნა, რომ ფიქრებში გართული სულ რაღაც ორიოდე ნაბიჯზე მიახლოებოდა ქალიშვილს.

— ბოდიში... მე არაფერი არ მინდა... — დაბნეულად ჩაილაპარაკა მან და იგრძნო, თუ როგორ აეწვა ლოყები. თვალებში სისველე მოაწვა, ტუჩები გაუშრა.

— თუ არაფერი გნებავთ, რატომ ასე დაჟინებით მიყურებთ? — დაბალი, სუსხიანი კილოთი განაგრძო ქალიშვილმა. სათისფერ თვალებში მიუკარებლობის იერი ჩაუგუბდა.

— თქვენ რატომღა მიყურებთ? — ძლივს დაიმორჩილა საკუთარი ხმა არჩილმა.

— მე?! — ქალიშვილმა მხრები აიჩეჩა. — მე აზრადაც არ მომსვლია თქვენთვის შემეხედა.

— მაშ საიდან იცით, რომ მე გიყურებთ? — არჩილი შეეცადა ახლობლის კილოთი ელაპარაკნა და გაღიმებაც კი მოახერხა, მაგრამ არც ხმის კილოს, არც ღიმილსა და არც გონებამახვილობას ქალიშვილზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. იგი რამდენიმე ნაბიჯით გაეცალა არჩილს და ისევ მშვიდი და უშფოთველი გამომეტყველება მიიღო. გარშემო მდგომნი ფარული ცნობისმოყვარეობით უთვალთვალებდნენ მათ გასაუბრებას, რომელიც ეგზომ ხანმოკლე აღმოჩნდა.

მოსახვევიდან ავტობუსი გამოიჭრა. მან თან წარიტაცა ქალიშვილი და მასთან გაცნობის იმედიც.

„დარჩა ერთადერთი იმედი — პორტრეტი!“ — გაიფიქრა არჩილმა. ამ დღიდან საბოლოოდ დაჰკარგა სიმშვიდე. ურჟოლისმომგვრელი შთაგონების წუთებში, როდესაც მოლბერტთან იდგა, იგი ატელიეში შემოსულ „ციალას“ ხედავდა. ფიქრებში ჩაძირული თვალებით აკვერდებოდა იმ მხარეს, სადაც მისი ოცნებისეული სახე ეგულებოდა. პალიტრაზე მრავლდებოდა ფერების სპექტრი. ტილოზე ფუნჯის ყოველი მიკარება აცოცხლებდა „ციალას“ სახეს. უნაზესი კანის ქვეშ აფეთქდა სიცოცხლე. მზის მცხუნვარება იღვრებოდა სათის თვალებიდან. გაგაოცებდათ, თუ როგორ გაუსხლტა სმენას მის ბაგეთაგან მოწყვეტილი ნაზი დაძახილი... თოვლივით სპეტაკი ყელი ოდნავ მოედრიკა ქალიშვილს. აისის ბრწყინვა თინათინობდა გატკეცილ შუბლზე და გიშრისფერ თმებზე... ფუნჯი ისე გადაისროლა, როგორც დაცლილ თოფს გადაისვრიან ხოლმე უკანასკნელი ვაზნის გასროლის შემდეგ. სურათისაგან უკუმდგარი კუთხეში მიდგა.

თავბრუდახვევა და უცნაური სისუსტე იგრძნო არჩილმა. მძიმედ დაეშვა სკამზე. ძარღვებში ლანქერივით დაძრული სისხლი შხუოდა ყურებში... ბნელი კუთხეებიდან შურით, ნატვრითა და აღტაცებით დალესილი ჩურჩული შემოესმა. მოძალებულმა ძილმა დაუნისლა ცნობიერება...

მეორე დილით ავტობუსის გაჩერებასთან ქალიშვილი არ მოვიდა. არჩილი

მთელი ნახევარი საათი ელოდა მის გამოჩენას. ქუჩაში თანდათან მოწყდა დილის ფაცი-ფუცი. მაღალსართულიანი სახლების სახურავებს მზე გადმოდგა. ქალაქში სიცხე და მოთენთილობა ჩამოწვა. ლოდინი ამაო იყო. არჩილმა ბოლოს დაწყვეტით მოათვალიერა ქუჩები და ავტობუსს გაჰყვა. მეორე დილით იგივე განმეორდა. არჩილს ვერ აეხსნა ქალიშვილის გაქრობის მიზეზი. ხან ფიქრობდა, შვებულებაში ან მივლინებაში იქნებაო, ხან კიდევ ეჭვი ეპარებოდა, ვაი თუ ავად გახდაო. საშინლად ნანობდა, რომ ქალიშვილს ერთხელაც არ გაჰყვა ავტობუსში და არ გაიგო მისი სამუშაო ადგილი.

გულჩათხრობილი და სევდიანი გახდა არჩილი. სახლში გული ვერ უძლებდა. მთელი საათობით იმ ქუჩაზე დასეირნობდა, საიდანაც ქალიშვილი გამოდიოდა ხოლმე. ყურადღებით ათვალიერებდა ეზოებს, მალულად ფანჯრებში იყურებოდა.

„ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ ეზოში ცხოვრობს!“ — ფიქრობდა იგი ყოველ ეზოსთან გავლისას.

„ვინ იცის, იქნებ „ციალა“ უკრავს!“ — ფიქრობდა იგი, როდესაც რომელიმე ბინიდან როიალის ხმა შემოესმებოდა.

...შეუმჩნევლად მიილია ზაფხულის ხორშაკიანი დღეები. ჭადრებს ცახცახით ცვივოდა გაფითრებული ფოთლები. ადრეული შემოდგომის დარიან აისებს არჩილი წინანდებურად ქუჩაში ხვდებოდა. თითქოს არაფერი შეცვლილა აქ. ავტობუსის გაჩერებასთან კვლავ გროვდებოდნენ მგზავრები. ქუჩის ბოლოში ისევ ისეთივე ხმაურით აღებდნენ სავაჭროებისა თუ ფარდულების დარაბებს და ფარაჯაში გახვეული დარაჯი მთქნარებით მიემართებოდა შინისაკენ... დიახ, ზაფხულის განმავლობაში არაფერი შეცვლილა ამ ჩრდილიან, მყუდრო ქუჩაში. მხოლოდ „ციალა“ არსად ჩანდა. არჩილი გრძნობდა, რომ ქალიშვილი სამუდამოდ განშორდა ამ მხარეს და მას ვერასოდეს ვეღარ შეხვდებოდა. მაგრამ ყოველ დილით სახლიდან გამოსვლისას იგი მაინც უჩვეულო მღელვარებას განიცდიდა და მშფოთვარე მოლოდინით უახლოვდებოდა ავტობუსის გაჩერებას...

„ციალას“ პორტრეტი არჩილმა ვარაყიან ჩარჩოში ჩასვა და თავის ოთახში დაჰკიდა წიგნის კარადის თავზე. სამუშაოდან მოუთმენლად მიიჩქაროდა სახლში. ახალგაზრდას უჩვეულო გრძნობა დაეუფლა: სახლში თითქოს თვით „ციალა“ ელოდებოდა. ქალიშვილის ხატება ახალი შინაარსითა და ხალისიანი განწყობილებით ავსებდა მთელ მის ცხოვრებას. მაგრამ არჩილის ამაღელვებელ განწყობილებას თან ახლდა სადღაც გულის კუნჭულში დასადგურებული ფარული სევდა.

ერთხელ, როდესაც არჩილი დივანზე იწვა და თვალდახუჭული „ციალაზე“ ფიქრობდა, ოთახში სერგო შეიჭრა.

— ადექი, გრაფო, შენ დიდი საქმეები მოგელის!.. — პათეტიკურად შესძახა მან და არჩილი შეანჯღრია. როგორც ყოველთვის, იგი ახლაც აღგზნებული და მხიარული იყო. — აბა, მიამბე რა ამბავია ფერწერის ფრონტზე?

— რა ბარბაროსობაა! — მთქნარებით ჩაიბუზღუნა არჩილმა და დივანზე ზანტად წამოჯდა. — ინტერვიუს მიღება გსურს?

ერეკლეული ბიბლიოთეკა

— მე ის მსურს, რომ შენ ჩვენს საქმიანობაში ჩაგაბა... არის რედაქციის სპეციალური დავალება...

— ვინმე ნოვატორია დასახატავი?

— საჭიროა მოწინავე მწველავის პორტრეტი. მე მასზე სპეციალურ ნარკვევს ვწერ.

არჩილმა უხალისოდ ჩაიცვა ტანსაცმელი და სერგოსთან ერთად სახლიდან გამოვიდა.

მანქანამ თავი დააღწია ქალაქის ქუჩების ლაბირინთს და გზატკეცილზე გაიჭრა. გარშემო ტყეების სამოსელში გახვეული მთები აზიდულიყვნენ.

— რა მშვენიერი პეიზაჟებია!.. — აღტაცებით ჩურჩულებდა არჩილი.

მაღალი ძაბვის გადამცემი ლითონის ანძები ალანძულიყვნენ მთათა თხემებზე. ქვემოთ, ტაფობში, ექსკავატორები კბეჩდნენ გაქვავებულ მიწას. თვითმცლელები გუგუნით მიჰქროდნენ ხევში დახლართულ გზებზე.

— ა, ძმაო, რა უნდა დახატო! — სერგო სახელოზე ეჭაჩებოდა არჩილს. — შენ კი მგელივით ტყისკენ გაგირბის თვალი. ხედავ რამოდენა არხი გაჰყავთ?.. შენ კი ტყეზე იძახი — რა მშვენიერებაა. გვეყო ეგ მშვენიერება. შიშკინმა საკმარისად დაგვიხატა...

მეცხოველეობის ფერმაში სერგოს შინაურ კაცად ეჭირა თავი. იგი შეუნელებელი ინტერესით ათვალიერებდა სასილოსე კოშკებს, სახბორეს, ძროხების სადგომ ნათელ შენობას, სადაც ყველაფერი მექანიზებული იყო. არჩილი უხალისოდ დაჰყვებოდა მეგობარს. იგი დაღალა ერთი შენობიდან მეორეში ხეტიალმა. სერგომ კი ფერმის მუშაკებთან დამეგობრებაც მოასწრო.

მოწინავე მწველავი, რომელზეც სერგოს ნარკვევი უნდა დაეწერა, ახალგაზრდა გოგონა აღმოჩნდა. შეკითხვებს იგი მორცხვად უპასუხებდა. როდესაც შენიშნა, რომ შორიახლო მდგომი არჩილი ხატავდა, შავგვრემანი ლოყები ალერდანისფრად შეუფერადდა.

— მე რატომ მხატავთ?.. თქვენ ჩვენი ვეტექიმი დახატეთ, — უთხრა მან არჩილს.

სერგო მაშინვე დაინტერესდა, თუ ვინ იყო ვეტექიმი და რატომ თვლიდა ქალიშვილი საჭიროდ მის დახატვას.

— ჩვენი ფერმა მან წამოაყენა ფეხზე! — განაწყენებული კილოთი, თითქოს საყვედურით, ეს როგორ არ იცითო, თქვა მწველავმა გოგონამ.

— აბა, არჩილ გაიქეცი და მოინახულე. მეც ახლავე მოვალ!..

სერგომ უბის წიგნაკში მასალების ჩაწერა განაგრძო. არჩილმა კი ესკიზების ყუთი უხალისოდ აიღო ხელში და ნაჩვენები შენობისაკენ ფეხათრევით გაემართა.

— სად ვნახავ თქვენს ვეტექიმს? — ჰკითხა მან შესასვლელთან ჩამომჯდარ მოხუცს.

მოხუცმა ესკიზების ყუთს შეავლო თვალი და ცერით ღია კარებზე მიუთითა.

— შებრძანდით, იქ იქნება.

პატარა დერეფნის ბოლოში არჩილი ნახევრად გაღებულ კარს მიადგა და ოთახში შევიდა. თარნარებზე სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის გამჭვირვალე ჭურჭლები ელაგა. თოვლისფერ ხალათში ჩაცმული ქალი მისკენ ნელოგზეცევით იდგა და სინჯარაში ჩასხმულ სითხეს სინათლეზე გაჰყურებდა.

— ბოდიში, ვეტექიმს სად... — არჩილს უეცრად სიტყვა გაუწყდა. იღლიიდან გამოცურებული ესკიზების ყუთი იატაკზე ბრახუნით დაეცა.

არჩილის წინაშე „ციალა“ იდგა.

სრულიად მოულოდნელმა და ანაზდეულმა შეხვედრამ ახალგაზრდას გონება დაუნისლა. ნაცნობი გიშრისფერი წარბები, უძირო თვალების მცხუნვარე ელვარება, მზედაკრული ლოყები... ყოველივე ეს იმდენად ნაცნობი, თავისიანი და ახლობელი იყო!.. არჩილს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ეს ქალიშვილი არც არსებულიყოს მის გარეშე, თითქოს მის ფუნჯს შეექმნას იგი ზებუნებრივი აღმაფრენის მწველ საათებში. გარშემო ეს სინჯარები, მინის კარებიანი კარადები და ათასნაირი პრეპარატები რომ არ ყოფილიყო, არჩილი მართლაც იწამებდა ამ ქალიშვილს ოცნებათა სამყაროდან გადმოსულ ხატებად.

მაგრამ რაღაც ახალი შენიშნა მხატვრის თვალმა სათაყვანო ქალიშვილის სახეზე. თვალში თითქოს უფრო ძლიერი ცეცხლი ენთო, მაგრამ მხურვალე სხივებს აღარ აშუქებდნენ ისინი. უპეებთან გაფენილი ჩრდილები მოღლილსა და სათნო იერს ჰფენდა მის სახეს.

— რა გნებავთ? — ქალიშვილის ოფიციალურმა კილომ ახალგაზრდა ფიქრებიდან გამოიყვანა, მაგრამ საყვარელი სახისათვის თვალის მოშორება მაინც ვერ შეძლო.

— ბოდიში, მე ვეტექიმის ნახვა მინდოდა...

— თქვენთვის უმჯობესი იქნება, რომ ფსიქიატრს მიმართოთ! — სათის თვალებში კვლავ ის ნაცნობი მიუკარებლობის შუქი აციაგდა, ტუჩების კუთხეებში დამცინავი ხაზები გაწვნენ.

— მე სავსებით სერიოზულად... — ჩაიბუტბუტა არჩილმა და უმწეოდ მიმოიხედა. იღბლად სერგომ შემოირბინა. კარებში გაჩრილი მხატვარი გვერდზე მისწია და ქალიშვილს ძველი ნაცნობივით მიეახლა.

— სალამი, ამხანაგო რუსუდან!.. თქვენზე იმდენი საინტერესო რამ მიამბეს, რომ, ვფიქრობ, მიზანშეწონილი იქნება, თუ ყოველივე ამის შესახებ ჩვენი მკითხველებიც გაიგებენ.

მწუხრის ბინდი ეპარებოდა მთებს, როდესაც ქალაქში დაბრუნება გადაწყვიტეს. რუსუდანმა მანქანამდე მიაცილა ისინი. გამოთხოვების წინ არჩილმა მხნეობა მოიკრიბა და გადაწყვიტა გარკვეულიყო იმაში, რაც ამდენი ხნის მანძილზე სიმშვიდეს უკარგავდა.

— რუსუდან, ბოლო ხანებში ავტობუსის გაჩერებასთან ველარ გხედავთ...

— დიახ. მე იქ აღარ ვცხოვრობ... — რუსუდანმა კდემით გაიღიმა და ხმადაბლა, თითქოს სხვათაშორის, დასძინა: — უკვე მეოთხე თვეა, რაც გავთხოვდი...

მანქანა მთელი სისწრაფით მიჰქროდა. სერგო თანაგრძნობით ავლებდა თვალს მეგობრის დაძმარებულ სახეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



— ასეა, ჩემო ძმაო, ატელიედან გარეთ ცხვირს არ გამოჰყოფ. ფიქრობდი, რომ რუსუდანიც მთელი სიცოცხლის მანძილზე იმ გაჩერებასთან ივლიდა. ცხოვრება კი ქარიშხალია. ამ ქარიშხალს უნდა მიჰყვე, ნაჭუჭში ჩაძრომა არ ვარგა!.. — მეგობრის ხმაში საყვედურიც ისმოდა და ნუგეშიც.

მანქანა მთას გადაადგა. შემხვედრი ქარი თმებს უწეწდა მგზავრებს. დაბლა ქალაქის უთვალავი ელექტროთვალები ციმციმებდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლიო აბრამია

მეგობრებს

ფრიდონ ხალვაშს,

მამია ვარშანიძეს

თქვენ რომ გისმენდით, უცებ სევდამ წამომიარა
და მომაგონდა საქართველოს ძველი იარა,
ყიზილბაშების ურდოების ხმლების თარეში!

ავენთე ჟინით, მწარე ბოღმამ გაგლიჯა გული,
ტყვე ქართველები წარმომიდგა ხელებშეკრული,
მამელუკებად გაყიდული ხონთქრის მხარეში!

თქვენი აჭარაც წარმომიდგა, იმ დროს რბეული,
მის შვილთა ხელით დღეს წალკოტად გადაქცეული!

ნანა გვარიშვილს

მე კარგად ვიცნობ, ჩემო დაო, კეკლუც აჭარას,
ვიცი, ის ბედმა რა ცეცხლშიაც გამოატარა,
როგორ არბევდა მას მტარვალის მსახვრალი ხელი!

ვიცი, მის დედებს, მის ასულებს დაუხშეს ლხენა,
მზე დაუბნელეს, მშობლიური წაართვეს ენა
და ვერაგ თურქებს ჩადრში ჰყავდათ სამასი წელი!

შენს ნაზ ლექსებში არ მოისმის ხმა ნათურქალი
და მღერი, როგორც ღირსეული ქართველი ქალი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იაკობ მელია

ზაქარია ჭიჭინაძე

სტუმრად წვეული აჭარელის
ყველა ოჯახში.
ირკვევდა მხარეს
და მის წარსულს,
ვაჟკაცურს, საქებს...
მისი გზა იყო
სიყვარული,
და კაცს გულგამლილს,
როგორც მეგზური
ატარებდა
სახალხო საქმე.
ვინ ავალებდა?
სიყვარული გასაოცარი.
როგორც ძმა ძმასთან
ან და კიდევ
მამა შვილებთან
სჯა-ბაასობდა,
იწვებოდა როგორც ლამპარი,
და მიძინებულ
ქართულ კერას ასინათლებდა.
წუხდა, რომ მხარე
მრავალი წლის
წყვდიადმა ტანჯა.
წუხდა მარადის,
ის მოძმეთა დარდის მსახველი.
და ქვეყანაზე
მოკრძალების მშვენებით დარჩა
თავდადებული
ერისკაცის
წვა და სახელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბედნიერება

თუმცა არ ჩანდა სხივთა არილი,
მაინც ეს ფიქრი მქონდა სანგარში:
მალე მიწყდება ხმები განგაშის
და ქარიშხალი მალე გაივლის.

მე დავბრუნდები მშობელ მხარეში,
სად გულის სწორი მელის ოცნებით,
ბედნიერებას ვიპოვი მაშინ
და არასოდეს ჩამოვშორდები.

ო, მეგობრებო! მე ვამბობ ახლა,
ახლა, როს მივწვდი ჩემს გულისწადილს.
ბედნიერება მაშინაც მახლდა,
როცა ვიბრძოდი სამშობლოსათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალოლუ ფაღცისი

დაძლეული თავმოყვარეობა

სმილშკალნსი ფართო ნაბიჯით შევიდა კანტორაში. რუხი საწვიმარი მხრებზე გადაეღელა და კეფაზე ზოლებიანი კეპი მოეგდო. გაოფლილ, დანაოჭებულ შუბლზე მუქი თმების აბეზარი კულული ჩამოშლოდა და დაბღვერილ თვალებზე ებლანდებოდა. არაფერი რომ არ თქვა და იატაკს დაშტერებულმა ჩაუარა მაგიდებს, იმას ნიშნავდა, რომ თავმჯდომარე უგუნებოდ გახლდათ.

ტელეფონის მკვეთრი ხმა გაისმა. მოანგარიშე მაგიდისაკენ გადაიხარა, მაგრამ თავმჯდომარემ დაასწრო და სწრაფად აიღო ყურმილი.

— კოლმეურნეობა „ლუჩი“! — მკვახედ დაიძახა თავმჯდომარემ, — დიახ, მე გახლავართ. რაო, რაო? წვიმა მოდის? შეუძლებელია! კოლმეურნეობაში არ უნდა წვიმდეს, თუ კი ეს გათვალისწინებული არ არის — აი როგორ უნდა ლაპარაკობდეს ბრიგადირი. ამბობენ, რომ თივა გილპება მეჟგალეს მდელოებზე. თუ თივა იქ დარჩა, იცოდე, მეცხოველეები საკვების ნაცვლად ძროხებს ჩვენ თვითონ მიგვცემენ პირში. რაზე ვლაპარაკობდით? ნურაფერს მეტყვი მაგ ლატანზე. მანდ ცხვირის წინ თხმელის მეტი რა გაქვს. შენი ხალხი რომ არ გაგეშვა, გაზაფხულის ნათესი კისერზე არ დაგაწვებოდა. ბუდენლიეკების შესახებ ვიცი, — თავმჯდომარემ გვერდულად გახედა ბუღალტერს და ხმადაბლა განაგრძო, — დიახ, ძალიან გაჭიანურდა ეს ქორწილი. წადი და გამორეკე ყველანი, მაგრამ იცოდე, შენ თვითონ არ დარჩე იქ. სანამ წვიმს, ყველანი სილოსის ჩასადებად გაგზავნე... ვინ არ მოდის სამუშაოდ? პუკიტე? — თავმჯდომარემ ხმას აუწია და შეტრიალდა კუთხისკენ. ძველი ყაიდის წითელი დივანიდან ის იყო წამოდგა ქერათმიანი, წვერმოშვებული მამაკაცი. სმილშკალნსმა თავი მოიკატუნა, თითქოს ახლა დაინახაო, — აი ისიც აქ დგას! კეთილი, კეთილი, ნუ გაიბი. მე თვითონ მოვუვლი...

სმილშკალნსმა ყურმილი დააგდო და, მაგიდასთან მდგომმა, მზერა მიაპყრო ნაცრისფერ ნისლს, რომელშიც ახლო მდებარე მინდვრები ინთქმებოდა. ფიქრობდა, როგორ დაეტუქსა ჯიუტი კაცი, რომელსაც უკვე წაელაპარაკა ორჯერ. პუკიტე კანტორაში გამოიძახეს და თავმჯდომარეს ისეთი სიტყვები უნდა ეთქვა მისთვის, რომ სამუდამოდ დამახსოვრებოდა.

უსიამოვნო დუმილი ქალალდებში თავჩარგულმა ბუღალტერმა დაარღვია, რომელმაც თქვა:

— ემსინამ დარეკა, მოვალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფეხით! ასეთ თავსხმაში? ვერ უთხარი ცხენს ან მანქანას გამოგიგზავნი-თქო? — სმილმკალნსს შუბლზე ორი ღრმა ნაოჭი გაუჩნდა.

— შევთავაზე, მაგრამ მითხრა, მტს-იდან შორს არ არისო.

— რა აქვს გუნებაში, თუ იცი?

— რა ექნება პურის აღების მეტი. მითხრა, უკანასკნელი დეკადის შრომადღეებზე ცნობები მომიმზადეო, — დასძინა ბუღალტერმა, თანაც სწრაფად ავსებდა გრაფებს ქაღალდის დიდ ფურცელზე.

— ამას როგორა აქვს შრომადღეების საქმე, — ანიშნა თავმჯდომარემ პუკიტეზე, რომელიც მაგიდას მიუახლოვდა.

— მეოთხე დღეა სამუშაოდ არ გამოსულა, მაიას კი სულ რამდენიმე დღე აქვს წლის პირველ ნახევარში.

— ჩინებულია, — წამოიძახა თავმჯდომარემ, რომელიც, როგორც იქნა, დაჯდა და თავიდან ფეხებამდე მკაცრად აზომ-დაზომა დამნაშავე. — აბა რა უნდა გიყო? ვის ეჯინები? კოლმეურნეობას, თუ საკუთარ თავს?

პუკიტეს ისედაც მწითურ სახეს ალმური მოედო, სველ ქუდს ჭმუჭვნა დაუწყო.

— რატომ ცხენს არ მაძლევენ? — კითხვაზე კითხვით მიუგო მან.

— ასეთია გამგეობის დადგენილება, — მკვახედ უპასუხა თავმჯდომარემ. — აბა, ძიდრა, ერთხელ კიდევ წაუკითხე ოქმი.

მოანგარიშემ მაგიდის უჯრიდან შავი წიგნი ამოიღო, გადაფურცლა და ხმამაღლა წაიკითხა: დისციპლინის განმტკიცებისათვის... მიიღო რა მხედველობაში, რომ ზოგიერთი შეუგნებელი კოლმეურნე, განსაკუთრებით კი მათი ოჯახის წევრები ავადმყოფობის ან სხვა რაიმეს მომიზეზებით სისტემატურად გაურბიან სამუშაოს და მაინც სარგებლობენ კოლმეურნეობის დოვლათით... გამგეობამ დაადგინა: არ მიეცეთ კოლმეურნეობის ცხენი და სხვა ტრანსპორტი არტელის იმ წევრებს, რომლებსაც არ გამოუმუშავებიათ შრომადღეების მინიმუმი, აგრეთვე შრომისუნარიან წევრებს, რომლებიც არასაპატიო მიზეზით არ ცხადდებიან სამუშაოზე.

— მე პირველ ივლისამდე ასოთხმოცდაათი შრომადღე მქონდა, — სცადა სიტყვის შებრუნება პუკიტემ.

— ცოლს კი არც ერთი! — წამოიძახა თავმჯდომარემ.

— ჩემს ცოლს არ უთხოვია თქვენთვის ცხენი, — უკმეხად მიახალა პუკიტემ, — იქნებ ის არც ჭამს, თქვენ ხომ ეს არ იცით. მე თვითონ ყოველდღიურად ვმუშაობ, ოღონდ შაბათიდან, მას შემდეგ, რაც არ მომცეს...

— ამხანაგო პუკიტე, — თავი წამოყო ბუღალტერმა, — არც ისე შეიძლება, მოგეხსიათოს და სამუშაოდ არ გამოხვიდე. მეურნეობაში წესრიგია საჭირო, ძველებურად აღარ შეიძლება. მაია ჯერ ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ქალია. გაზაფხულზე, მეჟგალეს ფერმაში დასახმარებლად წასვლა რომ იყო საჭირო...

— თქვენ უკეთესად იცით, შეეძლო მაიას წასვლა თუ არა, — პუკიტემ ცისფერი, მღელვარებისაგან აელვარებული თვალები მიაპყრო მას, — თქვენი ცოლი კი რატომ არ წავიდა, ბევრად შორი გზა ხომ არ უნდა გაევლო? არც თავმჯდომარის ცოლს აქვს მეტი შრომადღეები.

— აბა, აბა, დემაგოგიას თავი დაანებე! — სმილშკალნსმა მუშტი დაარტყა მაგიდას. — შენი საქმე არ არის, სად და როდის იმუშავებენ ისინი, ოღონდ ისიც კარგად იცი, რომ ვიტინა საბავშვო ბაღის გამგეა, რატომ შენი შვილები რიგში არ მიიყვანე? გეშორებათ, არა?.. ზამთარში, როცა ხუტორში გადმოსვლა შეგთავაზეთ, ქვა ააგდეთ და თავი შეუშვირეთ. ნეტავ, რას ფიქრობ? გინდა მთელ კოლმეურნეობას დაუპირისპირდე?

— თქვენ არა ხართ მთელი კოლმეურნეობა...

სმილშკალნსი ისე შეხტა სკამზე, გეგონებოდათ გულბოყვში რაღაც ჩაწყდაო. პუკიტე ინსტინქტურად მოშორდა მაგიდას, მაგრამ თავმჯდომარემ ერთი ამოიოხრა და, სანამ დამშვიდდებოდა, ხმა აღარ ამოუღია.

— კოლმეურნეობა არც მე ვარ და არც შენ, — ძლივს გასაგონად თქვა ბოლოს თავმჯდომარემ, რომელიც ქვეშ-ქვეშ უყურებდა პუკიტეს. — მაგრამ ყველა, ვინც აქ მუშაობს, — მან თითით უჩვენა ბუღალტერი, მოანგარიშე და საწყობის გამგე, რომლებსაც თავები ჩაერგოთ ქაღალდებში, — და ისინი, ვინც მინდვრებზე და ფერმებში მუშაობენ, კუთხიდან კუთხეში არ დაეხეტებიან, ბაზრებში და ტირიფობაზე როდი დაწანწალებენ, როცა მოსავალი იღუპება და პირუტყვს საკვები არა აქვს. შენ პირველი იყვირებ კრებაზე: თავმჯდომარე ცუდი მეურნეა, თავმჯდომარე დამნაშავეა. მდივნები კი, ემსინას მეთაურობით, შენ კი არა, მე მიხმობენ რაიონში ტყავის გასაძრობად. არა, ძამიკო, წინათ რომ ყველა იმას აკეთებდა, რაც მოესურვებოდა, აღარ გაგივათ. დისციპლინა უნდა იყოს! კვლავ გეკითხები: რატომ არ გამოდიხარ სამუშაოდ?

— რატომ ცხენს არ მაძლევენ? — ჯიუტად იმეორებდა პუკიტე.

— ეს კიდევ თავისას იძახის, — გაშალა ხელები სმილშკალნსმა.

— თავმჯდომარევ, — წამოყო თავი ბოლოს საწყობის გამგემ, — ეგ სამი პატარა ბავშვის პატრონია და ცოლი მართლაც ავად ჰყავს, შარშან კარგად მუშაობდა. წისქვილში საფქვავის წასაღებად კი ცხენი უნდა მიგვეცა.

— არა! — მტკიცედ თქვა სმილშკალნსმა და პუკიტეს ზურგი შეაქცია, — კარგად ვიცით, რა მშვენივრადაც მუშაობდნენ აქ შარშან. გაზაფხულზე გაძვალტყავებული პირუტყვი ფეხზე ძლივს იდგა, კოლმეურნეებს გროშებს და გრამებს ურიგებდნენ. საკარმიდამო მიწები ყველას მოვლილი ჰქონდა, კოლმეურნეობა კი არავის ადარდებდა. მე ამას არ დავუშვებ, ამისათვის გამომგზავნეს აქ. ვისაც არ სურს სამუშაოდ გასვლა, ანგარიშს არ გაუწევს გამგეობის დადგენილებას, მისი ადგილი კოლმეურნეობაში არ არის.

თავმჯდომარემ ნერვულად დაუწყო ფურცვლა დოკუმენტებს, რითაც იქ მყოფთ ლაპარაკის დამთავრება აგრძნობინა.

თამბაქოს კვამლით დაბურულ ოთახში ისევ უსიამოვნო დუმილი ჩამოვარდა. მხოლოდ ქაღალდის შარიშური და ფანჯრის მინაზე დაცემული წვიმის წვეთების კაკუნი ისმოდა. ხელში ქუდჩაბღუჯული პუკიტე ცოტა ხანს კიდევ იდგა, თითქოს რაღაც უნდოდა ეთქვა, საწყობის გამგეს გადახედა, მაგრამ თვალი ვერ გაუსწორა, სწრაფად შეტრიალდა, დიდი ნაბიჯებით გასასვლელისაკენ გაემართა და მაგრად მიიჯახუნა კარები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

პუკიტემ მშვიდად ჩაუარა კანტორის ფანჯრებს, მაგრამ ალუმინიუმის ძველი ვაშლის ხეებით დაბურული თხრილის ნაპირთან რომ მივიდა, თითქმის სირბილით დაეშვა ბილიკზე. ბალახში ვაშლები ეყარა. სხვა დროს იგი აქ გავლისას ჯიბეებს გამოიტენიდა, ახლა კი გულმოსულად ფეხი გაჰკრა ლოყაწითელ ვაშლს.

ყელში მობჯენილმა ბოღმამ გზა მონახა. რაც თავმჯდომარეს არ უთხრა, იმას ახლა თავისთავს ეუბნებოდა: — განა არ ვმუშაობდი? მაშ ვინ მოხნა და დათესა ზეგნები, სადაც ტრაქტორი ვერ მიუდგებოდა? პირველმა ვინ გაიტანა ნაკელი და ვინ მოთიბა მდელო? თუ სადმე ძნელი სამუშაოა, არიქა, პუკიტე, დაგვეხმარეო. მაგრამ როცა ცხენი დასჭირდა წისქვილში საფქვავის წასაღებად, მაშინ — მაია არ მუშაობდაო. რა მისი საქმეა, თუ ადამიანს სიარული არ შეუძლია და შინ პატარა ბავშვები ჰყავს. საბავშვო ბაღში წაიყვანე ბავშვებიო... თითქოს ეს ბაღი დიდი ხნისაა და აქვე იყოს ცხვირწინ. განა ადვილია სამ-ოთხ კილომეტრზე ბავშვების ტარება, მერე კიდევ პატარას არც კი იღებენ. ხუტორში არ გადადისო. განა არ გადავიდოდი, ამ სახლის ზურგზე წამოკიდება რომ შემეძლოს? რატომ თავიდან არ თქვეს სახლი იქ ამეშენებინა, ამ მიყრუებულ კუთხეში შეძრომას აბა ვინ ისურვებდა. ახლა კოლმეურნეობა გაიზარდა, მთელ თემს მოედო. განა თავმჯდომარემ იცის, ვინ დაყიალობს ბაზარში, რელიგიურ დღესასწაულებზე, ვინ რას ჭამს, და ძალიან იწუხებს თავს იმაზე ფიქრით, თუ ვინ გამოდის ან არ გამოდის სამუშაოდ? თავი ახალ ცოცხად მოაქვს და ერთნაირად ხვეტავს ბრალიანსაც და უბრალოსაც...

წვიმა სახეში ურტყამდა ფიქრში გართულ პუკიტეს. მსხვილი წვეთები ცრემლებივით დაცურავდნენ განაწყენებული კაცის ღაწვებზე. პუკიტე მითხლაშუნებდა სველ მდელოზე, სადაც უკვე ამოეწურა კარგ აქვიტს. ეს მეორე ბრიგადის მდელო იყო. პუკიტემ ყველას დაასწრო თიბვა, ჯერ კიდევ ლიგის დღესასწაულამდე, სულ ცოტა ხნის წინათ უხაროდა, მალე მეორედ თიბვას შევუდგებიო. თანაც წვიმაზე ფიქრობდა, მუშაობაში ხელს მიშლისო. ახლა კი ბრაზი აღრჩობდა — „დე იწვიმოს, ყველაფერი დალპეს, დაიღუპოს!“.

ჭალას რომ შემოუარა, გზაზე უნდოდა გასვლა, მაგრამ თვალი მოჰკრა ვიღაცას და სწრაფად გაბრუნდა საგზაფხულო ხორბლის ნათესებში. ყანა ოქროსფერ ტბასავით ღელავდა. მსხვილი, დამძიმებული თავთავები ერთმანეთს მიყრდნობოდნენ, თითქოს ნაღვლობდნენ, რომ არავინ მოდიოდა დიდი ხნის წინათ დამწიფებული მარცვლის ასაღებად. პუკიტემ რამდენიმე თავთავი მოწყვიტა, ხელში გამოფშვნა, დახედა და გაიფიქრა — „მშვენიერი მოსავალი იქნება. ნეტავ გადაიღებდეს, უკვე შეიძლება კომბაინის გაშვება“. ის იყო დაეპირა ხორბლის მარცვლების პირში ჩაყრა, რომ უცებ, თითქოს ხელისგული აეწვაო, სწრაფად გადაჰყარა ისინი. „არაფერი არ მინდა, არაფერი!“ გაიფიქრა მან, დიდი ნაბიჯებით ტალახიანი თხრილის ნაპირს აუყვა და ოქროსფერ პურის ყანას თვალი აარიდა. მეჟგალეს მდელოების განაპირას რომ გავიდა, იგი განცვიფრებული შეჩერდა — ნათიბი წყალში ლპებოდა, მოთიბული წვნიანი ბალახი აუღებლად დაეტოვებინათ, ზემოდან ნაცრისფერი ფოკვი

მოდებოდა. პუკიტემ ჩექმის წვერით გადაქექა თივა — მწვანე, სულ ნორჩი ბალახი გამოჩნდა. „ჰმ, შე რა გითხრა, ბრიგადირო, განა არ შეგეძლო ამ ბალახი?“ — ხმამაღლა წამოცდა და მაშინვე დამცინავი ხმა შემოესმა: „ვინ აბუტინავს, როცა ბუდენლიეკებთან ქორწილია, პუკიტე კი ბრიგადაში სამუშაოდ არ გამოდის“...

უეცრად დანაშაულის ბუნდოვანმა შეგნებამ გაიღვიძა მასში. თითქოს შეეშინდაო, მყისვე შეაქცია ზურგი მდელოს და ტყის პირს ჩაფიქრებული გაჰყვა შინისაკენ. აი, გამოჩნდა შიფერის ნაცრისფერი სახურავი. ეს ის სახლია, რომელიც მან მაიასთან ერთად ააშენა ომის შემდეგ, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ მიწა მიუზომა. გული ეტკინა. რა უთხრას მაიას? მას ხომ უნდოდა პუკიტე ტკბილად მოლაპარაკებოდა თავმჯდომარეს, დაეძლია სიჯიუტე და ბრიგადას დაბრუნებოდა. პუკიტე სწორედ ამ განზრახვით მივიდა კანტორაში, იმედოვნებდა, რომ დამშვიდებით მოელაპარაკებოდა თავმჯდომარეს. ის ჯერ ახალი კაცია კოლმეურნეობაში, ხალხს არ იცნობს და განა ნაწილობრივ მართალიც არ არის?! რამდენი დღეა განუწყვეტლივ წვიმს და საქმეს თავი ვერ მოება. ამასთან განა ცოტანი არიან ისეთები, რომლებიც მუშაობას გაურბიან, ათასნაირ ხრიკებს და კაპრიზებს იგონებენ. ნებისყოფა რომ ჰქონოდა, მაიასაც შეეძლო რამდენიმე დღე დახმარებოდა მწველავებს, როცა ისინი ფერმებს იცვლიდნენ. მაიას კიდევაც უნდოდა წასვლა, მაგრამ მან თვითონ არ გაუშვა, ეუბნებოდა: „მოანგარიშის ცოლი — ვიტინა წავიდეს, მას ბავშვები არა ჰყავს“... მაიას რომ მოენდომებინა, შეეძლო ზაფხულშიც დახმარებოდა კოლმეურნეებს, პატარებს მოხუცები მიხედავდნენ. განა დედას არ უამბნია მისთვის, თუ თვითონ როგორ გაიზარდა მინდვრის პირას და საძოვრებზე...

რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს, მით უფრო უფორიაქებდა სული. პირველმა ბრაზმა გაუარა, მაგრამ დიდი ნაღველი მაინც აწვა გულს, გაურკვეველმა ძრწოლამ და ეჭვმა შეიპყრო იგი. რა უთხრას მაიას?

* * *

— გამარჯობათ, ამხანაგებო! რას დამჯდარხართ და იბღვირებით ჭოტებივით, — თქვა ემსინამ, როცა კანტორაში შევიდა. თავსახური გადაიგდო და საწვიმარიც გაიძრო. სმილშკალნსი დასახმარებლად წამოხტა, მოანგარიშე და საწყობის გამგეც წამოდგნენ.

— ჯერ შენ გაიხადე, მერე დაეხმარე მანდილოსნებს,—უთხრა მას ემსინამ და პალტო გაიხადა. — გასაკვირია, რატომ ქუდი არ გხურავს თავზე? — ალმაცერად გადახედა სმილშკალნსის კულულს, რომელიც უწესრიგოდ ჩამოვარდნოდა შუბლზე. ემსინა თითქმის ერთი თავით მაღალი იყო სმილშკალნსზე. მისი ახოვანი ტანი, ჭაღარა თმები და ყოვლისგამჭვრეტი მზერა ხშირად აცბუნებდა თავმჯდომარეს. იგი ოდნავ წამოწითლდა, თმებზე ხელი გადაისვა და თქვა:

— ფეხით, ასეთ თავსხმაში? რატომ არ დარეკეთ, კოლმეურნეობას საკმაოდ ჰყავს ცხენები, სამიოდე მანქანაც მოგვეძებნება.

— ამბობენ, ტრანსპორტი არ ჰყოფნის კოლმეურნეობასო, — ემსინამ მრავალმნიშვნელოვნად შეხედა თავმჯდომარეს. — ხალხიც ცოტა გყავთ, მაგრამ ისინიც სამ-სამი დღე დაქეიფობენ ქორწილში და სხვა დღესასწაულებზე... აჰა სავარცხელი, ხელით რას აწვალებ მაგ ქოჩორს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მან გაუწოდა სმილშკალნსს სავარცხელი, თანაც გაიხედ-გამოიხედა, რომ პალტოს დასაკიდებელი ადგილი მოენახა და ჩაილაპარაკა:

— საკიდებელი კიდევ არ გაქვთ, აბა მაშინ ხელში დაიჭირე! ალბათ, იმიტომაც არ იძრობ პალტოს.

თავმჯდომარემ უხერხულად გაიღიმა, პალტო ჩამოართვა, მეორე ოთახში გავიდა, თავისი პალტოც იქ დატოვა და გამობრუნდა. მას თმებიც დაევარცხნა და ბევრად უფრო ახალგაზრდა და სასიამოვნო შესახედავი იყო. სავარცხელს რომ უბრუნებდა, თავმჯდომარე თავის მართლებას მოჰყვა:

— სულ მეკარგება სავარცხლები. ასეთ პირობებში კაცი ბანჯგვლიან დათვს ემსგავსება: შენ ბგონია ადვილია აქ ბრძოლა? ახლა კიდევ ეს ოხერი წვიმა!

— ადვილი მხოლოდ ენის ტარტალია, ამხანაგო თავმჯდომარევ, — მიუგო ემსინამ. — წვიმს... ცუდია, ამდენხანს რომ გასტანა, მაგრამ წვიმის გულისათვის ტლინკების ყრა მაინც არაა საჭირო. მზე რომ ანათებდა, ზოგიერთები თავს მაშინაც ცუდად გრძნობდნენ, ვერასგზით ვერ გამოვიდნენ სათიბში. მზე რომ მიწაზე გადმოვიდეს, იქნებ მაშინაც არ მოეწონოთ? ასეა თუ ისე, ცაც რომ ჩამოიქცეს, სამუშაო უნდა დამთავრდეს... დაჯექით, ფეხზე რას დამდგარხართ, — სამივეს ანიშნა ემსინამ, რომელმაც სკამს წაავლო ხელი და მაგიდის ბოლოში დაჯდა. თავმჯდომარე და ბუღალტერი მორჩილად დასხდნენ, საწყობის გამგე კი შეუმჩნევლად გაძვრა კარებში.

ემსინა რამდენიმე ხანს ჯიუტად უყურებდა ორივე მამაკაცს სახეში, მიაწყმოაწყო მაგიდაზე გაბნეული წიგნები და თითქოს სხვათაშორის იკითხა:

— თქვენთან ახლა პუკიტე ხომ არ ყოფილა?

— როგორ არა, იყო, — უპასუხა თავმჯდომარემ, რომელიც სულ არ მოელოდა ამ შეკითხვას. მას ბევრს უსაყვედურებდნენ, მკაცრად ექცევი პუკიტესო, მაგრამ ცდილობდა თავი დაერწმუნებინა, რომ სხვაგვარად არ შეეძლო მოპყრობოდა მას.

— დავინახე, ხელების ქნევით რომ მიაბიჯებდა მდელოზე, დავუძახე — ემანდ მარტოკა რას იქნევ ხელებს-მეთქი, მაგრამ თავიც არ მოუბრუნებია. ან ვერ გაიგონა, ან კიდევ არ უნდოდა გაეგონა, — თქვა ემსინამ.

— არ უნდოდა გაეგონა, — დასძინა სმილშკალნსმა, რომელიც ჰდივნის მზერას გაურბოდა.

— რა გადაწყვიტე? — უეცრად ჰკითხა ემსინამ.

— ცხენების თაობაზე?

— დიახ, იმ ცხენების თაობაზე, რომლებიც, შენი სიტყვით, კოლმეურნეობას არ აკლია. იქნებ სტუმრების გადასაყვან-გადმოსაყვანად კმაროდნენ ისინი, მაგრამ როცა კოლმეურნეს საფქვავი უნდა წაიღოს წისქვილში, მაშინ აღარ კმარა?

— ჩემთან შევიდეთ, — უხერხულად წამოდგა თავმჯდომარე.

— იქაც შევალთ, — მიუგო ემსინამ და ადგილიდან არ დაძრულა, სმილშკალნსი იძულებული გახდა დამჯდარიყო, — ჩვენ ხომ საიდუმლოს არ ვლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარაკობთ, — განაგრძობდა ემსინა, — იქნებ კარგიც იყოს, რომ ბუღალტერი გვისმენს... მაშ ცხენები მაინც არ მიეცი, არა?

— არ მივეცი! — სმილშკალნსი წელში გაიმართა. — მე მგონი არსებობს პარტიისა და მთავრობის დადგენილება კოლმეურნეობაში დისციპლინის განმტკიცების შესახებ.

— სწორია, — მშვიდად მიუგო ემსინამ, — ამიტომ პირველ რიგში იმათ უნდა მიხედო, ვინც თიბვის დროს რამდენიმე დღე ქორწილში ქეიფობს. რასაკვირველია, კარგია და, რაც მეტი სიმხიარულე იქნება, უკეთესია, მაგრამ მგონია, რომ ერთი დღეც კმარა, განსაკუთრებით ასეთ დროს, როცა საქმე თავსაყრელია.

— მე ვუთხარი ბრიგადირს, წავიდეს და წესრიგისაკენ მოუწოდოს მათ,— სმილშკალნსმა საფერფლეში ნამწვავს დაუწყო სრესა.

— გაგზავნე, რათა ისეთ დღეში ჩავარდეს, როგორშიც შენ და ბუღალტერი იყავით გუშინ, არა?

თავმჯდომარემ პირი მიიბრუნა, ბუღალტერმა კი უფრო ღრმად ჩარგო თავი ქაღალდებში. ემსინამ მაგიდიდან დიდი ფურცელი აიღო და გადაათვალიერა.

— ვხედავ, რომ ამ სიაში პუკიტე უკანასკნელი არ არის, — თქვა ბოლოს ემსინამ, — ბევრად უარესებიც გყოლიათ. არც ის მექორწილენი არიან პირველ ადგილზე. როგორ ეწყობი მათ?

— არა უშავს, ზოგიერთი უკვე მოვიდა ჭკუაზე, — ჩაილაპარაკა თავმჯდომარემ.

— ყველას ერთი არშინით ზომავ? მე ვიყავი პუკიტეებთან. მათ სამი შვილი ჰყავთ, მაია კი ზაფხულში ავადმყოფობდა.

— მერედა, რატომ ექიმის ცნობა არ მოიტანა? — წამოიწყო ბუღალტერმა.

— თქვენ, რასაკვირველია, ქაღალდები უფრო გაინტერესებთ, ვიდრე ადამიანები, — შეაწყვეტინა მას ემსინამ. — როდისმე თუ ყოფილხართ მათთან?

ბუღალტერი დუმდა, თავმჯდომარემ კი თავი მოიქექა და ჩაიბურტყუნა:

— ზამთარში, როცა კოლმეურნეობა ჩავიბარე, ერთხელ ვიყავი, მეტჯერ ველარ მოვახერხე. ძალიან მივარდნილ კუთხეში ცხოვრობენ... მაშინ მაია კარგად იყო. ბავშვები? ბევრს ჰყავს ბავშვები, მაგრამ მაინც გამოდიან სამუშაოდ.

— ისევ ერთი არშინით ზომავ, თავმჯდომარეო.

— რა ვიცი, იქნებ შევცდი, — თავმჯდომარე სახეზე წამოწითლდა. — ამ საკითხს გამგეობა განიხილავს და გამოასწორებს შეცდომას.

— შენ თვითონ არ შეგიძლია გამოასწორო?

— ნუთუ გინდა, რომ ხვეწნა დავუწყო? — გაცხარდა სმილშკალნსი.

— რატომ? — ემსინამ მხარზე დაადო ხელი, — არც შენ უნდა ეხვეწო, არც მან. შენ უნდა იცოდე, რა სტკივა მას. მას კი უნდა ესმოდეს, რისთვის იბრძვი შენ. თქვენს კოლმეურნეობაში ისედაც ცოტა ხალხია და ტყუილ-უბრალოდ რატომ უნდა აწყენინო მათ, უმიზეზოდ რატომ უნდა ჩამოაგდო უსიამოვნება.

— მეც ხომ მხოლოდ ადამიანი ვარ, — მკვეთრად თქვა სმილშკალნსმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, ამასთან კოლმეურნეობის თავმჯდომარე და კომუნისტი, — წუნარად მიუგო ემსინამ და წამოდგა.

კანტორაში რამდენიმე კოლმეურნე და აგრონომი ქალი შემოვიდნენ — მეფუძენი მიესალმა მათ, გამოელაპარაკა, მერე კი ცოტა ხანს გვერდით მიუჯდა აღმრიცხველს, ჰკითხა რას შვრებიან კომკავშირელები, როგორ მიდის დაუსწრებელზე სწავლების საქმეო, მერე თავმჯდომარესა და აგრონომს დაეხმარა ახალი სამუშაო გეგმის შედგენაში და, როცა სმილშკალნსი საქმეს მორჩა, მეგობრულად უთხრა:

— ახლა კი წამოდი, შენი ოჯახი დავათვალიეროთ.

* * *

ღამით ქარს გაეფანტა მძიმედ ჩამოწოლილი ღრუბლები და ისინი ახლა დაგლეჯილ ბადესავით დაცურავდნენ ცაზე. ზოგჯერ მკვეთრად გამოანათებდა ხოლმე დილის მზე, რომელმაც ადრიანად გამოაღვიძა სმილშკალნსი. მას ცოტა ეძინა ღამით. ნასადილევს მთელი დრო ემსინასათვის ახსნა-განმარტების მიცემას მოანდომა, მერე კი გამგეობის სხდომა ჩატარდა. ღამით მდივანი ქალი შინ წაიყვანა და, რომ დაბრუნდა, თავს ისე გრძნობდა, თითქოს ცხელი აბანოდან გამოვიდაო — სუფთა და ჯანზე მოსული. ჩაცმისას კვლავ მოაგონდა ემსინას სიტყვები: „ძნელია შეცდომის აღიარება, მაგრამ უფრო ძნელია თავმოყვარეობის დაძლევა. მიუხედავად ამისა, ეს უნდა გააკეთო. კოლმეურნეთა ნდობას მარტო იმით ვერ დაიმსახურებ, რომ მიწის კარგი ხვნა, დროზე თესვა, ყანის დამუშავება, მოსავლის აღება და სახელმწიფოსა და კოლმეურნეებთან ანგარიშის გასწორება უზრუნველყო. შენ უფრო მეტი, მეტი უნდა იცოდე, მეტს უნდა ხედავდე და გრძნობდე, უნდა იცოდე და გრძნობდე, რას ფიქრობენ და განიცდიან ადამიანები, რომელთაც შენი იმედი აქვთ და სწამთ, რომ ყოველთვის სამართლიანად გადაჭრი ყველანაირ საკითხს. მარტო ის კი არ უნდა იცოდე, არიან თუ არა კოლმეურნენი მაძღრები და შემოსილნი, ესაჭიროებათ თუ არა წისქვილში ან ბაზარში წასვლა, არამედ ისიც, თუ როგორ არიან მათი ბავშვები, რომელ სკოლაში სწავლობენ, რანაირ წიგნებს კითხულობენ ოჯახში, დადიან თუ არა თეატრსა და კინოში და ბევრი სხვა, რაც ადამიანს უცებ არ მოაგონდება. შენ ძველი მამულის მოურავი კი არა ხარ, რომელიც მხოლოდ ბატონისა და შინაურებისათვის ზრუნავდა, თუმცა ჭკვიანმა მოურავმა ზოგი ასეთიც იცოდა. შენ ხარ საბჭოთა კოლექტიური მეურნეობის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც თავისი მუშაობისათვის. პასუხს აგებს ყველა კოლმეურნის, მთელი ხალხის წინაშე, ეს არასოდეს არ დაივიწყო! არც ის დაგავიწყდეს, რომ მარტო არა ხარ, შენს ირგვლივ ბევრი კარგი ადამიანია და მიეცი მათ საშუალება დაგეხმარონ, რომ მართლაც საერთო ძალებით აშენოთ თქვენი მეურნეობა. არასოდეს არ გაიბღინძო იმის გამო, რომ მოიპოვე მათი ნდობა. თუმცა დიდი პასუხისმგებლობა გაკისრია, მაგრამ სინამდვილეში არაფრით არა ხარ მეტი რომელიმე კოლმეურნეზე, მათ შორის პუკიტეზე. ის უბრალო ადამიანია, ღარიბი გლეხის ოჯახში გაზრდილი. მთელი თავისი ახალგაზრდობა კულაკებს ემონებოდა, ამიტომ არის ასეთი გაუბედავი, უთქმელი, იქნებ ცოტა წვრილმანიც. შენი ვალია, აქციო იგი მამაც. გულღია,

ცოდნას და ყოველგვარ სიახლეს მოწყურებულ კაცად. იგი სულ 35 წლისა, ცოტა შენზე უმცროსი, მაგრამ ორივეს ცხოვრება წინა გაქვთ და ურიგოდ ... დი იქნება, თუ მას შენს მოადგილედ, შენზე უკეთეს მეურნედ გამოსწრ...

ცოლს უკვე მოეწველა ძროხები და ახლა სამზარეულოში საქმიანობდა. სმილშკალნსი შევიდა თუ არა, ცოლმა ჩვეულებისამებრ რძიანი ფინჯანი გაუწოდა და ჰკითხა:

— თავი არ გაგისივდა გუშინს აქეთ?

— თითქოს გამისივდა, მაგრამ დავიმსახურე ეს, — წყნარად მიუგო მან. სმილშკალნსმა რძე დალია, ზედ კარაქიანი პური მიატანა და გავიდა. სწრაფად ჩაირბინა ფერდობი, მდელო გადასერა და პირდაპირ პურის ყანას მიაშურა. სმილშკალნსმა ხელი შეავლო მძიმე თავთავებს და გაიფიქრა: ნასადილევს შეიძლება მოიმკას, ჯერ კიდევ არ არის გვიანო.

თხრილის პირას მიმავალი თავმჯდომარე ჭალაში მდგომ ნაცრისფერ შიფერიან სახლს გაჰყურებდა და გუნებაში მსჯელობდა: შიგ ტყეში შეძვრნენ. როგორმე ამ ზამთარს ხუტორში უნდა გადმოვიყვანო. დასანგრევიც რომ გახდეს ის სახლი და ახლის აშენება დამჭირდეს, მაინც უნდა გავაკეთო ეს. მეჟგალეს მდელოების ბოლოში რომ გავიდა, თავმჯდომარემ შეხედა წყალში ჩამბალ თივას, თავი გადააქნია და წამოიძახა: „აი უნამუსობა! კარგი, რომ ემსინამ არ იცის... გუშინ, როცა მეორე ბრიგადის ხელმძღვანელს ველაპარაკებოდი, არც კი მიფიქრია, რომ აქ ასეთი კარგი თივა იღუპება. ახლა კანტორის თანამშრომლისა და ყველა ქალის დახმარებაც რომ დამჭირდეს, თივა სასწრაფოდ უნდა გადავარჩინო“.

მდელოდან სმილშკალნსი ტყის ნაპირზე გავიდა. პუკიტე თავისი სახლის კარებთან იდგა და ხელში ნაჯახი ეჭირა. სმილშკალნსს, ცოტა არ იყოს, საქციელი წაუხდა.

— დილა მშვიდობისა, საით გაგიწევია, შეშაზე? — ჰკითხა მან.

— მე, მე... — გაუბედავად დაიწყო პუკიტემ, — მინდოდა საზვინე ხე მეშოვა... აგერ ცხვირწინ თივა ლპება წყალში. მაგრამ ჯერ ბრიგადაში მინდა მივიდე.

— არ წახვალ ბრიგადაში, — გულზე მოეშვა სმილშკალნსს და ქუდი კეფაზე გადაიწია. — თხმელნარში გასწი, მეჟგალეს მდელოებზე. ბრიგადირთან მე მივირბენ. ხედავ, მზე კვლავ დასეირნობს მიწაზე, — თქვა თავმჯდომარემ და უხერხულად გაიღიმა.

— დიახ, ღამით ამინდი შეიცვალა, — პუკიტემ ახედა ცას და მყისვე შვება იგრძნო. — ეს ერთი ხანია ფეხებდაბორკილი ვიყავი, ახლა კი თვითონ მომთხოვეს დაუყოვნებლივ წავსულიყავ.

— დიახ, შეიცვალა, — გაიმეორა სმილშკალნსმა. — ყველაფერი კარგად მოეწყობა. რამდენი გაქვს საფქვავი?

— საფქვავი? — ანაზდად იკითხა პუკიტემ და სახლისაკენ გაიხედა, — ორი ფუთი ჭვავი და ერთი თოპრაკი ხორბალი.

— ხვალ მოვა მანქანა და წაიღებს, — უთხრა სმილშკალნსმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ მთლად კარგი იქნება! მაგრამ ორი კვირა შემიძლია შევიკავო, — წამოიძახა პუკიტემ.

კარებში მაია გამოჩნდა. ცოტა ფერმკრთალი და თითქოს შეშინებულიც.

— დილა მშვიდობისა, თავმჯდომარევ, შემობრძანდით, — მიიპატიჟა მაიამ.

— არა, არა, ახლა არ მცალია, ახლა არა, — გაიმეორა თავმჯდომარემ, — და მაიას დააკვირდა. — კვირას კი უეჭველად მოვალ. ჯანზე როგორა ხარ?

— ახლა არა მიშავს, — მიუგო მაიამ. — თიბვის დროს უარესად ვიყავი. მალე შევძლებ მუშაობას, ოღონდ ბავშვების დატოვება შემეძლოს სადმე.

— ამაზეც მოვილაპარაკოთ.

— რასაკვირველია, მოვილაპარაკებთ. მაშ გელოდებით.

მაია ახლაც სიამოვნებით მოელაპარაკებოდა თავმჯდომარეს, მაგრამ მამაკაცებს არ ეცალათ: ერთი ბრიგადაში უნდა გაქცეულიყო, მეორე — მდელოზე. ტყემდე ერთად იარეს, იქ თავმჯდომარემ გზისკენ გადაუხვია. პუკიტე კი თხმელნარში შევიდა. მაია ცოტა ხანს იდგა კარებში, უყურებდა ვისვალდისი ბილიკზე როდის გამოჩნდებოდა. როცა პუკიტემ მხრებზე გადებული თხმელის საზვინეთი უკან მოიხედა, მაჟამ შვებით ამოისუნთქა და ოთახში შევიდა.

ქარი კვლავ მიერეკებოდა ღრუბლებს, ხორბლის ყანა ოქროს ტბასავით ღელავდა.

ლატვიურიდან თარგმნეს **რუთა** და **ელფრიდა ბეროძეებმა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ართიღაყვა

ვენაცვალე

**სამშობლოდან გადახვეწილ ქართველებს
თან მიჰქონდათ თითო მუჭა მიწა, რათა
სიკვდილის წინ გულზე დაეყარათ,**

სამშობლოზე წმინდა ლოცვით
თვალები რომ დაეხუჭათ,
სამშობლოდან წაღებული
მიწა ჰქონდათ ერთი მუჭა...

ჩემო მიწავ!
თითო მუჭით
ყოველ მხარეს გაზიდულო,
პატარავ და მაინც დიდო,
მაინც ცამდე აზიდულო.

ვენაცვალე ყველა ვაჟკაცს,
ღირსეულად ვინც იცოცხლა,
ვინც ქართული მიწის მადლი
ადიდა და შორს გასტყორცნა.

ვენაცვალე
ყველას, ვინაც
არ ეძებდა ლალს და მარჯანს,
ვის სიცოცხლე ქვეყნისათვის,
ხალხისათვის დაუხარჯავს.
ვინაც მოკვდა და სიკვდილზე
სიკვდილითვე გაიმარჯვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორხან ქემალი

პატარეგი და დიდეგი

ყვითლად შეღებილი სახლის კარებთან ბრმა ქალი ნაღვლიანად მღეროდა და მოწყალებას ითხოვდა. მისი ექვსი წლის ვაჟი, რომელსაც ფუფხიან თავზე ჭუჭყიანი ქუდი ეხურა, იქვე სიგარის კოლოფებით თამაშობდა. მან ასფალტზე წრე მოხაზა, კოლოფები ერთი მეორეზე დააწყო, შემდეგ ათი-თხუთმეტი ნაბიჯით მოშორდა, კრამიტის ნატეხი ესროლა და წრის გარეთ გაჰყარა ისინი. ბავშვი აღტაცებით თამაშობდა, ზოგჯერ უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა; როდესაც ერთი გასროლით გაყრიდა წრიდან გაცრეცილ გახუნებულ კოლოფებს, სახე კმაყოფილებით გაუბრწყინდებოდა.

ამგვარი თამაშით იყო გართული, როცა ყვითლად შეღებილი სახლის კარები გაიღო და წითელი სამბორბლიანი ველოსიპედით ქუჩაში გამოვიდა კოხტად ჩაცმული, თმადავარცხნილი მისი ტოლა ბავშვი. მან ველოსიპედი ტროტუარზე დადო და აუჩქარებლად შეჯდა.

ღარიბი ბავშვი შეჩერდა და განცვიფრებით დაუწყო ცქერა მას. ხელში კრამიტის ნატეხი შერჩენოდა და ყურადღებით ადევნებდა თვალს მოსულის მოძრაობას. მის სახეზე არ ჩანდა არავითარი სიხარბე. განცვიფრებული იყო მხოლოდ იმით, რომ მის ტოლს ასე ოსტატურად დაჰყავდა ველოსიპედი. მდიდარ ბავშვს კი, რომელიც ამ დროს ველოსიპედს დააქროლებდა, მობეზრებოდა კოხტა ტანსაცმელიც, ველოსიპედიც, ეს განცალკევებული მდიდრული სახლიც. მას აბეზრებდა დარიგებები: „წესიერად იყავი“, „ტანი არ გაისვარო“, „ცუდი სიტყვები არ თქვა“, „ტალახში არ ჩააბიჯო“ და ბევრი სხვა.

ღარიბ ბავშვს არაფერი ჰქონდა ისეთი, რითაც მისი ტოლის ყურადღებას მიიპყრობდა და გააკვირვებდა. მან თამაში განაგრძო, ახალი წრე მოხაზა, შუაში სიგარის კოლოფები დააწყო, წინანდებურად ათი-თხუთმეტი ნაბიჯით მოცილდა, დაუმიზნა და გაისროლა, მაგრამ ამჯერად კრამიტის ნატეხი ასცდა მიზანს და წრის გარეთ დაეცა.

— ოხ! — მოულოდნელად აღმოხდა მდიდარ ბავშვს, როცა დაინახა, რომ ბავშვმა მიზანს ააცილა.

ღარიბმა ბავშვმა უკმაყოფილოდ გაიღიმა, ისევ აიღო კრამიტის ნატეხი და ერთხელ კიდევ მოემზადა სასროლად... მაგრამ ამჯერადაც ააცილა.

— ფუ! ყოველთვის გამომდიოდა, ახლა რა მომივიდა? — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰო! ეს კარგი გასართობი ყოფილა. — წამოიძახა მდიდარმა ბავშვმა, ველოსიპედიდან ჩამოვიდა და მიუახლოვდა.

— მართლა ერთი გასროლით აგდებდი კოლოფებს წრის გარეთ?

— რასაკვირველია...

— აი „კლუბი“, „იენიჯე“, „ოქროს რქა“ — ყველა ესენი თამაშით მოვიგე.

— აბა მაჩვენე.

მდიდარმა ბავშვმა გამოართვა კოლოფები, ყურადღებით შეათვალიერა და, როცა დაუბრუნა, შეეკითხა:

— ვის მოუგე?

— ესენი? მუსას, შენ არ იცნობ მას, ის ჩვენს უბანში ცხოვრობს. მამამისი მეეტლეა. იმათ ბევრი წიწილები ჰყავთ. მათმა ძაღლმა ახლა ლეკვები მოიგო: თეთრი, შავი, სხვადასხვა ფერის. მე სათამაშოდ ერთი ტომსიკა ბურთულებიც მაქვს. მე და მუსამ ფრანი გავაკეთეთ და გავუშვით სულ შორს, შორს, შორს გაფრინდა... ვერ დაინახავდი.

— შენ ოდესმე გაგიფრენია?

— არა, დედას არ უყიდია ჯერ.

— მე დედა შურდულს მიყიდის. — თავმომწონედ უთხრა ღარიბმა.

— ეს ქალი შენი დედაა? — შეეკითხა მდიდარი.

— კი.

— მამა გყავს?

— არა.

— რატომ?

— არ ვიცი.

— ფულს დედაშენი შოულობს?

დასტურის ნიშნად ღარიბმა თავი დაუქნია.

— დუქნიდან ხორცი ვის მოაქვს, საჭმელს ვინ გიმზადებთ?

— ჩვენ ხორცს ვერ ვყიდულობთ, საჭმელსაც არასოდეს არ ვამზადებთ.

— მათხოვე კოლოფები, ცოტა ხანს ვითამაშებ.

— წაიღე. შენ არ მათხოვებ მაგას?

— რას? ველოსიპედს?

— დიახ.

— დაჯექი.

ღარიბმა ბავშვმა აჩქარებით მიაწოდა კრამიტის ნატეხი და კოლოფები.

— შენ ხვალ კიდევ მოხვალ? — შეეკითხა მდიდარი. — მე ბაბუას სიგარის კოლოფებს გამოვართმევ, ერთად ვითამაშოთ, ხომ მოხვალ?

— დედა თუ კიდევ აქ მოვა, მაშინ...

იმ დროს, როდესაც მდიდარი ბავშვი ასფალტზე წრის მოხაზვას შეუდგა, ღარიბი ველოსიპედთან მივიდა. მას მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, ღელავდა. მბრწყინავი საჭე, ლამაზი ბორბლები... მას ეუცხოებოდა ყველაფერი ეს და იმ წუთში ბედნიერად მიაჩნდა თავი.

ბავშვმა ირგვლივ მიმოიხედა, ველოსიპედისაკენ ნაბიჯი ტლანქად გადადგა და ხელი საჭისაკენ წაიღო, მაგრამ შეხება ვერ გაბედა. ისევ მიმოიხედა

ირგვლივ, ჯერ სახლის კარებს შეხედა, შემდეგ ფანჯრებს და, როდესაც დარწმუნდა, არავინ თვალს არ ადევნებდა, სწრაფად წაავლო ხელი საჭმელ-სასმელ-ბულმა კმაყოფილებით გაიღიმა და დედას შეხედა. შემდეგ ცალი ფეხი პედალზე დააბიჯა და ფრთხილად შეჯდა. ირგვლივ ისევ სიწყნარე იყო. ყველა თავისი საქმით იყო გართული, ბავშვს თანდათან მოემატა გამბედაობა და დედას აკანკალებული ხმით დაუძახა:

— დედა, დედა! შემხედე, ჩქარა შემხედე!

ბრმა ქალმა თავი იქით მიაბრუნა, საიდანაც შვილის ხმა მოესმა.

ამ დროს მეორე სართულის ფანჯრიდან გაისმა ყვირილი.

— დააგდე, ახლავე დააგდე ყველაფერი!

— აინურ, ქალო, დაგიბრმავდა თვალები, სადა ხარ. გაიქეცი ჩქარა! ბავშვი ბინძური რამეებით თამაშობს!

სახლის კარები გაიღო და გარეთ თმაშეკრეჭილი ახალგაზრდა გოგონა გამოვარდა. ველოსიპედიდან ხელის კვრით ჩამოაგდო ღარიბი ბავშვი, რომელიც ასფალტზე დაეცა, შემდეგ მეორისაკენ გაიქცა. მოულოდნელობით გაკვირვებულ ბავშვს გამოსტაცა ხელიდან სათამაშოები და შორს გადაისროლა. კოლოფები ასფალტზე გაიფანტა, კრამიტის ნატეხი დაიმსხვრა. ყველაფერი ეს თვალის დახამხამებაში მოხდა. სახლის კარები მძიმედ მიიხურა.

ღარიბი ბავშვი კი ასფალტზე იწვა და მწარედ ქვითინებდა. გახეული შარვლიდან გამხდარი სხეული მოუჩანდა. დიდხანს ტიროდა, შემდეგ წამოდგა და ასფალტზე გაბნეული კოლოფების შესაგროვებლად გაემართა, მაგრამ როდესაც კრამიტის ნატეხი დამტვრეული დახვდა, გოგონას უწმაწურად შეაგინა და დედასთან მივიდა. ბავშვი სლუკუნებდა.

— რა გატირებს? — ჰკითხა დედამ.

— იმ ქაჯმა წამაქცია.

ქალმა მხრები აიჩეჩა, თითქოს უნდოდა ეთქვა — „მერე რა მოხდა“.

— კარგი, გაჩუმდი, ხომ არაფერი გეტკინა, ნუ ტირი, თორემ გაიგონებენ და აქედან გაგვაძევებენ, გაჩუმდი!

ბავშვმა ხელის ზურგით მოიწმინდა ცხვირი. კრამიტის სხვა ნატეხი იპოვა, აკრიფა ასფალტზე გაბნეული კოლოფები, ერთიმეორეზე დააწყო, შემდეგ თხუთმეტიოდე ნაბიჯი გადათვალა და კოლოფებს დაუმიზნა.

ნახევარი ბლითი

ჩემს წინ ქალმა ნელი ნაბიჯით ჩაიარა და თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა. ბაღის ბოლომდე მივიდა, შემდეგ მობრუნდა და ძელსკამზე გვერდით მომიჯდა.

ივნისის ცხელი დღე იყო. მოასფალტებული პროსპექტი, რომელიც ბაღის გასწვრივ გადიოდა, საშინლად გაეხურებინა მზეს. ხეებს ფოთლები შეჭკნობოდათ. სიცხეს ისე მოედუნებინა ქალაქი, გეგონებოდათ ყველაფერს მიძინებიაო. ქუჩები და შენობებიც უსიცოცხლოდ გამოიყურებოდნენ. ჩვენგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, ხის ძირას, მუცელზე ბეწვებშემოცლილი ქეციანი კატა გაწოლილიყო. მას თავი შეეფარებინა ჩრდილში და უდარდელად კრუტუნებდა. მე დროგამოშვებით შეუმჩნევლად გავხედავდი ხოლმე ქალს, რომელმაც ასე

საეჭვოდ შემათვალიერა და ჩემს გვერდით დაჯდა. ცოტა ხნის შემდეგ შევამჩნიე, რომ ჩემი მეზობელიც მზვერავდა. ფეხზე ძველი დაკერებული ფეხსაცმელები ეცვა. უბრალო ჩითის კაბიდან, რომელიც, ეტყობოდა, მის ტანზე არ მეუკერავთ, ოდნავ მოუჩანდა გულ-მკერდი. სახეზე დაღლილობისა და მწუხარების დაღი აჩნდა, თუმცა კაკლისოდენა შავი თვალები ჯერ კიდევ ცოცხლად გამოიყურებოდნენ.

მოულოდნელად მისი გამოხედვა დავიჭირე. უხერხულობის დასაფარავად ცხვირსახოცი მოიმარჯვა და გაოფლიანებული შუბლი მოიწმინდა.

— რარიგად ცხელა დღეს. — გაუბედავად, გაურკვეველი გამომეტყველებით წარმოთქვა მან.

— დიახ, საშინელი სიცხეა.

ამ პასუხმა თითქოს გაამხნევაო, ჩემკენ გადმოინაცვლა და უფრო ახლოს დაჯდა.

— აქაური არ უნდა იყოთ.

— დიახ, ჩამოსული ვარ.

— საიდან?

მე მშობლიური ქალაქი დავუსახელე. ამან უფრო გააღიზიანა მისი ცნობისმოყვარეობა.

— რამ გაიძულათ, რომ ასეთი მხარე დატოვეთ და აქ ჩამოხვედით?

მე თვითონ არ ვიცოდი, რისთვის ჩამოვედი ამ ქალაქში. ყოველ შემთხვევაში იმიტომ არა, რომ დიდი ქალაქის მცხოვრები ვყოფილიყავ, არც დიდ შენობებს, ტრამვაის, ზღვას თუ სხვა მსგავს რამეს გავუტაცნივარ. შემიძლია ვთქვა, ყველაფერი ეს ჩემთვის უცხო არ იყო. ქალი პასუხს ელოდა.

— არ ვიცი, ჩამოვედი ისე...

— ალბათ, სავაჭრო საქმეებზე...

— არა, მაგ საქმისაგან შორსა ვარ. რად გაინტერესებთ, განა სულ ერთი არ არის, რისთვისაც ჩამოვედი? ამის ცოდნა ხომ არაფერს შეგმატებთ.

ქალმა ნაღვლიანად ამოიოხრა და უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

— თქვენ მართალი ხართ... ეს მე არაფერს მაძლევს.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ჩვენ უხმოდ დავყურებდით კატას, რომელიც ასე უდარდელად კრუტუნებდა ჩრდილში.

— ეს ქეციანი კატაც გაცილებით ბედნიერია, ვიდრე ჩემისთანა ადამიანები. — მოულოდნელად დაიწყო ისევ. თავი მისკენ მივაბრუნე და მინდოდა მეკითხა, თუ რა ტანჯავდა, რა აწუხებდა, მაგრამ დამასწრო და განაგრძო:

— მერჩია ასეთ ქეციან კატად გავჩენილიყავ, ვიდრე ადამიანად. ყოველ სანაგვეში გამოვძღებოდი და პირველსავე ხის ქვეშ ან სადმე ღობის ძირში წამოვწვებოდი დასაძინებლად.

მე ვდუმდი. ქალმა ნაღვლიანად შემომხედა და განაგრძო:

— რამდენიმე დღეა არაფერი მიჭამია. ბევრი იტყვის, უზნეო ქალიაო, დიახ, უზნეო... ცხოვრებამ წამართვა ყველაფერი. უკვე არავის ვაინტერესებ, არავის მოვწონვარ. მე კი დავიღალე მამაკაცების თვალებში ცქერით. რაიმე სამუშაო მაინც მენახა, თუგინდ ყველაზე მძიმე. ბევრჯერ მიფიქრია სიკვდილზე. ჩემი ორეული ხშირად იდუმლად ჩამჩურჩულებს: „წადი, გადაიჩეხე ბაიაზეთის კოშკიდან!“ მაგრამ რა ვქნა, გამბედაობა არ მყოფნის. მეც ხომ სი-

ცოცხლე მინდა! ცუდია, როდესაც ადამიანს შიში გიპყრობს. ხან ვნატრობ ძილში მოვკვდე უეცრად, მაგრამ ერთი რამ მაფიქრებს. ჩემი უეცარი სიკვდილი უბედურებად დაატყდება თავზე კეთილ, ხანში შესულ სომეხ-ოსებ-ოსებ-ოსებ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ გორგილაძე

სოლომეს მეგობარს

ჰეი, მისმინე ძმობილო,
არსენას ჯიშის შავლეგას.
გვეხვია ურდო ყაჩაღთა
და წარღვნამ როდი წაგვლეკა.

ერთ ცეცხლში გვწვავდნენ, გვდაგავდნენ,
ერთი გვტკიოდა იარა.
ჩვენ ძმობას და მეგობრობას
ბრძოლებმა დაგვაზიარა.

დამიწებულა ხონთქარი,
კბილშხამიანი აფთარი.
დღეს კრემლის მზეში გამთბარა
ჩვენი ლამაზი მთა-ბარი.

გადავხვევივართ ერთმანეთს,
ღია გვაქვს გულის კარები
ისე, ვით საიათნოვას
და ეთიმ გურჯის ლარები.

მე გეტყვი — შენი ჭირიმე,
ალერსით, არა მგლურადა.
შენ „ცავატ ტანემ“ მეტყვი და
ერთურთს ვაკოცებთ ძმურადა.

დიდება ძმობას გულითადს,
სიყვარულით რომ ინთება,
ჩვენს პურს,
ჩვენს ღვინოს,
ჩვენს მარილს,
ჩვენს მეზობლობას დიდება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ სეიდიშვილი

სარაჯიშვილის სიმღერა

ამ ტყის იქით,
ამ მდინარის იქით,
სამყოფელი ამო
ვერხვთა შორის ყოველ დილით თითქმის
მოუხმობდა ვანოს.
ფოთოლთ შრიალს აყოლებდა ღიღინს
და ამ ღიღინს ჩაიტანდა გულთან;
გუთნის დედას პირს მოგვრიდა ღიმილს,
როცა ვანო წაართმევდა გუთანს.
ანეულში ჩადგებოდა მზისკენ,
მოიკლავდა წყურვილს,
როცა გზიდან მოიხმობდა თვისკენ
მანდილოსანს სურით;
და ოცნებით ჩაუთქვამდა ყამირს
მისი ბედის ტრიალს,
ვიდრემდე არ გაჰყვებოდა ღამით
ტფილისის გზას მტვრიანს.
ნედლი მიწის სითბო ჩაისუნთქა,
ამ სიმღერას მე ვერ გადვურჩები;
როცა ვანო ღიღინებდა, უთქვამთ,
საქართველო იძინებსო შვებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სვენდაღი

მოცარტის რექვიემი

ერთ დღეს ღრმა ფიქრებში ჩაძირულ მოცარტს მოესმა, რომ მის კარებთან გაჩერდა კარეტა.

მოცარტს მოახსენეს, ვიღაც უცნობი ითხოვსო თქვენთან საუბარს; შემოიყვანეს. მოცარტის წინაშე წარსდგა შუახნის, კარგად ჩაცმული თავაზიანი, წარმოსადეგი მამაკაცი: „ბატონო, მე ერთმა ფრიად დიდმა კაცმა თქვენი ნახვა დამავალა“.

— ვინ არის იგი?

— მას არ სურს ვინაობის გამხელა.

— კეთილი! და რა სურს მას?

— მან დაჰკარგა ადამიანი, რომელიც მისთვის ძვირფასი იყო და რომლის ხსოვნაც მუდამ წარუშლელი იქნება მის მეხსიერებაში. მისი სურვილია საგანგებოდ აღნიშნოს მისი სიკვდილის დღე ყოველ წელიწადს. იგი თქვენ გთხოვთ, შეთხზათ რექვიემი სამგლოვიარო ცერემონიალისათვის.

მოცარტი ააღელვა იმ სერიოზულმა და იდუმალმა ტონმა, რომლითაც საუბარი წარიმართა; იგი დაჰპირდა უცნობს, შეეთხზა რექვიემი.

უცნობმა განაგრძო: „ჩააქსოვეთ ნაშრომში მთელი თქვენი გენია; გახსოვდეთ, რომ თქვენ შრომობთ მუსიკის კარგად მცოდნე ადამიანისათვის“.

— მით უკეთესი.

— რამდენ დროს მოითხოვთ?

— ერთ თვეს.

— კეთილი! მე მოვალ ერთ თვეში. რა თანხას მოითხოვთ შრომაში?

— ას დუკატს.

უცნობმა ასი დუკატი გადათვალა, მაგიდაზე დასტოვა და გაქრა.

რამდენიმე ხანს მოცარტი ღრმა ფიქრებში ჩაეფლო, შემდეგ უცბათ მოითხოვა კალამი, მელანი, ქაღალდი და, თუმცა ცოლმა დაუშალა, წერა დაიწყო. რამდენიმე დღეს თავაუღებლად მუშაობდა, იგი წერდა დღედაღამე იმ მგზნებარებით, რომელიც დღითიდღე ღვივდებოდა; მაგრამ მისმა სხეულმა, უკვე დასუსტებულმა, ვეღარ გაუძლო ამ ენთუზიაზმს: ერთ დილით იგი უგრძნობლად დაეცა და იძულებული გახდა მუშაობა შეეწყვიტა. ორი თუ სამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის შემდეგ მან ცოლს, რომელსაც სურდა ქმარი მძიმე ფიქრებიდან გამოეყვანა, უთხრა: „ნამდვილად ჩემთვის ვქმნი ამ რექვიემს; იგი ჩემს საფლავზე ერო ცერემონიალზე აუღერდება“.

ვერაფრით ვერ მოიცილა მოცარტმა ეს აზრი.

იგი დღითიდღე სუსტდებოდა. მის მიერ დათქმულმა ერთმა თვემ განვლო. ერთ დღეს მასთან კვლავ მივიდა იგივე უცნობი: „შეუძლებელი იყო, უთხრა მოცარტმა, ჩემი დაპირების შესრულება“.

— არა უშავს, — თქვა უცნობმა, — რამდენი დღე გჭირდებათ კიდევ?

— ერთი თვე. შრომამ მე იმაზე მეტად დამაინტერესა, ვიდრე ვფიქრობდი, და უფრო გრძელი გამომივიდა, ვიდრე მოველოდი.

— მაშინ ჰონორარი უსათუოდ უნდა გავადიდოთ. აი ორმოცდაათ დუკატზე მეტი.

— ბატონო, — უთხრა გაოცებულმა მოცარტმა, — ბოლოსდაბოლოს ვინა ხართ თქვენ?

— ამას მნიშვნელობა არა აქვს, მე ერთ თვეში მოვალ.

მოცარტმა იმწამსვე უხმო მსახურს და უცნობს დაადევნა, რათა გაეგო იმ ადამიანის ვინაობა, მაგრამ უგერგილო მსახურმა მას მოახსენა, უცნობის კვალი ვერ ვიპოვეო.

საბრალო მოცარტმა წარმოიდგინა, რომ უცნობი არ უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი არსება, რომ უცნობის სახით საქმე ჰქონდა სხვა სამყაროდან მოსულთან, რომელმაც მას ამცნო აღსასრულის მოახლოება. მაშინ იგი უფრო მეტის მგზნებარებით შეუდგა რექვიემს, რომელიც თავისი გენიის უტყუარ მონუმენტად მიაჩნდა. ასეთმა დაძაბულმა მუშაობამ მას თავბრუხვევა აუტეხა. ბოლოს ნაშრომი ერთ თვეზე ადრე დასრულდა. უცნობი მივიდა დათქმულ დროს.

მოცარტი ამ ქვეყნად აღარ იყო.

ფრანგულიდან თარგმნა **ირინე არეშიძემ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ რამიშვილი

მხოლოდ ერთი მარცვალი ვარ

წამოფრინდნენ არწივები შენი მთების ქარაფიდან,
ჩემო დედა-საქართველოვ... ჩემი პაპაც დედად გთვლიდა.
გულის კარი გამიღია, როგორც ყველა ჩემს წინაპარს,
შენს გარდა ვინ ამინთებდა გაჩაღებულს ჩემ წინ ლამპარს.
მხოლოდ ერთი მარცვალი ვარ, შენს მიწაში ჩასადები,
შენ მშობე და შენ გამზარდე, შენს წინ სანთლად ავენთები;
ასი მქონდეს მე სიცოცხლე, ასივე შენ შემოგწირო,
ჩემი სისხლი წვეთ-წვეთობით შენს თბილ მიწას დავაწვიმო.
შენ იხარე საქართველოვ! — სავარდო და საარწივო.
თუმცა გული პატარა მაქვს, ჩავიტიო შენი მთები,
შენ სახელზე მომღერალი, აბა როგორ დავბერდები.
შენზე ფიქრში დავაღამო, შენზე ფიქრში გავათენო.
მხოლოდ ერთი მარცვალი ვარ, შენს მიწაში ჩასადები,
შენი მიწის ნაცარი ვარ!
შენი ტრფობით დამწვარი ვარ!
ჩემო კარგო, ჩემო ტკბილო, ჩემო დედა-საქართველოვ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

როგორც ნამქერი,
გამეტებით რომ იძვრის მთიდან, —
ხმაურით მივდევ
ბაღნარებში გაფრენილ სტრიქონს.
რომელ ვარსკვლავთან
დავაბუდო ოცნება წმინდა,
რომ ვარსკვლავივით სულ წვაში ვიყო!

სამშობლოს გზაზე
ამღერებულ უბრალო მგოსანს
ირგვლივ მთა-ბარის,
ყვავილების სურნელი მათრობს...
მჯერა, სამშობლოს
სიყვარული, ვით დედის ლოცვა,
ოცნების გზასაც გამიხსნის ფართოს.

მაგრამ მამულის
აზვირთებულ სიცოცხლის მორევს
თუ ვერ შევმატე
ქაფნარევი თუნდ ერთი ზვირთიც...
მაშინ სიმღერას არასოდეს გავიმეორებ,
მაშინ ყველაფერს დუმილით ვიტყვი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღფონს დოდე

ბ ო რ ა ნ ი

შარდონეს მახლობლად ფონი იყო გასასვლელი.

ამ ერთ თვეში ბევრი იწვიმა. მდინარე ადიდდა, კალაპოტიდან გადმოვიდა და მთელი ველი წყლით დაფარა. მებორნემ უარი თქვა ბორნით ეტლის გადაყვანაზე.

— ადამიანებსა და ცხენს გადავიყვან, ეტლი ნაპირზე დავტოვოთ.

ქალბატონ დეზარტისს ქმართან შეხვედრა ეჩქარებოდა. მან არ ისურვა ეტლიდან გადმოსვლა და მეეტლეს ბორანზე გასვლა უბრძანა. სულ რამდენიმე წუთში გადავიდოდნენ მდინარეს, ამ გზით მას ბევრჯერ უვლია.

ფონის შუაგულში ადიდებულმა მდინარემ ბორანი გაიტაცა. მებორნემ დახმარება სთხოვა მეეტლეს — წყალმა საგუბრისაკენ არ წაგვიღოსო.

ორასი თუ სამასი ფეხის ნაბიჯზე იყო წისქვილი ლატანების, ქვებისა და ძველი ფიცრებისაგან ნაშენი საგუბრით. საგუბარი წყალვარდნილს ქმნიდა. თუ ბორანს წყალი საგუბრისაკენ გაიტაცებდა, უეჭველად საშინელი უბედურება დატრიალდებოდა.

მეეტლე კოფოდან ჩამოვიდა, დახმარება სცადა, მაგრამ ბორანზე ორთაყვირის მეტი არაფერი იყო. მებორნე შეძლებისდაგვარად ყველაფერს აკეთებდა; უკუნეთივით ბნელი ღამე იყო. ხშირი წვიმაც თვალს უბნელებდა ორივეს.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ საგუბარს, მით უფრო მატულობდა საფრთხე. მძიმედ დატვირთულ ბორანს ორი კაცი ვერ იმორჩილებდა და ისიც ნელა მიიწევდა წინ. როცა ორთაყვირს ღრმად ჩაუშვებდნენ, ბორანი წამით ჩერდებოდა, განზე იწევდა ან თავის გარშემო ტრიალებდა.

მდინარე ღელავდა. ქალბატონმა დეზარტისმა, რომელიც ბავშვითურთ ეტლში იჯდა, ფანჯარა გამოაღო:

— ნუთუ ვიღუპებით?

და სწორედ ამ დროს ორთაყვირიც გადატყდა. ილაჯგაწყვეტილი ორი მამაკაცი ხელებგათოშილი ბორანზე დაეცა.

მებორნემ იცოდა ცურვა, მეეტლემ — არა. დროის დაკარგვა კი არ შეიძლებოდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძია ჟორჟ (ასე ერქვა მებორნეს), შეგიძლიათ გადაგვარჩინოთ მე და ჩემი გოგონა? — შესძახა მებორნეს ქალბატონმა.

ძია ჟორჟმა ჯერ წყალს გადახედა, შემდეგ ნაპირს:

— რა თქმა უნდა, — უპასუხა მან, თითქოს ეწყინაო კიდეც ასეთი შეკითხვა და მხრები აიჩეჩა.

— როგორ მოვიქცეთ? — იკითხა ქალბატონმა.

— მხარზე უნდა შეგისვათ, — უპასუხა მებორნემ. — კაბა არ გაიხადოთ, ასე სჯობია, არ ჩაიძირებით... მომხვიეთ ორივე ხელი, მხოლოდ არ შეშინდეთ, ნუ მომეჭიდებით, თორემ დავიხრჩობით; ნუ იყვირებთ, თორემ პირი წყლით აგევსებათ.

ერთი ხელით პატარას დავიჭერ, მეორეთი გავცურავ, ნუ შიშობთ, ბავშვი მაღლა მეჭირება და არ დავასველებ. ოცდახუთი მეტრი თუ იქნება აქედან იმ კარტოფილის მინდვრამდე.

— ჟანი? — იკითხა ქალბატონმა დეზარტისმა და მეეტლეზე ანიშნა.

— ჟანს არა უჭირს, ცოტა წყალს გადაყლაპავს, მეტი არაფერი მოუვა. მივიდეს საგუბრამდე და დაიცადოს, მასაც ვიპოვი.

ძია ჟორჟი, ორმაგი ტვირთით დამძიმებული, წყალში ჩავიდა, მაგრამ ღონე კი ვეღარ გაითვალისწინა. ახალგაზრდა ხომ აღარ იყო. ნაპირი უფრო შორს აღმოჩნდა, ვიდრე მას ეგონა, ტალღა უფრო მძლავრი, ვიდრე ის ვარაუდობდა.

მაინც ცდა არ დაუკლია ნაპირს მიახლოვებოდა, მაგრამ უეცრად წყალმა გაიტაცა. წყალში ტირიფის ტოტი ჩაძირულიყო, მებორნემ იგი სიბნელეში ვერ შეამჩნია და შუბლით ეკვეთა.

სისხლი წამოუვიდა, თვალთ დაუბნელდა.

— გოგონა აიყვანეთ და კისერზე დამასვით, — თქვა მან, — ან თქვენ დაისვით, მე მეტი აღარ შემიძლია.

— გადამირჩენ, რომ დაგიტოვო? — იკითხა დედამ.

— ვფიქრობ, რომ შევძლებ, — იყო პასუხი.

ქალბატონს მეტი აღარა უთქვამს. მებორნის კისერს ხელი შეუშვა და წყალს მისცა თავი...

მებორნემ უვნებელი პატარა ქამილა მიწაზე დასვა და მეეტლესთან ერთად, რომელიც შემოსწრებულ გლეხს გადაერჩინა, დამხრჩვალი ქალბატონის ძებნას შეუდგა.

მხოლოდ მეორე დღეს იპოვნეს იგი ნაპირთან ახლოს.

ფრანგულიდან თარგმნა **კლეოპატრა ჯაშმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსო ხელაძე

საზღვარი ჩაკეტილია

საინტერესოა მესაზღვრეთა ცხოვრება. მტრის უსაზღვროდ მოძულენი მოყვარეს მუდამ გულგაშლით ხვდებიან. ჩვენც გულთბილად მიგვიღეს.

მესაზღვრეთა საგუშაგოს, რომელსაც ვლადიმერ სკინდერი მეთაურობს, დიდი ზეიმი ჰქონდა. საგუშაგომ სასაზღვრო ნაწილებს შორის პირველი ადგილი დაიკავა. თითქმის ყველა მესაზღვრე დააჯილდოვეს სამკერდე ნიშნით. ამ დღეს მათ ესტუმრა სასაზღვრო რაზმის უფროსიც.

— რა მაჩვენებლებით გამოვიდა საგუშაგო პირველ ადგილზე? — ვეკითხებით რაზმის უფროსს.

— პირველ რიგში, — გვიპასუხა მან, — საგუშაგოზე შექმნილია მტკიცე დისციპლინა და, რაც მთავარია, მებრძოლებს მჭიდრო კავშირი აქვთ ადგილობრივ მოსახლეობასთან. — და იგი გვისახელებს კოლმეურნეებს, მათ შორის არიან დავით ძნელაძე, ხასან კახიძე, ვესელ ნაგერვაძე, ოსმან კერესელიძე და სხვები.

გულთბილი, მეგობრული საუბრის დროს ჩვენ ჩავიწერეთ საზღვარზე მომხდარი ერთ-ერთი შემთხვევა და გვინდა ვუამბოთ მკითხველს.

ფლაგგაუმთან

... სადგურის მოედანზე ტაქსის მოლოდინში ერთი შუახნის ქერათმიანი კაცი იდგა. მას ლურჯი საზაფხულო პალტო ეცვა. როცა მისი ჯერი დადგა, მიმოიხედა და სწრაფად ჩაჯდა მანქანაში. „სასტუმროსაკენ", — ბიმართა შოფერს და სთხოვა მარჯვნივ შეუხვიეო, შემდეგ — მარცხნივ. როცა შოფერს სახეზე უკმაყოფილება შეამჩნია, თითქოს თავს იმართლებსო, საუბარი გაბა.

— ამბობენ, თქვენი ქალაქი ლამაზი და მიმზიდველიაო. ჰოდა, მინდა ერთბაშად დავათვალიერო. ამიტომ გაწუხებთ.

— თქვენი ნებაა, საითაც მიბრძანებთ, იქით წაგიყვანთ.

სიჩუმე ჩამოვარდა. მანქანამ ნელი სვლით კიდევ ერთ ქუჩაში შეუხვია და სასტუმროს წინ გაჩერდა.

— ცოტა ხნით დამელოდეთ, ახლავე დავბრუნდები, — თქვა მგზავრმა და სასტუმროში შევიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოფერმა შენიშნა, რომ უცნობი ფანჯარასთან გაჩერდა და რაღაცას ათვალიერებდა. შემდეგ ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა და მხიარული სახით ბაღის მანქანაში.

— ყველაფერი რიგზეა. ახლა კი ქალაქი დამათვალიერებინეთ. ჰო, მართლა, ამბობენ თქვენს ქალაქთან საზღვარი ახლოაო, საინტერესოა. მე ძალიან მიყვარს მესაზღვრეების ცხოვრება. სასტუმროში მითხრეს, რომელიღაც მდინარე ყოფსო სახელმწიფო საზღვარს. იქ, ალბათ, კარგი ბუნებაა, წავიდეთ იქით.

მანქანა ქალაქგარეთ გავიდა. აღმართს შეჰყვა. მგზავრი ყურადღებით ათვალიერებდა ყველაფერს. ხელში ასანთის კოლოფი ეჭირა, ხშირად დასცქეროდა. უცებ თავი მაღლა ასწია, თითქოს ნაცნობი ადგილი იპოვნაო.

— გაჩერეთ. — უთხრა შოფერს. — მიდამო შეათვალიერა, ჯიბიდან ფული ამოიღო, შოფერს გაუწოდა. მადლობა გადაუხადა და ისე დაემშვიდობა, რომ ხურდას არ დაელოდა.

* * *

...ახალგაზრდა კაცი გუშაგისაკენ გაემართა. პირადობის მოწმობა წარუდგინა, თან სთხოვა, რაზმის უფროსთან მიმიყვანეთო...

— მაშ კვალი დაჰკარგეთ, არა.

— დიახ, ამხანაგო პოლკოვნიკო.... დედაქალაქს რომ გამოვცდით, თვალი არ მომიშორებია, ჰოდა, როცა ჩამოვედით, ტაქსით გამასწრო. მხოლოდ ათი წუთის შემდეგ შევძელი დადევნება. ისღა დავადგინე, რომ სასტუმროსკენ წავიდა, იკითხა, დეპეშა ხომ არ მიგიღიათო. რამდენიმე წუთს ფანჯარასთან იდგა, რათა დარწმუნებულიყო ხომ არავინ ასდევნებია, შემდეგ მანქანაში ჩაჯდა. ამის მერე კვალი არ ჩანს.

კაბინეტში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— ყველაფერი ჩემი ბრალია, — ჩაილაპარაკა ახალგაზრდამ.

— ხომ არ იცით, რა განუზრახავს უცნობს?

— ერთი რამ. იგი საზღვარზე გადაპარვას ლამობს.

კარებზე კაკუნი მოისმა.

— მობრძანდით. — სთხოვა პოლკოვნიკმა.

— ამხანაგო რაზმის უფროსო, აქ ვიღაც ტაქსის შოფერი მოვიდა, თქვენი ნახვა სურს. ამბობს, სასწრაფო საქმე მაქვსო.

— სთხოვეთ! ბედი გქონიათ, ლეიტენანტო, — მიმართა მან ახალგაზრდას.

ამ დროს ოთახში შემოვიდა მაღალი, შავგვრემანი კაცი. ოთახში მყოფთ მიესალმა, სკამზე ჩამოჯდა, ლაპარაკის დაწყებას ვერ ბედავდა. იგი ხან სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ ახალგაზრდას უყურებდა, ხან პოლკოვნიკს. თითქოს უნდოდა გაეგო, შეიძლება ამ ამხანაგთან ლაპარაკი თუ არაო. დუმილის შემდეგ მან დაიწყო:

— იცით, ამხანაგო უფროსო, მე დღეს სადგურიდან ერთი მგზავრი...

პოლკოვნიკმა სიტყვა არ დაამთავრებინა და თვითონ განაგრძო:

— სასტუმროში მიიყვანეთ, იგი იქ რამდენიმე წუთს დარჩა. შემდეგ გამოვიდა, თქვა, ყველაფერი რიგზეაო.

— დიახ, სწორია! — გაკვირვებით წამოიძახა შოფერმა. — იმ კაცის საქციელი თავიდანვე არ მომეწონა. სასტუმროდან რომ გამოვიდა, ერთბაშად საზღ-

ვარზე დამიწყო საუბარი, ქალაქგარეთ გაყვანა მთხოვა. ქალაქის მეორე მხრისაკენ ავიღე გეზი. უცნობმა ჯიბიდან ასანთი ამოიღო, დააკვირდა, შემაჩერებინა მთხოვა, მოდით სხვა მიმართულებით წავიდეთო და გზას მასწავლიდა. ბოლოს მიყვანა ხიდამდე, იქ გამაჩერა. აი ეს ასმანეთიანი მომცა. ხურდისათვის არც კი დაუცდია, მადლობა გადამიხადა და კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმისაკენ გაუყვა გზას. მეც ბევრი არ დავაყოვნე და თქვენკენ გამოვეშურე. შეიძლება ვცდები, მაგრამ... არ მომწონს ის კაცი.

რაზმის უფროსი წამოდგა, შოფერს მადლობა გადაუხადა. ძისი გვარი, სახელი, მამის სახელი და ზუსტი მისამართი ჩააწერინა მორიგე ოფიცერს, კარებამდე მიაცილა და დაემშვიდობა.

მობრუნდა თუ არა, ყურმილი აიღო.

— შემაერთეთ ოფიცერ შევცოვს. გამარჯობათ, ალექსეი ვარლამოვიჩ, დიახ, მე ვარ. მისმინეთ, ამ დილით თქვენს რაიონში ჩამოვიდა ერთი პიროვნება, რომლითაც დაინტერესებული არიან. გესმით? — შემდეგ მან აუწერა უცნობის ჩაცმულობა და პორტრეტი. — ახლავე მიიღეთ ზომები, მალე თქვენთან ამოვლენ. ველი თქვენს პატაკს. — მან ყურმილი დასდო. მორიგეს დაავალა, ახლავე წადით, ჩემთან კავშირი იქონიეთო.

როგორც კი მიიღო დავალება, კომენდატურის უფროსის მოადგილემ ოფიცერმა შევცოვმა განგაში გამოაცხადა. ყურმილი აიღო და შლაგბაუმი გამოიძახა.

— მესაზღვრე მინინი გისმენთ, — იყო პასუხი.

— მინინ, ისმინე ბრძანება! — ფხიზლად იყავით, თქვენს რაიონში დღეს დილიდან იმყოფება საეჭვო პიროვნება.

— იგი ეს-ეს არის შევიპყარით, გამოგზავნეთ ოპერჯგუფი და წაიყვანეთ.

— როგორ? უკვე დააკავეთ! ყოჩაღ, მინინ! ახლავე მოვდივართ. — შევცოვმა ყურმილი დასდო, ისევ აიღო. ახლა რაზმის უფროსს მოახსენა, რომ დავალება შესრულებულია.

...ორი მანქანა ერთი მეორის მოპირდაპირე მხრიდან ერთსა და იმავე დროს მიადგა შლაგბაუმს. უფროსს ვლადიმერ მინინი შეეგება.

— ყოჩაღ მინინ! — მინინმა მხედრული სალამი აიღო.

ჩვენ ამბავმა გაგვიტაცა და თვითონ მინინს ვკითხეთ, თუ როგორ შეიპყრო უცნობი.

— შუადღემ მოატანა, — დაიწყო მესაზღვრემ, — ვხედავ, ხიდის მეორე მხარეს ავტობუსის გაჩერებასთან ტრიალებს საზაფხულო პალტოში გამოწყობილი კაცი. ჭოგრით გავხედე, იგი ჩვენკენ იცქირებოდა. შემდეგ ზემოთ შეუყვა. ვხედავ, ამოფარებია ხეს და ისევ ჩვენკენ იყურება. ამასობაში მოსაღამოვდა. ის კაცი სოფლელებს შეერია, ხიდზე მოდის. ახლა უფრო დავინტერესდი. შუა ხიდს რომ მოაღწია, უცნობი უცებ შეჩერდა, რადგან შენიშნა, რომ საბუთებს ვსინჯავდით. ვატყობ, უკან წასვლას აპირებს. აღარ დავაყოვნე და ჩქარი ნაბიჯით გავემართე უცნობისაკენ. იგი აუჩქარებლად მიდიოდა. რომ მივუახლოვდი, უცებ შეჩერდა, მოაჯირს დაეყრდნო და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: „აი ბუნება! ზღაპრადაც არ გამიგონია ასეთი მშვენიერება“.

— მოქალაქე! თქვენი საბუთები. — თითქოს არაფერი გაუგონიაო. ახლა ხმამაღლა გავუმეორე, მომიბრუნდა და უდიერად მომახალა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წადი ერთი, რას ჩამაცივდი მილიციელივით. გამეცალე.

— მოქალაქევ! ნუ უხეშობთ, თქვენი საბუთები!

— გამშორდი-მეთქი. — ხელი ჯიბისაკენ წაიღო. მაშინ ავტომატი მოვიმარჯვე. ხელები მაღლა-მეთქი, შევძახე. უცნობი იძულებული იყო დამმორჩილებოდა. შლაგბაუმთან მივიყვანე. იგი მაინც ურჩობდა. — მე არ მსურს თქვენთან საუბარი, დაუძახეთ უფროსს, მან იცის ვინცა ვარო. — ის იყო უფროსმაც დამირეკა.

— მინინს არაერთხელ გამოუჩენია საზრიანობა და სიმამაცე. — ჩაერია საუბარში ოფიცერი შევცოვი. — ერთხელ, მორიგეობის დროს, შლაგბაუმთან გაჩერდა მანქანა. გასინჯეს საბუთები, ყველაფერი რიგზეა. მინინმა ერთ მგზავრს მოუსვენრობა შეამჩნია. მივიდა მასთან და საბუთები მოსთხოვა. დაბნეულმა მგზავრმა პასპორტი მიაწოდა.

— სად ცხოვრობთ?

— მახარაძეში.

— პასპორტი სად აიღეთ?

— სარატოვში.

მინინმა პასპორტი კარგად დაათვალიერა. ხედავს, პასპორტის პირველ გვერდზე აღნიშნული ნომერი არ ედრება იმ ფურცელს, სადაც ჩაწერის შტამპია. „შეუცვლია", გაიფიქრა მინინმა და მგზავრს სთხოვა მანქანიდან ჩამოსულიყო.

— რატომ, მეგობარო, რაშია საქმე, არ გამაგებინებთ?

როცა მანქანა წავიდა, მინინმა პირდაპირ უთხრა:

— პასპორტში ორი შუა ფურცელი შეგიცვლიათ. სხვისი პასპორტით გსურთ ისარგებლოთ. დაბრძანდით, ახლა აქ მოვლენ და გაარკვევენ.

— მაშ კარგი, რაკი ასეა, უკან დავბრუნდები! — და წასვლა დააპირა.

— სდექ! — მიაძახა მესაზღვრემ, — თქვენ ვერსად ვერ წახვალთ!

მაშინ ჯაშუშმა მესაზღვრის მოსყიდვა გადაწყვიტა. შესთავაზა 30 ათასი მანეთი და რამდენიმე შეკვრა მაჯის საათი. ამან მოთმინებიდან გამოიყვანა მინინი და ერთი ლაზათიანად შეუკურთხა.

* * *

საუბარს მოვრჩით. ცხენები მოგვიყვანეს, თან დაგვაბარეს: გადაეცით ყველას, რომ ჩვენ მტკიცედ ვდგავართ სამშობლოს სადარაჯოზე.

საბჭოთა საზღვრები საიმედოდ არის ჩაკეტილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ჩავლეშვილი

ვ. ი. ლენინი და ლიტერატურა

ვ. ი. ლენინის შეხედულებები ლიტერატურის შესახებ მისი გენიალური მოძღვრების — ლენინიზმის ორგანული ნაწილია.

ვ. ი. ლენინის მთელი თეორიული მემკვიდრეობა საფუძვლად დაედო მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკას. მისი სტატიები და წერილები ლიტერატურის შესახებ, მის თანამებრძოლთა მოგონებანი მოწმობენ, რომ ვ. ი. ლენინმა შესანიშნავად იცოდა ლიტერატურა და ხელოვნება. იგი ბრწყინვალედ იყენებდა ლიტერატურას საკუთარ შეხედულებათა საილუსტრაციოდ, ღრმად ერკვეოდა, როგორც რუსული, ისე საზღვარგარეთული ლიტერატურის კონკრეტულ საკითხებში.

მაგრამ ხელოვნებისა და, კერძოდ, ლიტერატურის პრობლემების შესწავლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის არა მარტო ლიტერატურულ სტატიებსა და წერილებს, არამედ ყველა მის ნაშრომს. ლენინის თხზულებები ფილოსოფიის, ეკონომიკის, სამართლის, რევოლუციური თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე ლიტერატურის მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველი და გასაღებია.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვ. ი. ლენინი ლიტერატურის საკითხებს ყოველთვის მჭიდროდ უკავშირებდა პროლეტარული ბრძოლის თეორიასა და პრაქტიკას, მასების რევოლუციური აღზრდის ამოცანებს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს.

ჯერ კიდევ 1895 წელს ნაშრომში „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში“ ვ. ი. ლენინმა წამოაყენა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი, რომელიც მოითხოვს მოვლენების კლასობრივი არსის ზუსტ და ყოველმხრივ ანალიზს, იგი ავალდებულებს შემოქმედს ნათლად განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკური მრწამსი, პირდაპირ და აშკარად დადგეს გარკვეული საზოგადოებრივი ფენის პოზიციაზე და, ბოლოს, მხოლოდ რევოლუციური პარტიულობა გვაძლევს საშუალებას ობიექტურად, ყოველმხრივ შევისწავლოთ სინამდვილე.

პროლეტარიატის პოლიტიკური შეგნების ზრდასთან და ბოლშევიკური პარტიის განმტკიცებასთან ერთად ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებას პოულობს ვ. ი. ლენინის ცნობილ სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. ამ სტატიაში ლენინი წერდა: „სოციალისტურმა პროლეტარიატმა უნდა წამოაყენოს **პარტიული ლიტერატურის** პრინციპი, განავითაროს ეს პრინციპი და განახორციელოს იგი რაც შეიძლება სრული და მთლიანი სახით“.[1] ამასთან ერთად ლენინი ხაზს უსვამდა, რომ პროლეტარული საქმის ლიტერატურული ნაწილი არ შეიძლება გავაიგივეთ პროლეტარიატის პარტიული საქმის სხვა ნაწილებთან. ლენინის აზრით, ლიტერატურა პროლეტარული საქმის სპეციფიკური და ამავე დროს უდიდესი მნიშვნელობის შემადგენელი ნაწილია.

„ლიტერატურული საქმე, — წერდა ლენინი, — ყველაზე ნაკლებ ემორჩილება მექანიკურ შეთანაბრებას, ნიველირებას, უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობას. უღავოა ამ საქმეში უეჭველად საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს“.[2] აღნიშნავდა რა ლიტერატურული შემოქმედების სპეციფიკურობას, ლენინი სასტიკად ილაშქრებდა ე. წ. ინდივიდუალისტური „თავისუფლების“ წინააღმდეგ.

1 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 10, გვ. 36.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 10, გვ. 36-37.

მისი აზრით, მწერლის „ინდივიდუალური მიღრეკილება“, შემოქმედებითი თავისუფლება პარტიის იდეოლოგიას უნდა გამოხატავდეს.

განავითარა რა მარქსისა და ენგელსის იდეები იდეოლოგიის ყველა სფეროში, ლენინმა ბევრი სიახლე შეიტანა ლიტერატურის საზოგადოებრივი პოზიციის გაგებაშიც. ეს სიახლე დაკავშირებული იყო იმ ისტორიული ეპოქის თავისებურებასთან, რომელშიც ლენინი მოღვაწეობდა.

რუსეთში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისა და მსოფლიო სისტემად სოციალიზმის გადაქცევის შემდეგაც ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს არათუ არ დაუკარგავს მნიშვნელობა, არამედ ჩვენი იდეოლოგიისა და, კერძოდ, ლიტერატურის განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცა. პარტიულობა სოციალისტური რეალიზმის სული და გულია.

ლიტერატურის პარტიულობა მოითხოვს სინამდვილის მოვლენების ღრმა ცოდნას, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლის ამოცანებში გარკვევასა და ხალხის იდეალებისადმი თანმიმდევრულ და შეგნებულ სამსახურს. პარტიულობის პრინციპი ავალებს მწერალს განყენებული ჰუმანიზმის ქადაგებიდან ამაღლდეს მებრძოლ რევოლუციურ ჰუმანიზმამდე. სხვანაირად რომ ვთქვათ, პარტიულობის პრინციპი — ეს არის პოლიტიკური პოზიცია მშვენიერების, სიკეთის, სამართლიანობისა და ა. შ. რეალური შინაარსის გახსნაში. ამავე დროს იგი გულისხმობს გადამწყვეტ ბრძოლას ანტიჰუმანურის, სიმახინჯის, ბურჟუაზიული მორალის წინააღმდეგ. საბჭოთა მწერლის პარტიულობა ნიშნავს მისი კომუნისტური მიზანდასახულობის სიცხადეს, ღრმა პრინციპულობას ლიტერატურულ შემოქმედებაში.

ვ. ი. ლენინის ლიტერატურულ ნაშრომებში დიდი ადგილი უკავია ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის საკითხებს. ლენინური ასახვის თეორია, ლენინის გენიალური ნაშრომები ტოლსტოისა და გერცენის შესახებ, მისი შეხედულებები ბელინსკის, ჩერნიშევსკის, ტურგენევის, სალტიკოვ-შჩედრინის, გორკის, დემიან ბედნისა და სხვა მწერლების შესახებ, შენიშვნები საზღვარგარეთული ლიტერატურის ირგვლივ — ყველაფერი ეს განსაზღვრავს ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის ხასიათსა და მიმართულებას. ისინი გვაძლევენ ლიტერატურის ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი დებულებები საშუალებას გვაძლევს სწორად შევისწავლოთ მეცხრამეტე საუკუნის რუსული ლიტერატურის და, კერძოდ, პუშკინის, ჟერცენის, სალტიკოვ-შჩედრინის, ტოლსტოის, გორკის შემოქმედების თავისებურებანი.

ვ. ი. ლენინმა პირველმა მოგვცა ეროვნული კულტურის შეფასების მყარი კრიტერიუმი. მან გვიჩვენა, რომ ყოველ ეროვნულ კულტურაში ორი საწინააღმდეგო კულტურა გამოირჩევა — ექსპლოატატორული კლასებისა და ხალხის კულტურა. ლენინის მოძღვრება ერთ ეროვნულ კულტურაში ორი კულტურის არსებობის შესახებ ნათელს ფენს ლიტერატურის ისტორიის ბევრ რთულ მოვლენას. მან შესაძლებელი გახადა დაგვეძლია პროლეტკულტელთა ვულგარიზატორული დამოკიდებულება წარსულის ღემოკრატიული მემკვიდრეობისადმი და მჭიდროდ დაგვეკავშირებინა იგი, ეს მემკვიდრეობა, კომუნიზმის მშენებლობისა და მასების კომუნისტური აღზრდის ამოცანებთან.

ვ. ი. ლენინის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლიტერატურისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ლენინის დამოკიდებულება და მისი წერილები გორკისადმი. დიდად აფასებდა რა გორკის, როგორც მწერალსა და რევოლუციონერს, ლენინი ცდილობდა იგი შეეყვანა პარტიული ცხოვრების კურსში, მაგრამ ამავე დროს პრინციპულად აკრიტიკებდა გორკის დროებით შეცდომებს. ლენინის შეუნელებელმა ზრუნვამ და პირადმა კონტაქტმა ააცდინა მწერალი შეცდომებს და დააყენა იგი ერთადერთ სწორ გზაზე. თავის წერილებში გორკისადმი ლენინი ღიდი ტაქტით, პარტიული პრინციპულობით ამხილებდა გენიალური მწერლის შეცდომებს და ამ მიწერ-მოწერამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა გორკის მომავალზე. მ. გორკი ლენინის დახმარებით საბოლოოდ ჩაუდგა სათავეში სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას.

ვ. ი. ლენინის შრომებს წითელი ძაფივით მიჰყვება მთელი მისი მოღვაწეობისათვის დამახასიათებელი თვისება: ცოცხალ, განვითარებაში მყოფ რთულ და წინააღმდეგობრივ სინამდვილესთან კავშირი, გადამწყვეტი ბრძოლა სქოლასტიკისა და დოგმატიზმის, აგრეთვე რევიზიონიზმის წინააღმდეგ. იდეოლოგიური კომპრომისი ლენინისათვის მუდამ უცხო და მიუღებელი იყო.

დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ბრძნული მითითებები და შეხედულებანი ლიტერატურის შესახებ ჩვენი პარტიის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და ჩვენი მწერლობისა და ხელოვნების უდიდესი წარმატებანი ამ იდეების ბრწყინვალედ განხორციელების პირდაპირი შედეგია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზია ნადირაძე

აჭარაში მომუშავე პოეტები და ხალხური შემოქმედება

ფოლკლორი ანუ ხალხის ზეპირსიტყვიერი შემოქმედება გაცილებით ადრე შეიქმნა, ვიდრე მხატვრული მწერლობა. ქართველი კლასიკოსები ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ა. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და სხვ. მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდნენ მის დიდ მნიშვნელობას ერის ცხოვრებაში. აკაკი წერეთელმა, მაგალითად, ფოლკლორს ხალხის ისტორიის მტკიცე საძირკველი, მისი წარსულის უტყუარი სარკე უწოდა. და მართლაც, ხალხური შემოქმედება ყოველი ეროვნული კულტურის საფუძველია, რომელიც ეპოქის შესაბამისად მოიცავს ხალხის ცხოვრების ამა თუ იმ სურათებს; ასახავს ხალხის ფიქრს, გრძნობას, მისწრაფებას, აღწერს მის ბრძოლას უკეთესი მერმისისათვის.

მდიდარი ტრადიციების მქონე ხალხურ შემოქმედებასა და მხატვრულ ლიტერატურას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ამ კავშირს დიდი ხნის ისტორია აქვს. ყველა პროგრესული მწერალი ცდილობს ახლოს იდგეს ფოლკლორთან, ამუშავებს მისგან ნასესხებ სიუჟეტებს და ისე ქმნის საკუთარ ნაწარმოებს. მაგრამ აუცილებელია მწერალი შემოქმედებითად მიუდგეს ხალხურ სიუჟეტს და თავისებურად გადაამუშაოს იგი. ამის შესახებ სტატიაში „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“ ვაჟა-ფშაველა აღნიშნავდა: „უნდა ყველამ კარგად იცოდეს — ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადუღა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვნის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება“.[1]

რასაკვირველია, თავის მხრივ მხატვრული ნაწარმოებიც განიცდის ცვლილებას, როცა იგი ხალხში გადადის, და შეცვლილი სახით დროთა განმავლობაში ფოლკლორული ხდება.

ამით აიხსნება, რომ ლიტერატურათმცოდნეობა და ფოლკლორისტიკა დაწვრილებით სწავლობენ ლიტერატურისა და ხალხური შემოქმედების ურთიერთობას. მაგრამ, სამწუხაროდ, აჭარაში მომუშავე პოეტებისა და ხალხური შემოქმედების ურთიერთობა დღემდე სრულიად შეუსწავლელია. ჩვენ ვცადეთ გაგვეშუქებინა ზოგიერთი საკითხი ამ ურთიერთობიდან.

უთუოდ ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ისეთი პოეტები, როგორიც არიან პ. რურუა, ნ. მალაზონია, ფ. ხალვაში, ნ. გვარიშვილი, გ. სალუქვაძე, მ. ვარშანიძე და სხვ. თავიანთი შემოქმედებით მათ გარკვეული წვლილი შეაქვთ ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში. მათი ლექსები გამოირჩევიან არა მარტო გრძნობის სისადავით, უბრალოებითა და კეთილხმოვანებით, არამედ ხალხურ პოეზიასთან სიახლოვითაც.

ჩვენი პოეტები უნარიანად იყენებენ, კერძოდ, ხალხის მიერ საუკუნეთა განმავლობაში გამოცდილების საფუძველზე შექმნილ ანდაზებს. ასე, მაგალითად, ანდაზა „თავის ბუდეს სამუდამოდ ჩიტიც არ ტოვებს“ ნესტორ მალაზონიას ერთ-ერთ ლექსში ამ სახით გვხვდება:

შვილო, მუდმივად თავის ნაბუდარს
კეთილშობილი ჩიტიც არ ტოვებს.

ამით პოეტმა მშვენივრად გამოხატა მშობ-

1 ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, I, 1955 წ.

ამავე ანდაზას ვხვდებით პ. რურუას ლექსში. პოეტი ერთგან მოხდენილად ამბობს:

ჩიტიც უნდა დაბრუნდეს
ისევ თავის ბუდეში.

აქ ყურადღებას იპყრობს პოეტის თავისებური მანერა. ანდაზის მეორე ნაწილს, ე. ი. პირველი ნაწილის შედეგს (ანდაზა ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი მისანიშნებელია, ხოლო მეორე—პირველის შესრულებას გულისხმობს) წინ სწევს და ამახვილებს. ანდაზაც „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“ ასეთივე თავისებურებით გამოუყენებია მას.

შვილი მამას უნდა ჯობდეს,
შვილი მამას უნდა გავდეს.

ძველი ანდაზაა ამავე პოეტის ლექსში „ქართველ ქალს“:

ქალმა ქალს უგოს პასუხი,
ხმალს კი ვაჟკაცის ხმალმაო.

მეფე-დედოფლის შესაფერისობა მ. ვარშანიძის ლექსში „პატარძალი“ გამოხატულია ანდაზის „ფერი ფერს და მადლი ღმერთს“ პირველი ნაწილის მეშვეობით: „ფერი ფერსაო“, მათზე იტყვიან“.

თავისებურად შეაქვს ნაწარმოებებში ანდაზები აგრეთვე პოეტ გ. სალუქვაძეს:

ვდგევარ. გიცქერ ზღვის ციმციმით
გართულს,
მზე ჩადის და მეც ცასავით ვიწვი.
უსიტყვოდაც მიმიხვდები ქართულს, —
სიყვარულმა ყველა ენა იცის.

ან კიდევ:

თვალს რომ მარიდებ, განა შენ ბრალს
გდებ.
ვიცი, სიმართლის გიმძიმს გამხელა,
რომ შეიძლება ყველას უყვარდე,
მაგრამ ვერ შეძლებ გიყვარდეს ყველა.

ანდაზას „სახლი კი და ჰიმნის კოშკი სხვამ სხვას როდი აუშენა“, იყენებს პოეტი ნ. ვარშანიძე ლექსში „აკაკი“. ამავე ლექსში ვხვდებით აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელიდან“ იმ სტრიქონებს, რომლებიც ხალხში გადავიდა როგორც მართლაზროვანი ანდაზა: „მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“. პოპულარული ანდაზა: „ბატეხილს გაქექილი სჯობია“ კოცნის სურვილს გამოხატავს ლექსში „აპრილის კოცნა მინდოდა“, ხოლო ანდაზები „საუღლე ხარი რქაში იცობა“ და „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“ პოეტს ლექსების სათაურებად გამოუყენებია.

ხალხური სიტყვიერებისა და ლიტერატურის ურთიერთგავლენას მიეწერება ისიც, რომ გამოცანა ანუ, როგორც საბა უწოდებს, ასახსნელი სიტყვა ორივესათვის დამახასიათებელი ჟანრია, ე. ი. გამოცანა გვხვდება, როგორც ხალხურ სიტყვიერებაში, ისე მხატვრულ ლიტერატურაშიც.

პ. რურუას შემოქმედებაში, მაგალითად, ხშირად ვხვდებით მის მიერ შექმნილ გამოცანებს, რომლებიც ამ ჟანრისათვის დამახასიათებელი ნიშნებითაა მოცემული: პასუხი თვითონ მოითხოვს გამოცნობას, რომელიც კითხვაში შეფარვითაა მოცემული:

უხილავია,
ვერ ხედავს თვალი,
ისე კი მეტად
დიდი აქვს ძალი.
ზოგჯერ სახლს ანგრევს
და ლეწავს ტყეებს,
ძირფესვიანად
თხრის დიდრონ ხეებს.
ხშირად მოყვება
წვიმა, ავდარი...
აბა ვინც მიხვდა,
გვითხრას რა არი.

გამოსაცნობში ჩვეულებრივად ჩამოთვლიან ხოლმე გამოსაცნობის ნიშან-თვისებებს და ამთავრებენ დამახასიათებელი კითხვით: „აბა ვინც მიხვდა, გვითხრას რა არი“. მეორე გამოცანაში „რა ფრინველია?“ პოეტი მხოლოდ ნიშნებს ჩამოთვლის, ხოლო კითხვა სათაურშივე ჩანს:

თავზე ოქროს ჯიღა მადგას,
ნისკარტი მაქვს გრძელი,
ტანს მიმშვენებს აბრეშუმის
სამოსელი ჭრელი.
მინდვრად ვეძებ მატლს და ჭიებს,
ჩემთვის ვცხოვრობ ტყეში.
სხვას არაფერს არ ვუშავებ
და არაფერს ვერჩი.
ბავშვებს ჩხიკვი თუ ვგონივარ,
რომ დამდევენ მახით,
რა კარგია იმ ჩიჩხანას,
რომ არ ვგავდე სახით.

აზრის უკეთ, თვალნათლივ გადმოცემისათვის პოეტები მიმართავენ ხალხურ ლექსებს. ასე, მაგალითად, ხალხური ლექსის „მზე შინა და მზე გარეთას“ კვალი ჩანს პ. რურუას ლექსში „ლაზური სიმღერებიდან“. ამ ლექსში ჩვენი მხარის როგორც წარსულის, ისე აწმყოს დახასიათებისას ყურადღებას იპყრობს ხალხური მასალების ორიგინალური შერწყმა. ლექსის პირველ სტროფში შერწყმულია ორი სხვადასხვა ხალხური ლექსი: „ამოდუღდი მარგალიტო, ნაგუბარში ჩადექ წყალო“ და „მზე შინა და მზე გარეთა“:

ამოდუღდეს მარგალიტი
ნაგუბარში ჩადგეს წყალი,
მზე ბრწყინავდეს შინ და გარეთ
და ხარობდეს ჩვენი თვალი.

საგულისხმოა, რომ ორივე ეს ხალხური ლექსი პოეტურ მიმართვას შეიცავს, პ. რურუა კი მათი მეოხებით საკუთარ სურვილს გამოხატავს.

ამავე ლექსებს ვხვდებით, გ. სალუქვაძის პოეზიაშიც. კერძოდ, ხალხური ლექსი „მზე შინა და მზე გარეთა“ ავტორს საკუთარი ლექსის სათაურად გამოუყენებია. ეს სტრიქონი მეორდება სტროფის ბოლოშიც:

საქართველოვ,
საყვარელო,
ჩემო ტკბილო,
ღვიძლო დედავ!
ყველა აკვანს დამღეროდი
მზე შინა და მზე გარეთა.

აქ უკვე გარკვეულია ლექსის ხასიათი, რომ იგი საწესჩვეულებო პოეზიის სააკვნო, სასიმღერო ლექსია.

სხვა სტროფში ეს ლექსი სულ სხვა აზრს ატარებს. ჩვენი ბედნიერი და დიადი აწმყო არის სწორედ სულში შესული მზე.

ეს რა ხვავი დაგვებედა,
მარგალიტად იქცა ხნული;
სხივებს ანთებს ოქროს სვეტად
და ფრთას ასხამს ყველა სურვილს —
მზე შინა და მზე გარეთა,
მზე შიგ სულში შემოსული.

პოეტი თანამედროვეობას უკავშირებს მეორე ხალხურ ლექსსაც „ამოდუღდი მარგალიტო“...

მზისკენ მიდის გზა და ხიდი
ნაგუბარში ჩადგა წყალი,
ამოდუღდა მარგალიტი,
ხარობს მიწა ნათურქალი.

საწესჩვეულებო პოეზიის შესანიშნავი სააკვნო სიმღერა „იავნანა“, რომელსაც ყველა ქართველი დედა უმღეროდა და უმღერის ძილის წინ თავის პაწიას, ორიგინალურადაა შერწყმული ხალხურ „მზე შინასთან“:

ნანა დედა, ნანა შვილო,
ნანა ჩემო თვალის ჩინო,
ნანა შვილო, ნანა დედა,
მზე შინა და მზე გარეთა.

ამ ლექსის წარმოშობის ადგილს მიუთითებს გ. სალუქვაძის „ყირიმის ია“:

რას მოიგონებ, რას შეადარებ,
როცა კამკამა ნამში ბანაობს!
სად უმღერიან სხვაგან პატარებს,
სად უმღერიან იავ-ნანაო.

მ. ვარშანიძის ლექსი „დედის ნანა“ კი სამღერის შესრულების წესს გადმოგვცემს, აბასთან ხაზს უსვამს მის აღმაფრთოვანებელ და შთამაგონებელ ძალას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმღერებდა ნანას ისე,
ქართულ ნანას ძილის წინა,
თითქოს გძინავს და გარეთ კი
მოჩხრიალებს, მოჩქეფს წვიმა,
ხან ცისკარი ვარსკვლავებს ყრის,
ხან მზემ მთები ააბრწყინა.
ო, რა ტკბილი იყო ნანა,
ღედის ნანა ძილის წინა,
მე რვა წლისაც რომ ვიყავი,
მის ნანაზე ჩამეძინა.

საქართველოსადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში მ. ვარშანიძე „იავნანას“ უპირისპირებს უძველეს ქართულ საბრძოლო სიმღერას „მუმლი მუხასა“. ამ დაპირისპირებით ავტორი საქართველოს ბრძოლებითა და შემოსევებით სავსე წარსულს ხატავს:

ომში მღეროდა „მუმლი მუხასო“,
აკვანთან ისევ ტკბილ იავ-ნანას.

ამასვე მიუთითებს ნ. გვარიშვილის ლექსი „ვაშლოვანი კვლავ ვაშლოვანია“.

„მუმლი მუხასო“ გუგუნებს ველი,
გააფთრებულან სამშობლოს მხსნელნი.

პოეტები ხშირად იღებენ ზღაპრის ფაბულასაც, ზოგჯერ კი ზღაპარს შედარების მიზნით ხმარობენ. ნ. მალაზონიას პოემაში „მზევინარი“ მოხდენილად არის ჩართული ზღაპარ-ამბავი, რომელიც ანდაზის „სიყვარულით ანთებული გული საკირესაც დასწვავს“ წარმოშობას ეხება. ზღაპრის შინაარსი დაახლოებით ასეთია: ერთ სულთანს თურმე სილამაზით განთქმული ქალი ჰყავდა. იგი ბევრს მოსწონდა, მაგრამ მიზანს ვერც ერთი ვერ აღწევდა — ყველას საკირეში სწვავდნენ. ერთხელ სულთნის ქალს შეხვდა სალამურიანი ვაჟი. ქალს მოეწონა და ჰკითხა: „ვინ ხარ, შენც იცოცხლე და მეც მაცოცხლეო“. რა ვქნა, მიუგო ვაჟმა, სხვა მიყვარს და შენ როგორ შეგიყვაროო. განრისხებულმა ქალმა ბრძანა ვაჟი საკირეში დაეწვათ. ყველა ცრემლად იღვრებოდა და დნებოდა, როცა ვაჟი ანთებულ საკირეში გადაისროლეს, თვით სულთნის ქალსაც გაეყინა სისხლი. მაგრამ დახეთ... საკირიდან მოისმა სალამურის წკრიალა ხმა და ურჩი ვაჟის ნაცვლად „თვით საკირე გადაიქცა ნაცრად“. ამ ამბის საფუძველზე პოეტი ამბობს:

სიყვარულის ცეცხლით ანთებული
საკირესაც დაწვავს თურმე გული.

ლექსში „ოქროს შადრევანი“ პოეტი მ. ვარშანიძე მისდევს ჯადოსნური ზღაპრის ტრადიციას, როცა წერს:

მე მოვისმინე იმის ზღაპარი,
გმირი დევებში რომ შევარდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნეულის ხელით, ღამის ლამპარი —
მზეთუნახავი როგორ შავდება...
ანდა შაშვები ქალმა პაწიამ
გადააქცია თეთრ შავარდნებად,
უდაბნო ბაღად გადააქცია
ერთმა პატარა ბიჭმა შავლეგამ.

ავტორმა ზღაპარი ლექსის დედააზრისათვის მოიგონა. მთავარი აზრი ლექსისა კი ხალხთა მეგობრობაა. იგი აღწერს ხალხთა მეგობრობის უწმინდეს გრძნობას და ამბობს: „ჰეი, რა არის მასთან ზღაპარი“.

აღსანიშნავია ნ. მალაზონიას ზღაპრები „ჭიაკოკონა“, „მზეთუნახავი ქალი“, „თაგვი“, ნ. გვარიშვილის ზღაპრები „თითისტოლა“, „ნუგეშა“. ეს ზღაპრები, გარდა იმისა, რომ პოეტის ფანტაზიის შედეგია, ამავე დროს მდიდარია პოპულარული ზღაპრებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. ზღაპარში „თითისტოლა“ ასეთი ნიშნებია, მაგალითად, ოქროს ღილი, რომლითაც ყრმა იბადება (ზღაპრებში უმეტესად ოქროს კბილი გვხვდება), უშვილო ცოლ-ქმრის ნატვრა შვილის გაჩენის შესახებ და სურვილის შესრულება წითელი ვაშლით, გველეშაპის ჯადოსნური სიძლიერე, წყაროს წყლის უკვდავება და სხვ.

განსაკუთრებით საგულისხმოა ნ. გვარიშვილის წიგნი „მელია და წიწილა“, რომელშიც არის დიდაქტიკური ზღაპრები „პატარა ლალის ზღაპრები“, „პატარებო, მოუსმინეთ ბაჭიას და ფისუნიას“ და „მელია და წიწილა“.

„პატარა ლალის ზღაპრები“ ორ ზღაპარს შეიცავს, რომელთაგან პირველი სისუფთავისაკენ მოუწოდებს, ხოლო მეორე გმობს ახირებულ ურჩობასა და ჯიუტობას. ზღაპარი „პატარებო, მოუსმინეთ ბაჭიას და ფისუნიას“ მიმართულია ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ. თანამედროვეობას უკავშირდება ზღაპარი „მელია და წიწილა“, რომლის მიხედვით მელია საქათმის ნაცვლად ინკუბატორისაკენ მიეუნცულებს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ზღაპარში დარღვეულია ტრადიცია მელიას მოხერხებულობის შესახებ.

საინტერესოა პ. რურუას „ნაცარქექიაც“, რომელიც პოპულარული ზღაპრის „ნაცარქექიას“ ფაბულაზეა აგებული და გამდიდრებულია მწერლის ფანტაზიით.

ზღაპრული, ადამიანური სახის ლამაზ მზეთუნახავ ქალად წარმოსახა ნადირობის ქალ-ღმერთი დალი ხალხურმა პოეზიამ. პოეტმა გ. სალუქვაძემ თავის ლირიკულ ლექსებში სილამაზის სიმბოლოდ გამოიყენა იგი:

ეს შენ იყავი, ლიანა,
ოქროსდალალა დალი.

ან კიდევ:

გკითხავ: ეს შენ ხარ, ლიანა,
ჩემი ზღაპრული დალი.

რეალისტური ტიპის ზღაპრის თხრობითი-აბსტრაქტული დასაწყისით — „იყო და არა იყო რა“ გ. სალუქვაძე ბავშვობის ზეპირ-ზეპირ

თითქოს „იყო და არა იყო რა“,
წარსულმა ისე გადაიქროლა.

ნ. გვარიშვილის ლექსში „სანიშნო საათი“ ეს შესავალი გამოხატავს ზღვარს ძველსა და ახალ აჭარას შორის:

და ვის სჯერა ზღაპრად თქმული
იყო და არა იყო რა.

ცნობილია, რომ ძველი ზღაპრები შეიცავდა ცხრაობითი თვლის სისტემას. გამოთქმები ცხრათვალა მზე, ცხრათავიანი დევი, ცხრაკლიტული, ცხრა ძმა, ცხრა მთას იქით და სხვ. ამის ნათელი დადასტურებაა. ზღაპრის ეს „ცხრა“ ატრიბუტია ფ. ხალვაშის ლექსში „სინოპტიკოს ქალს“ — „ცხრა მთას იქით და ცხრა ზღვის გაღმა, ქვეყნის ნაპირთან“...

ხალხურ გადმოცემებს ეყრდნობიან ფ. ხალვაში (ლექსებში „ბალადა მთა მტირალაზე“, „საცრემლე“) და მ. ვარშანიძე („გადასაფრენი“).

„ბალადა მთა მტირალაზე“ მოგვითხრობს ამბავს, რომლის საფუძველზე მთას დაერქვა მტირალა. ერთ დროს თურმე იმ მთა-ველს, რომელსაც ახლა ცისკარი ჰქვია, თურქების შემოსვლისას შეჰფარებიან სოფლის მცხოვრებნი, საიდანაც ისინი ტირილითა და კვნესით გაჰყურებდნენ გადამწვარ სოფელს. მათი საცოდაობით „მთამ ღრუბელი დაიხურა და ცრემლებად ცრიდა წვიმა“, ხოლო, როცა თურქები განდევნეს და ხიზნები კვლავ დაუბრუნდნენ მშობლიურ სოფელს, იმ მთას, სადაც თავს აფარებდნენ ლტოლვილნი, მტირალა დაარქვეს. „ხალხმა თურმე მას სახელად დაუტოვა მთა მტირალა“, დასკვნის პოეტი.

ხალხური გადმოცემა უდევს საფუძვლად აგრეთვე ფ. ხალვაშის ლექსს „საცრემლე“, რასაც მოწმობს ავტორის მიერ წამძღვარებული ეპიგრაფი: „ხულოს რაიონში ნახულია თურქ დამპყრობთა ბატონობისდროინდელი თიხის პატარა ჭურჭელი, რომელსაც საცრემლეს უწოდებდნენ“. ლექსი მოგვითხრობს წინაპართაგან გაგონილ ამბავს საცრემლის შესახებ, როცა თურქების მრავალწლიანი ბატონობით განაწამებ ხალხს ცრემლში მოზელილი ალიზით გაუკეთებია დარდის ჭურჭელი, რომელშიც, როგორც ავტორი წერს, ნელა წვეთავდა გულთა და თვალთა დანაწურები.

ასევე ხალხურ გადმოცემას ეყრდნობა მ. ვარშანიძის ლექსი „გადასაფრენი“.

ცნობილია, რომ ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ შრომის პროცესთან დაკავშირებით ბევრი ლექსი და სიმღერა შემოგვინახა. ეს სიმღერები ძველთაგანვე იქმნებოდა და გამოხატავდა ხალ-

ლის სურვილი, რომ განათლებამიღებული შვილი ისევ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდეს. ხის სულიერ მდგომარეობას, საზოგადოებრივ შეხედულებებსა და მისწრაფებებს. დროთა განმავლობაში ისინი განიცდიდნენ ცვლილებებს. მაგალითად, დროისა და მდგომარეობის შეცვლის შესაბამისად იცვლებოდა მშრომელთა განწყობილება. ამის შესაბამისად კი იცვლებოდა სიმღერის შინაარსი, ხოლო შესრულების ხასიათი უმეტესად უცვლელი რჩებოდა.

ხალხური სიმღერა „ნადური", რომელიც განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული, შრომის პროცესში შეიქმნა. სოციალისტური ცხოვრების შესაბამისად მისი შინაარსი შეიცვალა, ხოლო შესრულების წესი — კოლექტიურობა უცვლელი დარჩა. სწორედ ეს გადმოგვცა ნ. მალაზონიამ ლექსში „ტბეთის გზაზე".

უკვე ინათა ჭვანაშიც,
ჩაქრა ოდებში ნათურა
და კოლექტივის ყანაში
დაიგუგუნა ნადურმა.

სოციალისტურ ეპოქაში შექმნილ შრომის სიმღერებში შრომისადმი ახლებური დამოკიდებულება იგრძნობა. მ. ვარშანიძის ლექსში „გუთნის დედა" განსაკუთრებით კარგად ჩანს სოციალისტური შეჯიბრების მასობრიობა და მამობილიზებელი ძალა, ამასთან ნაჩვენებია შრომის სიმღერის შესრულების წესი და დახასიათებულია გუთნის დედის მოვალეობა — მშვიდობიანი ცხოვრების დროს გუთნის დედობა, ხოლო ომის დროს ვაჟკაცური ბრძოლა:

თუ ცა მზიანი ნისლმა შებურა,
მაშინ ნახვამდის, ჩემო გუთანო,
მეც მტერს დავხვდები კვლავინდებურად.

ჩვენი პოეტების შემოქმედებაში ორგანულად შემოვიდა აგრეთვე სახალხო გმირთა სახეები. სახალხო გმირს ემრულა მალქვაძეს მიუძღვნეს ლექსები, მაგალითად, ნ. გვარიშვილმა და მ. ვარშანიძემ. მებრძოლი ქალების თამარ ვაშლოვანელისა და მაია წყნეთელის სახეებით არის შთაგონებული ნ. გვარიშვილის ბევრი ლექსი, მათგან ერთი — „ჩემი ბებია" გვიამბობს ღარიბ ქალის თავგადასავალს. ქალი ადრე [illegible] ლა, შვილები საკუთარი შრომით დაუსოდა. ერთ შვილს ბეგის ასული შეუყვარდა, მაგრამ ბეგი ქალს როდი აძლევდა. შვილის მდგომარეობით შეწუხებულმა დედამ მოიტაცა სარძლო, რამაც ბეგის დიდი უსიამოვნება გამოიწვია. ქალი გაკაჟდა, გამხნევდა. მას თვალებშიო, წერს პოეტი, ვაშლოვანელისა და წყნეთელის ელვარე თვალთა ნათელი ედგაო.

მაია წყნეთელის სიკვდილს აღწერს პოეტი ლექსში „ვაშლოვანი კვლავ ვაშლოვანია":

ვინ გადუმტვრია მაიას ხმალი,
სიკვდილის ბინდით ეხუჭვის თვალი.

გვიამბობს რა მაიას სიკვდილს, პოეტი ამავე დროს გადმოგვცემს თამარ ვაშლოვანელის ბრძოლის ეპიზოდს:

ეს ვინღა იბრძვის ელვარე ხმალით,
რომ უკრიალებს მაყვალა თვალი,
კენარ წელს შეხსნეს ხმლისა სარტყელი,
იცნეს ასული ვაშლოვანელი.

პოეტი ორიგინალურად იყენებს ჩვენს სახელოვან წარსულს, მას აწმყოს უკავშირებს დახაზს უსვამს, რომ ხმლით მებრძოლ მაიასა და თამარის ნაცვლად დღეს გვყავს ახალი, სოციალისტური შრომის გმირები, რომელთა სახელებს ხალხი ისევე შეინახავს, როგორც შეინახა წყნეთელისა და ვაშლოვანელის სახელი.

დასასრულ სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი პოეტების ლექსების დიდი ნაწილი ხალხურ კილოზეა გამართული, ბევრი მათგანი ხალხში გადავიდა და ფოლკლორული გახდა. ასე, მაგალითად, ხალხი მღერის ფ. ხალვაშის „სიმღერას გმირ ჯინჭარაძეზე", ნ. მალაზონიას, გ. სალუქვაძისა და სხვ. მთელ რიგ ლექსებს. და რამდენადაც უფრო ფართოდ, უკეთ და ორიგინალურად გამოიყენებენ აჭარაში მომუშავე პოეტები ხალხურ შემოქმედებას, იმდენად უკეთ გადაწყვეტენ ისინი იმ დიდ ამოცანებს, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს ჩვენი ლიტერატურის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დღეებს ვინ დაივიწყებს!

ქართული პოეზიის განხილვის შემაჯამებელ სხდომაზე, მოსკოვის ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში, ჩვენი დეკადის წარმატებით აღფრთოვანებულმა პოეტმა პავლე ანტოკოლსკიმ სიტყვის ბოლოს იხუმრა, ასეთ გამარჯვებებს თბილისის „დინამოსაც“ ვუსურვებო. იმ დღეებში, მართლაც, თბილისის დინამოელებმა დიდი ანგარიშით წააგეს სეზონის პირველი შეხვედრა და ეს ამბავი საოცრად ვერ ეწყობოდა დედაქალაქში ქართული კულტურის დეკადის მონაწილეთა საზეიმო განწყობილებას. ამიტომ ჩვენ პოეტის გულწრფელ სურვილებს ტაში დავუკარით.

აი რატომ გავიხსენე ეს შემთხვევა. მოსკოველები იმდენად მოხიბლული, აღტაცებული და მადლიერი იყვნენ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებათა ხილვით, რომ გულწრფელად სწყინდათ უბრალო ჩავარდნაც კი, რომელიც იმ დღეებში საქართველოს თუნდაც რომელიმე სპორტსმენს მოუვიდოდა სადმე.

1.

გამიგონია, ხელოვნება მარადიული ხიდია ხალხთა შორის. იგი აძლიერებს ადამიანებში სიყვარულს. ამას მთელი ძალით გვაგრძნობინებდა ჩვენ დეკადის დღეები.

როცა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი გამოჩნდებოდნენ, დარბაზი, ქუჩა თუ მოედანი ღიმილით ივსებოდა. ეს იყო ქართველი ხალხისადმი მაღალი პატივისცემისა და გულწრფელი სიყვარულის, მეგობრობის გრძნობა.

ქუჩაში, მეტროში, ავტობუსში თუ თეატრის ფოიეში გაიგონებდით ამგვარ საუბარს:

— ქართველების ყოველ გამოსვლაში იგრძნობა რაღაც ღრმა ეროვნული, თავისებური...

მართლაც, იმ საღამოს, როცა დიდი თეატრის სცენაზე ვირტუოზულად შესრულდა ჩვენი სახელმოხვეჭილი ბალეტი „ოტელო“, დარბაზში ერთნაირი აღტაცებით ტაშს უკრავდა მოსკოველი მეტრომშენებელიც, ლენინგრადელი მწერალიც, ბელგიის დედოფალიც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანიც.

2.

საქართველოდან ჩასულებს მოსკოვმა მკაცრი ამინდები დაგვახვედრა. ძლიერი ყინვა, ქარაშოტი... მაგრამ კინოებისა და თეატრების სალაროებთან, სადაც სადეკადო სპექტაკლებსა და ფილმებზე ბილეთები იყიდებოდა, განუწყვეტელი რიგები იდგა.

ჩვენი ხელოვნებისადმი მოსკოველთა ასეთი ინტერესი ყველას გვაამაყებდა.

3.

მე არასოდეს დამავიწყდება 22 მარტი, როცა გორკაში გავემგზავრეთ და იქ ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილები ვინახულეთ.

ყოველი ოთახი, ყოველი ნივთი ნათლად მეტყველებს უდიდესი ადამიანის უბრალოებაზე, მის სიყვარულზე ხალხისადმი.

ჩვენ დიდხანს ვათვალიერებდით იმ ხეივნებს, სადაც ავადმყოფი ლენინი დადიოდა. ხელით ვეხებოდით საგნებს, რომლებითაც იგი სარგებლობდა, ვისმენდით მის ხმას, შემონახულს ძველ ფირფიტაზე, და ჩვენი გული ივსებოდა ენით აუწერელი გრძნობით, გონება კი შთაგონებით.

ამაღელვებელი იყო კრემლში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სამუშაო კაბინეტისა და საცხოვრებელი ბინის დათვალიერებაც.

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს ხელმძღვანელის სამუშაო კაბინეტი და მისი მოწყობილობა უფრო უბრალო მეჩვენა, ვიდრე დღევანდელი ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტი. აქ, ერთ-ერთ კედელზე, ჩვენი ყურადღება მიიზიდა საქართველოს ვეებერთელა რუკამ, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძის სპეციალური დავალებით

შეუდგენიათ 1920 წელს, როცა საქართველოში განსაკუთრებულად დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა იყო.

მე უსაზღვროდ ავღელდი, როცა კრემლში, ლენინის სამუშაო კაბინეტში, რუკაზე ვნახე ჩემი პატარა მშობლიური კუთხეც.

4.

23 მარტს ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი გაემგზავრა მოსკოვის ოლქის ქალაქ ზაგორსკში. ზაგორსკს რუსული ეკლესიის დედაქალაქს უწოდებენ. აქ ჩვენ ვნახეთ რუსული არქიტექტურის დიდებული ძეგლები.

ლიტერატურული საღამო დანიშნული იყო კულტურის სახლში, რომელიც ზაგორსკელთა სიამაყეა. ამიტომ იყო, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა თვითეულ ჩვენგანს დაგვირიგა რამდენიმე ცალი ღია ბარათი ზაგორსკის კულტურის სახლის მშვენიერი არქიტექტურული ანსამბლის გამოხატულებით.

საღამოს შემდეგ ზაგორსკელებმა ქართველ მწერლებს მადლობა გადაუხადეს და გადასცეს ძვირფასად შესრულებული ადრესი.

მეორე დიდი ლიტერატურული საღამო, რომელშიც მე ვმონაწილეობდი, გაიმართა საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში 25 მარტს. ამ საღამოს თავმჯდომარეობდა მწერალი კონსტანტინე სიმონოვი.

ქართველი პოეტების ალიო მირცხულავას, კარლო კალაძის, იოსებ ნონეშვილის, კალე ბობოხიძის, შალვა ამისულაშვილის გვერდით თავიანთი-თარგმანები წაიკითხეს რუსმა პოეტებმა მიხეილ ლუკონინმა, მიხეილ ლვოვმა, მარკ მაქსიმოვმა, კონსტანტინე სიმონოვმა.

ლიტერატურული ნაწილის ბოლოს სიტყვით მოგვესალმა და სტუმრებს საბჭოთა არმიის მებრძოლთა და ოფიცერთა სახელით მადლობა გადაუხადა საკმაოდ ხანში შესულმა გენერალ-პოლკოვნიკმა, რომელმაც ამაღელვებელი ეპიზოდები მოიგონა საქართველოს მთიან რაიონებში თავისი სამხედრო სამსახურის დროიდან. მან განაცხადა, რომ ქართველ ხალხში იმდენად ფესვგამდგარია ეროვნული კულტურა, რომ, მაგალითად, უბრალო სვანი გლეხები არანაკლები ოსტატობით ცეკვავენ და მღერიან, ვიდრე ხელოვნების რომელიმე გამოჩენილი მოღვაწეო.

30 მარტს ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა დეკადის ლიტერატურული ნაწილის დასკვნითი საღამო.

საღამოს მეორე — საკონცერტო განყოფილებამ განუწყვეტელი ოვაციები გამოიწვია. სხვათაშორის, დიდი წარმატება ხვდა აჭარის წარმომადგენელს მოცეკვავე იაკობ ხალვაშს, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა „განდაგან“.

5.

საბჭოთა მწერლების კავშირში სამ დღეს გაგრძელდა ქართული პოეზიის სექციის მუშაობა. იგი დაიწყო 26 მარტს პოეტ სერგეი ალიმარინის შესავალი სიტყვით და თავმჯდომარეობით. ამ განხილვაში რუს პოეტებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ უკრაინელი, ბელორუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, თურქმენი, უზბეკი, ყაზახი, ლიტველი პოეტები. სხვათაშორის, დეკადების ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ასე ფართოდ მოიწვიეს სტუმრები სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

მე დამამახსოვრდა ბევრი სიტყვა, რომლებიც აქ წარმოითქვა...

რუსი პოეტების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ქართული ლექსი განსაკუთრებით გამორჩეულია თავისი პლასტიკურობით და დიდი უმრავლესობა ამაღელვებლად გვიხატავს ბუნების სურათებსო.

სიმონ კირსანოვმა თქვა, რომ იგი უკანასკნელ დრომდე კარგად არ იცნობდა ქართულ პოეზიას. ახლა, განაცხადა მან, ბევრი ქართული პოეტური ნაწარმოები წავიკითხე და გაოცებული დავრჩი აზრის სიღრმით, ფერების სიუხვით, მუსიკალობით. მე თითქოს ახალ სამყაროში შევაღე კარები და უცებ აურაცხელი სიმდიდრის მფლობელი გავხდიო.

ქართველ ხალხსა და მის პოეზიაზე უდიდესი სიყვარულით ილაპარაკა მიკოლა ბაჟანმა. ეს პატარა ხალხი, თქვა მან, თავისი უძველესი და მაღალი კულტურით რომელიც გნებავთ დიდი ხალხის გვერდით დადგებაო.

პავლე ანტოკოლსკიმ დიდი მღელვარებით მოიგონა ის დღეები, რომელიც მან ტიციან ტაბიძესთან ერთად გაატარა საქართველოში.

— მე განცვიფრებული და მოხიბლული ვიყავი ტიციანის ადამიანური ღირსებებით, — ამბობდა ის. — მისი მაღალი ინტელექტით, მისი პატრიოტიზმით, მისი ბობოქარი ლექსებით.

ქართულ პოეზიაზე ილაპარაკა ბევრმა და ითქვა ძალიან ბევრი.

6.

მეორე დღეს მოსკოველმა თანამოკალმეებმა დეკადის მონაწილე ქართველი მწერლების პატივსაცემად გამართეს მიღება.

ალექსი სურკოვმა, რომელიც მხოლოდ იმ დღეს დაბრუნდა ინდოეთიდან, ნიკოლოზ ტიხონოვისა და თავისი სახელით ბოდიში მოიხადა, რომ ინდოეთში ყოფნის გამო დეკადის მუშაობაში მონაწილეობა ვერ მიიღო.

— ჩვენ ინდოეთშიც ვისმენდით თქვენი წარმატებების შესახებ და აღტაცებულნი მოსკოვისაკენ მოვისწრაფოდით; მადლობა ასეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხელოვნებისათვის. გისურვებთ ახალ წარმატებებს შემოქმედებაში, — თქვა მან.

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებზე შეიძლება დაუსრულებლად წერო, რადგანაც ყოველი დღე ჰეშმარიტად დიდი მოვლენებით იყო აღსავსე. მაგრამ ჩვენ, მისი მონაწილენი, მხოლოდ ცალკეულ გამოსვლებს ვესწრებოდით და ვერ ვხედავდით ყველაფერ იმას, რაზეც მეორე დღის დადგომამდე ქის გაზეთები და რადიო აღტაცებით აცნობდნენ მთელ ქვეყანას.

იმ დღეებს ვინ დაივიწყებს!

ფრ. ხალვაში.

წარუშლელი შთაბეჭდილებანი

ძალზე დიდი სიხარული ვიგრძენი, როცა თეატრის დირექტორმა მითხრა, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში სტუმრად გიწვევენო. რომელ ქართველს არ გაეხარდებოდა იმ ზეიმში მონაწილეობა, რომელიც მოსკოვში გველოდა.

დეკადა — ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაული, ქართული კულტურის მიღწევების მძლავრი დემონსტრაცია გახდა.

დადგა მოსკოვში გამგზავრების დღეც. აღფრთოვანებული მივეშურებოდით მოსკოვისაკენ და ვფიქრობდით, გაამართლებდნენ თუ არა ქართული თეატრები იმ დიდ ავტორიტეტს, რომელიც მათ წინა წლების გასტროლებზე მოიპოვეს. განსაკუთრებით მაღელვებდა რუსთაველის სახელობის თეატრის ბედი, თეატრისა, სადაც მეცა და ჩემმა მეგობრებმაც ავიდგით ფეხი, როგორც მსახიობებმა. თვალწინ მედგა წინანდელი დიდი წარმატებები, რომლებიც თეატრმა მოიპოვა. თვალწინ მედგა მაყურებლის აღფრთოვანება შესანიშნავი დადგმებით („ლამარა", „აზზორი", „ქართა ქალაქი", „ინ ტირანოსი") გამოწვეული. მე კარგად მახსოვს რუსთაველის თეატრის პირველი და მეორე გასტროლები, როცა სპექტაკლების დამთავრების შემდეგ შემოქმედებით კოლექტივს დიდ ოვაციებს უმართავდნენ. ისიც კარგად მახსოვს, რომ დანიშნულ სპექტაკლებზე ერთი კვირით ადრე ბილეთები აღარ იშოვებოდა.

როგორია მოსკოვში მიღებული ჩემი შთაბეჭდილებები? პირადად მე მისვლისთანავე მარცხი მომივიდა. აი რატომ. მართალია, დრამატული თეატრების წარმატება დიდად მაღელვებდა, მაგრამ, სხვებთან ერთად, მაინც ყველაზე უფრო მაინტერესებდა ბალეტი „ოტელო". მაგრამ ვერც ერთ სპექტაკლს ვერ დავესწარი, თუმცა იგი ექვსჯერ უჩვენეს მოსკოვში. ბილეთები ხომ არ იშოვებოდა და არ იშოვებოდა, მოსაწვევ ბარათებზეც ზედმეტი იყო ოცნება.

როგორც იქნა, საშუალება მომეცა მენახა ოპერისა და ბალეტის თეატრის მხოლოდ ერთი დადგმა პ. ჩაიკოვსკის „ორლეანელი ქალწული". ვერ ვნახე „დაისიც", მას „ოტელოზე" ნაკლები ხალხი როდი ეტანებოდა. „ორლეანელ ქალწულზე" ორმაგი სიამოვნება განვიცადე — ჯერ-ერთი, პ. ჩაიკოვსკის შესანიშნავი ოპერისაგან და, მეორეც, მოსკოველი მაყურებლის რეაგირებისაგან. ჯერ იყო და ოვაცია გაუმართეს დირიჟორ ო. დიმიტრიადის, ხოლო შემდეგ, როგორც კი გაიხსნა ფარდა და მომღერლებს ჯერ ხმაც არ ამოეღოთ, პირველი მოქმედების მხატვრულმა გაფორმებამ მაყურებელთა ტაშის გრიალი გამოიწვია (მხატვარი ფ. ლაპიაშვილი). მესამე ოვაცია მსახიობებს ერგოთ — თ. მუშკუდიანს, ლ. გოცირიძეს და მთელ კოლექტივს, რომლებმაც მაღალ შემოქმედებით დონეზე წაიყვანეს სპექტაკლი.

მაყურებლის აღფრთოვანებამ დამარწმუნა, რომ მოსკოველებს ძლიერ მოეწონათ თეატრის ეს შესანიშნავი დადგმა.

ერთ-ერთმა ჩემმა ნაცნობმა მსახიობმა რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა მიხაილოვმა, რომელიც სამამულო ომის წლებში მუშაობდა შავი ზღვის ფლოტის თეატრში და ბევრჯერ ყოფილა ბათუმში გასტროლებზე, სპექტაკლის შემდეგ სხვა ვერაფერი მოახერხა ეთქვა და წამდაუწუმ იმეორებდა: „შესანიშნავია", „შესანიშნავიაო". ახლა წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა „დაისზე", „ოტელოზე" რომ არაფერი ვთქვათ.

მიხაილოვი და მე დავესწარით რუსთაველის სახელობის თეატრის შესანიშნავ დადგმას „ოიდიპოს მეფეს". არ მახსოვს, როგორ შევედით — ეს სასწაული იყო.

ოიდიპოსის როლში ვნახეთ ქართული სცენის სიამაყე აკაკი ხორავა. მის ყოველ გამოჩენაზე ოვაციები იმართებოდა და ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, თუ რა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ხვდება მოსკოველი მაყურებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილ ქართველ მსახიობს. და ეს ბუნებრივიცაა. არ შეიძლება მაყურებელი მას ოვაციებითა და პატივისცემით არ შეხვდეს. ხორავა სცენის გმირია, ხორავა ბუმბერაზია, ნამდვილი რაინდია სცენაზე. იგი მონოლოგის დაწყებისთანავე იტაცებს მაყურებელს ხავერდოვანი ხმით. მისი მიმიკა, ვაჟკაცური მოძრაობა, ხორავას თვალები — საოცრად მეტყველი და გამომსახველია. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ სწორედ ამიტომ უყვართ მაყურებლებს ეს დიდებული მსახიობი. ხორავა-ოიდიპოსის გამოჩენას ვახტანგოვის სახელობის თეატრის სცენაზე მჭუხარე ტაშით შეხვდა მაყურებელი. სპექტაკლის ფინალამდე მაყურებელი დაძაბული, განაბული უსმენდა მას და ღელავდა.

ჩემს წინ მჯდომმა მოსკოველმა მსახიობმა აღტაცება ვერ დამალა და სპექტაკლის მსვლელობის დროს მოგვიბრუნდა — „მე ყოველთვის ვგრძნობდი ამ კაცში დიდ გმირსო“. შემდეგ მსახიობმა მიხაილოვს ჰკითხა — გინახავს თუ არა ხორავას ოტელოო. არ მქონია ბედნიერებაო, — უპასუხა მან. მაშინ მოსკოველმა უთხრა: ოიდიპოსი ხომ კარგია და კარგია, ოტელოში იგი შეუდარებელიაო.

საშუალება მომეცა აგრეთვე მენახა არჩილ ჩხარტიშვილის დადგმა „ოპტიმისტური ტრაგედია“ რუსთაველის სახელობის თეატრში. და აქაც განსაკუთრებით დიდი მოწონება დაიმსახურა აკაკი ხორავამ წინამძღოლის როლში.

რუსი მსახიობები ამბობდნენ: „რუსთაველელების რეჟისორული ტრაქტოვკა საუკეთესოაო“.

მინდოდა მენახა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დადგმებიც, რომლებიც მცირე თეატრში იმართებოდა, მაგრამ ვერ ვიშოვე ვერც ერთი მოსაწვევი ბარათი (ბილეთზე ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი). მივმართე დეკადის შტაბის უფროსს ვ. ჭიაურელს. ცივი უარით გამომისტუმრა — ჩვენ ვალდებული ვართ მოვითმინოთო.

მთელი გულით მსურდა მენახა „რიჩარდ მესამე“, მაგრამ ეს ვერაფრით ვერ მოვახერხე.

არ ვმალავ და პირდაპირ შევიჭერი, როგორც იტყვიან, „მოკვეთილზე“.

ჯავარას როლს ასრულებდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე, რომლის გამოჩენას მაყურებელი ოვაციით ხვდებოდა. სპექტაკლი უაღრესად მაღალ დონეზე ჩატარდა, თითქმის თხუთმეტ წუთს მაყურებელი ფეხზე იდგა და ტაშს უკრავდა. ჩვენი ქართული თეატრის სასიქადულო მსახიობმა ვერიკო ანჯაფარიძემ აუდიტორიას გულთბილი ალერსი და მაღალი შეფასებისათვის მადლობა გადუხადა. ფარდის დახურვის საშუალებას მაყურებელი არ იძლეოდა და, როცა თითქოს ყველაფერი მიწყნარდა, ერთ-ერთი რუსი ინტელიგენტი ფეხზე წამოდგა და დაიძახა: „გაუმარჯოს ნიჭიერ ქართველ ხალხს!“ ოვაცია ისევ გაგრძელდა.

ერთი კი არის, სპექტაკლებზე შესვლა ძნელი იყო, მაგრამ საშუალება მქონდა დაწვრილებით დამეთვალიერებინა ლამაზი მოსკოვი. და საითაც კი გაიხედავდი, ყველგან ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილე კოლექტივების რეკლამები იყო გაჩირაღდნებული.

სპექტაკლებს ვინ ამბობს, კინოშიც ვერსად შევედი, ყველა კინოთეატრში ქართულ ფილმებს უჩვენებდნენ.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ამხ. დ. ჩხეიძიშვილის დახმარებით ბედნიერება მხვდა წილად მოვხვედრილიყავ დასკვნითი კონცერტის... გენერალურ რეპეტიციაზე. დარბაზში ტევა არ იყო. რა თავშეკავების უნარიც არ უნდა ჰქონოდათ, მაყურებლები აღტაცებას ვეღარ ფარავდნენ და ყოველი ნომრის შესრულებას ტაშის გრიალითა და „ბრავო“-„ბისის“ ძახილით ხვდებოდნენ. დიდი მოწონება ხვდა წილად ცეკვებს, სიმღერებს. ვ. ჭაბუკიანმა აქაც გადარია მაყურებელი. დიდი წარმატებით გამოვიდნენ აგრეთვე მერი ნაკაშიძე, პეტრე ამირანაშვილი, ვ. წიგნაძე, ზ. კიკალეიშვილი, ნ. ანდღულაძე და სხვები.

არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ვთქვა ნორჩებზე, რომლებიც არდადეგებზე ესტუმრნენ მოსკოველ მეგობრებს. ქართველი პიონერები, რომლებიც მოამზადა ნოდარ ჩხეიძემ, დიდი მოწონებით სარგებლობდნენ. ისინი თავიანთი გამოსვლებით ფურორს ახდენდნენ. რა თქმა უნდა, ვერც მათ კონცერტებზე მოვახერხე შესვლა, მაგრამ რომელი მოსკოველიც არ უნდა მენახა ბავშვების კონცერტებზე ნამყოფი, ყველა გაოგნებული იყო — ეს რა ბავშვები ვნახეთო. ერთ-ერთი ჟურნალისტი ქალი გაოცებით მეკითხებოდა: ქართველები დაბადებიდანვე ხომ არ ცეკვავენო.

წარუშლელი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი მოსკოვიდან. ჭეშმარიტად, ეს ქართული კულტურის დიდი დღესასწაული იყო.

ი. კოტალაძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათი დღე მოსკოვში

ძნელია დაწერა ყველაფერზე, რაც ვნახე და განვიცადე ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე მოსკოვში. ეს ჩემს ცხოვრებაში პირველი და ყველაზე ძვირფასი სანახაობა იყო. ბევრჯერ მინახავს ოპერის თეატრის დადგმები, რუსთაველის სახელობის თეატრის წარმოდგენები, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის საუკეთესო სპექტაკლები და ბევრი სხვა სანახაობა ხელოვნების დარგში, მაგრამ რაც მოსკოვში ვნახე რუს მაყურებლებთან ერთად, ეს სულ სხვა იყო.

კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის ბალეტმა „ოტელომ", ჭაბუკიანის ვირტუოზულმა თამაშმა აღაფრთოვანა დიდი გემოვნების მასპინძლები.

ავტობუსსა თუ ტროლეიბუსში, მეტროსა თუ ქუჩაში, ყველგან დიდ პატივს სცემდნენ დეკადის მონაწილეებს. ალბათ, ბევრს მსახიობი, მომღერალი, კომპოზიტორი ან პოეტი ვეგონე... ყველასგან სითბოს ვგრძნობდი.

ამ დიდ გამარჯვებებს მე ვხედავდი სახვით ხელოვნებაშიც და მიხაროდა, როცა მაყურებლები არანაკლებ ინტერესს იჩენდნენ ამ უტყვი ნაწარმოებების მიმართაც, რომლებიც არც ყღერდნენ, არც ცეკვავდნენ, არც ლაპარაკობდნენ... მხოლოდ ემოციური აღქმით და შეგრძნებით იზიდავდნენ მნახველებს. უბის პატარა წიგნაკებში მნახველები იწერდნენ შენიშვნებს, გვარებს, სახელებს და სხვა მათთვის საჭირო ცნობებს. ეს ამბები მეტი პასუხისმგებლობის წინაშე მაყენებდა, თითქოს მეშინოდა კიდევაც და მზად ვიყავი დამემალა ჩემი ვინაობა. ხან კიდევ სიამისა და სიხარულის გრძნობები მეხატებოდა სახეზე...

საინტერესოდ ჩაიარა გამოფენის გარჩევამ. ბევრ ქებას საქმიანი შენიშვნები და სურვილებიც ახლდა. ვუსმენდი ყველას გამოსვლას და ერთი აზრი არ მშორდებოდა: რამდენი შრომისა და ენერგიის დახარჯვაა საჭირო, რომ დაამყაროფილო საზოგადოების მაღალი გემოვნება!

ბევრმა მხატვარმა ნამდვილი აღიარება ჰპოვა მოსკოველთა შორის.

უდავოა, რომ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის უდიდესი წარმატება ბევრს გვავალებს შემდგომ შემოქმედებითს მუშაობაში.

შ. ხოლუაშვილი.

დიდი იყო წარმატება

იმ დღეებში ქართველი ხალხის გულისყური შიპყრობილი იყო მოსკოვისაკენ, სადაც საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობდა ქართული ეროვნული კულტურის დათვალიერება.

21 მარტს ქართული ცეკვის დამსახურებული ანსამბლი სუხიშვილისა და რამიშვილის ხელმძღვანელობით, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი, ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში წარსდგა მოსკოველ მაყურებელთა წინაშე. დიდი იყო წარმატება. თითქმის ყველა ცეკვის განმეორებით შესრულება მოგვიწია მაყურებელთა თხოვნით. მოსკოველები გულთბილი ტაშით გვაჯილდოებდნენ.

სხვადასხვა ორგანიზაციის თხოვნით, გვიხდებოდა გასვლითი კონცერტების ჩატარება მოსკოვის ოლქში. ყველგან — ქუჩებში, მოედნებზე, მეტროსა თუ სასტუმროში ყველა ლაპარაკობდა ჩვენი დეკადის წარმატებაზე, ყველგან გაიგონებდით სიტყვებს: „ოტელო", „შვიდკაცა", „სუხიშვილი და რამიშვილი" და სხვ.

არასოდეს დამავიწყდება პირველი აპრილი, როდესაც დეკადის მონაწილეებმა გავმართეთ დასკვნითი კონცერტი სსრ კავშირის აკადემიურ დიდ თეატრში. კონცერტს ესწრებოდნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. უდიდესი წარმატება ხვდათ წილად ვ. ჭაბუკიანს, ვ. წიგნაძეს, ზ. კიკალეიშვილს, პ. ამირანაშვილს, ცეკვებს „ქართულს", „აჭარულ სუიტას", „შეჯიბრებას" და სხვ.

მიღწეული წარმატებები ქართული ხელოვნების დეკადის მონაწილეებს გვავალებს კიდევ უფრო სრულვყოთ ფორმით ეროვნული და შინაარსით ინტერნაციონალური ჩვენი უძველესი ქართული კულტურა.

ი. ხალვაში,
აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟა ჭანიშვილი

ანთებული გული

მაქსიმ გორკის დაბადების 90 წლისთავის გამო

1892 წელს, ქალაქ თბილისში, გაზეთ „კავკაზის“ 12 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ერთი პატარა მოთხრობა, რომელსაც „მაკარ ჩუდრა“ ერქვა, ხოლო ხელს მანამდე სრულიად უცნობი მწერალი — მაქსიმ გორკი აწერდა... მოთხრობამ ბევრი დაინტერესა, მაგრამ მხოლოდ მეგობართა და ახლობელთა მცირე წრემ იცოდა, თუ ვინ ეფარებოდა ამ მრავალმეტყველ ფსევდონიმს. „გორკი“ აირჩია ლიტერატურულ ფსევდონიმად წუთისოფლის უკვე მრავალ სიმწარეს ნაწვნევმა ახალგაზრდა მეცნიერმა ალექსი მაქსიმეს-ძე პეშკოვმა, ყოფილმა ბოგანომ და მოხეტიალემ.

ასე გამოვიდა მსოფლიო ლიტერატურის ვრცელ სარბიელზე სიტყვის მომავალი გენიალური ოსტატი, ადამიანურობის გასაოცარი მეხოტბე, სამართლიანობის, სიკეთისათვის თავდადებული მეომარი, სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი, დიდი მწერალი და დიდი მოქალაქე.

და განა საამაყო არ არის, რომ საქართველოს ქვეყანა, რომელმაც, როგორც თვითონ გორკიმ აღნიშნა შემდეგ, მწერლობისაკენ უბიძგა მას და თბილისსაც ბედი ხვდა წილად — მომავალი დიდკალმოსნის აკვანი დაერწია. საქართველოს დიადმა ბუნებამ და ქართველი ხალხის რომანტულმა სირბილემ დაუდეს სათავე მ. გორკის აღმფრენას, მის შესანიშნავ მოთხრობებს პატარა, მაგრამ სულით მაღალ ადამიანებზე.

როცა 1903 წელს გორკი ხელმეორედ ესტუმრა საქართველოს, იგი უკვე სახელგანთქმული, დიდად ავტორიტეტული მწერალი იყო და ქუთაისში მის პატივსაცემად გამართულ ბანკეტს ქალაქის მთელი მოწინავე საზოგადოებრიობა ესწრებოდა. ქართველმა ხალხმა გაუგო გორკის და მასაც, სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, არასდროს დავიწყნია მეორე სამშობლოდ ქცეული პატარა ქვეყანა. გორკის ყოველთვის აინტერესებდა საქართველოს აწმყო და წარსული, უწინასწარმეტყველებდა მას ნათელ მომავალს.

დიდმა პროლეტარულმა მწერალმა მთელი თავისი უზარმაზარი შემოქმედების საწყისად აიღო ჩაგრული ადამიანი, მისი ბედი, მისი ხვედრი ამ ქვეყანაზე. სიკეთისათვის თავდადება იყო ახალგაზრდა მწერლის მიზანი და მას მიჰყვა იგი ბოლომდე.

ჯენიალური ვ. ი. ლენინის სიტყვები, გორკი უზარმაზარი მხატვრული ტალანტია, რომელმაც მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობას დიდი სარგებლობა მოუტანა და მომავალშიც მოუტანს — ჯეროვანი შეფასებაა მწერლის ნიჭისა და ამაგისა, მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა.

როგორ გარდავქმნათ ცხოვრება, რა გავაკეთოთ, რომ სიკეთე, სიმართლე სუფევდეს ქვეყნად? — აი საკითხი, რომელიც აწუხებდა, აღელვებდა და შთააგონებდა მწერალს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში თბილისსა თუ სამარაში, სადაც „სამარსკაია გაზეტაში“ სამუშაოდ მიიწვია იგი მისმა პირველმა მკაცრმა მსაჯულმა კოროლენკომ, გორკი გაბედულად აყენებდა ადამიანის განთავისუფლების დიად იდეას, ოცნებობდა შეექმნა ყველა წინანდელისაგან პრინციპულად განსხვავებული ლიტერატურა — „აღმტყინებელი და ნათელი“ ხელოვნება.

1896 წელს ახალგაზრდა პუბლიცისტმა და მწერალმა ნიჭიერად დაწერილ გამოკვლევაში „პოლ ვერლენი და დეკადენტები“ მკაცრად ამხილა ილჯგამოცლილი ბურჟუაზიული კულტურა და დაცემისაკენ იმთავითვე დაქანებული ცრუ ხელოვნება — დეკადენტიზმი, თუმცა აქვე მთელი გულწრფელობით აღიარა ყვითელ

ჭაობში ჩამბრჩვალი პრიალა და ხალასი ნიჟი გამოჩენილი ფრანგი პოეტისა.

რუსეთი დიდი ქარიშხლის წინ ბორგავდა. დადგა ჩვენი საუკუნე და უკვე ამ დროისათვის გორკი სათავეში ედგა ლიტერატურის სულ უფრო ძალუმად მზარდ დემოკრატიულ ბანაკს. გორკი გახდა მისი სულისჩამდგმელი და მებაირახტრე. გორკის მგზნებარე კალამმა შემოიყვანა რუსულ ლიტერატურაში „დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა“ ბნელი სამყაროს საღათას-ძილისაგან გაღვიძებული ადამიანი, გორკის დიადმა ნიჭმა გაშალა „ქარიშხალას“ ვეება ფრთები და მან აალაპარაკა მრისხანედ პავლე ვლასოვი, ანდრეი ნახოდკა, მემანქანე ნილი და ბოგანო სატინსაც ხმა აამაღლებინა — „ადამიანი — ეს ამაყად ჟღერს“, პატივი ეცითო.

მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის ასახვა, მართალია, ძირითადი თემა იყო მ. გორკის იმდროინდელ შემოქმედებაში, მაგრამ მწერალი მარტო ამას როდი სჯერდებოდა. არ დარჩენილა რევოლუციის ცეცხლში გახვეული რუსეთის ცხოვრების არც ერთი უბანი, რომელზეც გორკის თავისი სიტყვა არ ეთქვას, თავისი აზრი არ გამოეხატოს. მწერლის შემოქმედება დიდტანიანი მატიანეა, რომელშიც თითქმის ყველა კლასმა, ფენამ, „დიდმა“ და „პატარა“ ადამიანმა დაიკავა თავისი კუთვნილი ადგილი და გამოსახა თავისი „მე“. ამ მატიანეში აისახა აგრეთვე ყველა დიდმნიშვნელოვანი სოციალური მოვლენა და აფეთქება.

რევოლუციისა და მომდევნო წლებში შექმნა გორკიმ ნაწარმოებნი, რომლებშიც მთელი ბუმბერაზობით წარმოგვიდგება ისტორიის ნამდვილი მამოძრავებლის — ხალხის დიადი ძალა, ნაწარმოებნი, რომლებშიც მთელი სიცხადით გახსნა სიმართლის მაძიებელი ადამიანის კეთილშობილური ბუნება, რომლებშიც პუბლიცისტის მრისხანე სიტყვით ამხილა გადაგვარებული ბურჟუაზიის მესაკუთრული ფსიქოლოგია, რომლებშიც მთელი სისრულით აისახა შეურიგებელ ბანაკთა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ბრძოლა ბნელისა და ნათელისა, ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის; და ყოველთვის გორკი ერთგულად ადგა იმთავითვე აღებულ გზს — ეძია და ეპოვნა ახალი, ჯანსაღი, მართალი, მზარდი.

აი თითქოს განუყოფელი და ერთმანეთის ერთგულია ინტელიგენტთა ფენა — „ზეკლასობრივი“ ბურჟუაზიული ინტელიგენცია. მაგრამ დიდი მწერლის მახვილი მზერა აქაც ეძიებს და კიდევაც პოულობს განსხვავებას — ყველა როდია თანასწორი და სრულუფლებიანი „ზეკლასობრივ“ წრეშიაც კი. ყველა ერთნაირად როდი უყურებს ცხოვრებას, ყველას ერთი ძაფი როდი გაუბამს ხალხთან. პიესა „მოაგარაკენი“ (1904 წ.) ადასტურებს, თუ რაოდენ მკვეთრია ბზარი ბედსშერიგებულ, მორჩილ [illegible] რალებსა და დემოკრატიულ [illegible] შორის.

1906 წელს გორკიმ ზედიზედ შექმნა ნაწარმოებნი, რომლებიც უძლიერესია არათუ რუსულ, არამედ საერთოდ მთელ რევოლუციურ ლიტერატურაში. რომანი „დედა“ და პიესა „მტრები“ ნათლად გადმოგვცემენ მუშათა კლასის იდეურ ზრდას, მძაფრად გვიხატავენ ხალხთა გაღვიძებას, ხალხის აზვირთებას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

განუზომლად ვრცელი და ნაყოფიერია გორკის საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი სათავეში ედგა გამომცემლობა „ზნანიეს“, მონაწილეობდა პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთების „ნოვაია ჟიზნისა“ და „ბორბას“ დაარსებაში, იმ გაზეთების შექმნასა და დაარსებაში, რომელთა სულისჩამდგმელი და იდეური ხელმძღვანელი იყო დიდი ლენინი.

1906 წელს გორკიმ საზღვარგარეთ იმოგზაურა და პუბლიცისტის გამჭრიახი თვალით დაინახა და ამხილა მოჩვენებითი ბურჟუაზიული დემოკრატია, უბადაღებული ამერიკული „სამოთხის“ სიცრუე.

1907 წელს მწერალი პარტიის ლონდონის ყრილობის მონაწილე იყო, სადაც კიდევ უფრო ახლოს გაეცნო და დაუახლოვდა ლენინს. მწერალი ღრმად განმსჭვალა ლენინისადმი პატივისცემით. დიდი ბელადის ზრუნვა ლიტერატურისათვის, მისი შეხედულებანი ახალ ესთეტიკაზე გორკისათვის დაუშრეტელი მაცოცხლებელი წყარო შეიქმნა. პროლეტარიატის ბრძენი ბელადი ვ. ი. ლენინი იყო მწერლის უპირველესი მეგობარი და გულთამხილავი. „ძალზე დროული წიგნია“, ასე შეაფასა ვლადიმერ ილიას-ძემ რევოლუციის ბობოქარ დღეებში შექმნილი „დედა“ და, როგორც თვითონ მ. გორკი ამბობდა, ეს იყო მასწავლებლისა და წინამძღოლის ერთადერთი, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მეტად ძვირფასი კომპლიმენტიო.

და ამიტომაც იყო, რომ შემდგომ, უკვე საბჭოთა ხელისუფლების წლებში, როცა გორკი კლასიკური ლიტერატურის გამრავლებასა და საბჭოთა ხელოვნების პირველ წარმატებებს განაზოგადებდა, ყველას მიუთითებდა სინამდვილისადმი ლენინურ მიდგომაზე, მოაგონებდა და მიუთითებდა ახალგაზრდა საბჭოთა მწერლებს ლენინურ პრინციპულობაზე, იდეურ სიმტკიცეზე. ბელადის გენიისადმი უსაზღვრო პატივისცემითაა გამსჭვალული გორკის შესანიშნავი ნარკვევი „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“.

დიდი მწერალი სამშობლოს გარეთაც კი

ეზიარა და იგრძნო რევოლუციის ახალი აზვირთება რუსეთში, დიადი ქარცეცხლის მოახლოება. 1913 წელს იგი რუსეთში დაბრუნდა.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყებისთანავე გორკი თავგამოდებით ამხილებდა და იბრძოდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, გაშიშვლებული შოვინიზმის წინააღმდეგ. და განა შეეძლო ადამიანურობის დიდ მომღერალს ხმა არ აღემაღლებინა ომის ყველა საშინელების წინააღმდეგ?!

დიდი ოქტომბრის რევოლუციის წინა და მომდევნო პერიოდში გორკიმ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იგი მწერალია, რომელმაც „თავისი დიადი მხატვრული ნაწარმოებებით... მტკიცედ დაუკავშირა თავისი თავი რუსეთისა და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობას...“[1]

სამოქალაქო ომის წლებში დიდმა მწერალმა ფართო საზოგადოებრივი საქმიანობა გააჩაღა — სათავეში ჩაუდგა თითქმის ყველ დიდ კულტურულ თუ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ წამოწყებას. და სწორედ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ გამოვლინდა ყველაზე უფრო გორკის შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ნიშნები. რევოლუციის შემდგომ შექმნილ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან რომანი „არტამონოვების საქმე“ და ოთხტომიანი ეპოპეა „კლიმ სამგინის ცხოვრება“. ეს თხზულებები განსაცვიფრებელი ძალით გამოხატავენ მოვლენათა ერთობლიობას, ხასიათების მრავალფეროვნებას, შეიცავენ ღრმა, გორკისებურ განზოგადებას.

1928 და 1929 წლებში ავადმყოფი გორკი ორჯერ ჩამოვიდა იტალიიდან სამშობლოში და ორჯერვე ხანგრძლივად იმოგზაურა სოციალიზმის მშენებელ ქვეყანაში. მის ამ მოგზაურობათა შთაბეჭდილებას ასახავს შესანიშნავ ნარკვევთა სერია „საბჭოების ქვეყანაში“. 1931 წელს დიდი მწერალი საბოლოოდ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. დაუდეგარი ენთუზიაზმით მოჰკიდა მან ხელი დიდად ნაყოფიერ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ საქმიანობას. მისი ინიციატივით დაარსდა ჟურნალები „ჩვენი მიღწევები“, „სსრკ შენდება“, „ლიტერატურული სწავლება“, „საზღვარგარეთ“, „კოლმეურნე“, დაიწყო გამოცემა ენციკლოპედიური კრებულისა „შესანიშნავ ადამიანთა ცხოვრება“ და სხვ. გორკი ... ბრუნვა ხდიდა და აყალიბებდა საბჭოთა ლიტერატორების ახალ თაობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალი ყოველმხრივ განაზოგადებდა როგორც თავის, ისე ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურის გამოცდილებას და ცდილობდა გაერკვია, გამოევლინებინა ახალი ადამიანის, ახალი ცხოვრების ყველა ნიშან-თვისება, გაერკვია ახალი შემოქმედებითი მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის მძლავრი მეთოდის არსი და დაემკვიდრებინა იგი. თავის სტატიებში, პირად წერილებსა და გამოსვლებში არაერთხელ აღუნიშნავს გორკის ჩვენი სინამდვილის სიმართლე და სიდიადე, რეალიზმისა და რევოლუციური რომანტიკის შერწყმის აუცილებლობა. გორკი იღვწოდა, რათა საბჭოთა მწერლებს წარმტაცად, მთელი სიმართლით ეთქვათ დიადი მშენებლობის მღელვარე დღეების შესაფერი მხატვრული სიტყვა.

„ჩვენ ვცხოვრობთ ბედნიერ ქვეყანაში, სადაც ბევრი რამ არის სასიყვარულო და პატივსაცემი. ადამიანისადმი სიყვარული ჩვენში უნდა წარმოშვას და მას წარმოშობს კიდევაც მისი შემოქმედებითი ენერგიით გამოწვეული გაოცების გრძნობა... პარტიის სიყვარული, პარტიისა, რომელიც მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხის ბელადია და ყველა ქვეყნის პროლეტართა მასწავლებელი“, — წერდა გორკი სტატიაში „სოციალისტური რეალიზმის შესახებ“.

1932 წელს საბჭოთა ხალხმა, მოწინავე კაცობრიობამ დიდი მწერლისა და ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავი იდღესასწაულა. მ. გორკი ლენინის ორდენით დაჯილდოვა საბჭოთა მთავრობამ. მწერალს გულთბილად მიესალმა ი. ბ. სტალინი.

მ. გორკის მთელი შემოქმედება ნათელი გონების, მგზნებარე გულის, მეოცნებე, ანთებული გულის ადამიანის ცხოვრების ვეება წიგნია, რომელიც გვასწავლის, თუ როგორ ვაშენოთ ადამიანთა სული, როგორ უზრუნველყოთ ბედნიერება ადამიანისათვის.

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XVI, გვ. 123.

მწერლის არქივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაოლო იაშვილი

დაცემულ ბათუმს*

ჯერ არ დამცხრალა ჯიუტი ომი
დაუდგრომელი, ქარიგით მკვეთრი
და ატორტმანდა ჩვენი ბათომი,
მწვანე ბათომი მაისის ხვედრი.

სულთანის ხარბი და ჭროღა თვალი
უცქერს, ქალაქო, შენს ნოხურ ბაღებს;
იისფერ ზღვაში მზე ჩამავალი
ძველებურ ლხენით თვალს ვეღარ აღებს.

და შენს მეომარ ამართულ მთაზე
სძინავს ზარბაზანს ძლიერი ძილით,
მაგრამ ართვინის მტვერიან გზაზე
ახალი ურდო მოდის სიფრთხილით.

ცხვრის ქონით უნდა ფერადი ნოხი,
რომ გადალაქოს ჟანგისფერ მტვერმა.
მას უკან დარჩა უკვე ჭოროხი
და მოაღწია საზღვრებთან მტერმა.

უკვე იწყება მრისხანე წამი,
წამი, რომელიც ძვლებს დაახვავებს.
უკვე შეირხა ზღვასთან ლერწამი,
ბათომის ცაზე მე ვუმზერ ყვავებს.

ბრძანება ისმის და სმენა ჩქარა,
გაშალეთ მზეზე კრიალა ხმლები,
ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა,
ანდა ბათომთან დავტოვოთ ძვლები.

ადრე სულთანი ნუ გაიხარებს,
გამარჯვებისთვის ადრეა ტაში.
ჩვენ დავიბრუნებთ ბათომის კარებს,
მწარე იქნება ჩვენი რევანში.

1918 წ.
ქუთაისი.

---

* პაოლო იაშვილის ეს ლექსები ქვეყნდება პირველად. ხელნაწერები მოგვაწოდა შალვა დემეტრაძემ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთიმ გურჯს

ექსპრომტი

დღეს პირველად ვნახე ხალხის ეთიმი,
ის ყოფილა ჩვენი გულის ექიმი.
ღვინო, ლექსი არის მისი ადათი
და ქონება — ერთი შავი ნაბადი.

მესმის მისი ცრემლიანი ღაღადი
— დასაწერად არ მაქვს სუფთა ქაღალდი.
ვერ მაჩუქა საქართველომ კალამი,
რომ დავწერო მისთვის გულის სალამი.

მე არა მაქვს საკუთარი ბინაო,
მე წუხელი ქვაზე დამეძინაო,
მაგრამ მშველის სითბო რუსთაველისო,
ალბათ, ახლაც მონატრებით მელისო.

საქართველოვ, ზეცას ეთამაშები,
მაგრამ ეთიმ გურჯისათვის რას შვრები.
ცუდათ არი შენი შვილი ეთიმი,
ვერ უნახავს ვერსად თავის ექიმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ ხინიკაძე

რეჟისორი, მასწავლებელი, მეგობარი

ეს იყო 1932 წლის ივნისში. აფიშები წინასწარ იუწყებოდა, ბათუმში საგასტროლოდ ჩამოდის თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრიო. ყველა მოუთმენლად ელოდა საგასტროლო სპექტაკლების დაწყებას. სპექტაკლები იმართებოდა ყოფილ შმაევსკის თეატრში (იმ ადგილას, სადაც ახლა ბათუმის სახელმწიფო თეატრის ახალი შენობაა). პირველ წარმოდგენად მიდიოდა ს. შანშიაშვილის „ანზორი“. მე მაშინ თეატრისა არაფერი გამეგებოდა, მაგრამ სპექტაკლები ძლიერ მიზიდავდა. ავიღე ბილეთი და რვის ნახევარზე თეატრის კარებთან ავიტუზე. როგორც კი გაიღო კარები, მაშინვე შევედი თეატრში, მინდოდა არაფერი გამომრჩენოდა. სრულ რვა საათზე შესასვლელი კარები ჩაკეტეს და ასეთ მკაცრ დისციპლინას მიუჩვეველ მაყურებელთა დიდი ნაწილი გარეთ დარჩა. მხოლოდ მეორე მოქმედებაზე გაიჭედა ხალხით დარბაზი. მართალია, ეს ეწყინათ, მაგრამ შემდეგ უკვე არავინ იგვიანებდა სპექტაკლზე და წარმოდგენაც ზუსტად დანიშნულ დროს იწყებოდა.

„ანზორის“ პირველი მოქმედება ძალიან მოგეწონა, მეორე მოქმედება არ იდგა პირველი მოქმედების დონეზე, მაგრამ მესამე მოქმედებამ გამიტაცა. სამოცი კაცი მაინც იქნებოდა სცენაზე, სულ შერჩეული ვაჟკაცები, რომელთაც რაზმავს ანზორი (სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა) საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ყველას ერთი მიზანი ამოძრავებდა. მთელ დარბაზთან ერთად მეც ფეხზე მდგომი ტაშს ვუკრავდი. ასევე ძლიერი იყო მეოთხე მოქმედება. ადგილზე ვერ ვჩერდებოდი, სულ წინ მივიწევდი, მეც მსურდა მათთან ერთად ბრძოლაში მონაწილეობა მიმეღო.

წარმოდგენა დამთავრდა. ფარდა ნელა დაეშვა. მაყურებელი კი ადგილიდან არ იძვრის, ტაშის გრიალში ისმის:

— ახმეტელი!.. ახმეტელი!..

ჩემი ხმაც შევუერთე ხალხის ხმას:

— ახმეტელი!.. ახმეტელი!..

სცენის მარჯვენა მხრიდან გამოვიდა შუატანის ფართო მხარბეჭიანი კაცი, რომელსაც შავი ხუჭუჭი თმა შუბლზე გადმოჰყროდა, ოდნავ მომღიმარი თავს უკრავდა დარბაზს. ასე გაგრძელდა დიდხანს.

სახლში წავედი, მაგრამ მთელი აზრითა და ფიქრით თეატრში ვიყავი, სცენაზე ვტრიალებდი, ვოცნებობდი, თითქოს მეც მსახიობი ვიყავი, მეც ვთამაშობდი „ანზორში“. ამ ფიქრებით გაბრუებული დავწექი, მაგრამ ძილი არ მომკარებია.

მეორე დღეს გავსწიე ისევ თეატრისაკენ. მოელი დღე ვიჯექი თეატრის შესასვლელის მოშორებით და თვალყურს ვადევნებდი ყველაფერს. ვეძებდი იმ კაცს, რომლის სახელს წინა ღამით მთელი დარბაზი ყვიროდა. რატომღაც ახმეტელად ემ. აფხაიძე შევიცანი, დაახლოებით ისეთი იყო ის კაცი, წუხელის სცენაზე რომ იდგა, სიმაღლით, სისქით. მას შორიახლო ვუთვალთვალებდი.

ერთი სიტყვით, „ანზორის“ ნახვამ, როგორც იტყვიან, ბუდიდან ამომაგდო. აქ საკვირველიც არაფერია. „ანზორისა“ და რუსთაველის სახელობის თეატრის სხვა სპექტაკლების ნახვამ ანატოლი ლუნაჩარსკის ათქმევინა:

„რუსთაველის თეატრმა გააკვირვა მოსკოვი. მოსკოვის აზრით, და ჩემის აზრითაც, რუსთაველის თეატრი მსოფლიო თეატრების პირველ რიგში წინაურდება. ამის პირველი მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ქართველები საუცხოო თეატრალურ მასალას წარმოადგენენ. უზარმაზარი ტემპერამენტი, სერიოზული თამაში, მოძრაობის სიმსუბუქე, მეტყველი მიმიკა — განსაკუთრებულია. ყველაფერ ამას რაღაც „სიქალწულის“ ბეჭედი ასვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვების მეორე მიზეზი ისაა, რომ მგრძნობიარე და ნიჭიერმა სანდრო ახმეტელმა ეს საუცხოო მასალა მშვენივრად იგრძნო და მასზე კარგად იმუშავა“.

ამის შემდეგ მე რა უნდა მეთქვა, მხოლოდ გაოგნებული დავდიოდი და ვოცნებობდი მემუშავა რუსთაველის სახელობის თეატრში. მოვახერხე თეატრის რამდენიმე თანამშრომლის გაცნობა, აუარებელ კითხვას ვაყრიდი მათ. მინდოდა გამეგო და ჩავსწავლომოდი ყოველ წვრილმანს. მათ განვუცხადე, რომ მტკიცედ გადაწყვიტე რუსთაველის სახელობის თეატრში მუშაობა. წამიყვანეს და წარმადგინეს თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგესთან ცნობილ ავტორ-იუმორისტ ია ქანთარიასთან. ია ქანთარიამ ყურადღებით მომისმინა და შემპირდა, ხვალ მოდი და ალექსანდრ ვასილიჩთან მიგიყვანო. მე ჯერ ვერ გავიგე ვინ იყო ალექსანდრ ვასილიჩი, წამოვედი, მოვნახე ჩემი ნაცნობები და გავიგე, რომ ხვალ ახმეტელთან მექნებოდა შეხვედრა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მეორე დღის მოლოდინში არც ჭამა მახსოვდა და არც ძილი მომკარებია. მთელი ღამე ვღელავდი — რა უნდა მეთქვა და როგორ, რომ მოვწონებოდი ახმეტელს.

ასე აფორიაქებული დილის ათი საათიდან ავიტუზე თეატრის შესასვლელ კარებთან. ასე ლოდინში გავლილ დღე. დღის ბოლოს გამოვიდა ია ქანთარია და შემიძღვა რბილი ავეჯით მორთულ პატარა კაბინეტში. ახმეტელი კედელს მიყრდნობოდა, გაზეთი გაეშალა და კითხულობდა. შემომხედა. აი ეს არის ის ყმაწვილი, რომელსაც ჩვენთან მუშაობა უნდაო, მოახსენა ია ქანთარიამ. მაგრამ ვაი ჩემი ბრალი: მე რომ კაცს მოწიწებით ვეპყრობოდი და ახმეტელად მიმაჩნდა, ეს ის არ არის. ოდნავ ღიმილით, მაგრამ დაჟინებით მიმზერს, დიდი შავი ელვარე თვალების არწივის გამოხედვით. შემდეგ დიდი ხნის მეგობარივით დამიწყო საუბარი, გამომკითხა სადაურობა, ცოდნა, მშობლები მყავს თუ არა, კომკავშირელი თუ ვარ, რომელი სპექტაკლი მომეწონა და რატომ. მერე ქანთარიას რუსულად დაელაპარაკა, ბოლოს, შემომხედა, გამიღიმა და მითხრა: ნუ ღელავ, თეატრში უეჭველად წაგიყვანო. სიხარულით აღარ ვიცოდი რა მექნა, თეატრს აღარ ვშორდებოდი, ვამრავლებდი ნაცნობებს თეატრის მუშაკებიდან, რადგან თავი უკვე წარმოვიდგინე რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობად. ხშირად კაეშანიც მიპყრობდა, რადგან არ ვიცოდი, როგორ და როდის მიმიღებდნენ თეატრში.

რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთში წავიკითხე განცხადება, რომ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში იხსნება აჭარის სექცია, რომელიც მოამზადებს კადრებს ეროვნული ბალეტისთვისო. აბითურიენტს ზეპირად უნდა სცოდნოდა ნაწყვეტი რომელიმე ნაწარმოებიდან, ან ლექსი. გადავდევი ილია, აკაკი და ვაჟა. შევარჩიე ერთ-ერთი თანამედროვე პოეტის ლექსი და დავიწყე მისი მომზადება, მაგრამ არჩევანი თურმე სუსტ ნაწარმოებზე შემიჩერებია. განცხადება იმ დღესვე შევიტანე. 65 მსურველი გამოცხადდა გამოცდებზე. მე პირველი გამომიძახეს, რადგან განცხადება სხვებზე ადრე შევიტანე. გამოცდები მიმდინარეობდა სარეპეტიციო დარბაზში. გარდა მიმღები კომისიისა, გამოცდებს ესწრებოდნენ ადგილობრივი პარტიული და განათლების ორგანოების წარმომადგენლები და მსახიობები.

მახეში გაბმული ჩიტივით მითრთოდა გული. ჩემი გულისცემა, ალბათ, ყველას ესმოდა. მე კი ვერავის ვერ ვხედავდი, გარდა ახმეტელისა. იგი წითელ მაუდგადაფარებულ მაგიდასთან იჯდა, მაგრამ ახლა ისე მშვიდი არ იყო, როგორც პირველი შეხვედრის დროს, ლაპარაკობდა ხან რუსულად, ხან ქართულად, ოხუნჯობდა, იღიმებოდა, მაგრამ მე არაფერი მესმოდა. შემატყო მღელვარება, დამსვა სკამზე, დამიწყო დამშვიდება. აბა, რას გვეტყვი ზეპირადო, მკითხა. მეც დიდის რიხით დავიწყე კითხვა, დარწმუნებული იმაში, რომ ახალთახალი ლექსით დიდ შთაბეჭდილებას მოვახდენდი მასზე. მაგრამ წავიკითხე თუ არა ორი სტროფი, გავჩერდი, ვერასგზით ვერ გავიხსენე შემდეგი. მამშვიდებდა, სხვადასხვა კითხვას მაძლევდა, ალბათ, განგებ. დავიწყე თავიდან. ვთქვი ორი სტროფი და ისევ გავჩერდი. ისევ დავიწყე გლახა ჭრიაშვილივით, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა. მზად ვიყავი თავი მომეკლა, რადგან ყველა ჩემი ოცნება და განზრახვა ისპობოდა. სხვა ხომ არაფერი იცი, მკითხა. კი-მეთქი. და დავიწყე „ვეფხისტყაოსნიდან“. — შე დალოცვილო, ლექსი და სიკეთე გცოდნია და რას იკლავდი თავს მაგ უხეიერო ლექსითო. რაკი ლექსი წავიკითხე, მომიწონა, გულზე ცოტა მომეშვა, ვფიქრობ, კარგად არის საქმე-მეთქი. შემდეგ სმენა გამისინჯეს და გამიშვეს. სამოცდახუთი აბითურიენტიდან შეგვარჩიეს თოთხმეტი. გვიბრძანეს, პირველ სექტემბერს გამოცხადდებით რუსთაველის სახელობის თეატრშიო. მე თითქმის ყოველ მეორე დღეს დავდიოდი განათლების კომისარიატში, როდის გაგვგზავნით-მეთქი.

დადგა სანატრელი გამგზავრების დღეც. ჩავედით თბილისში და დავბინავდით სასტუმრო „ევროპაში“ (ახლა სასტუმრო „რუსთაველი“). ყორესის ქუჩაზე ტრამვაის ველოდებოდი და... ქუჩის მეორე მხარეს ვხედავ ს. ახმეტელს. იგი დგას მთვარესავით გაბადრული. მე ხელი წავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი ამხანაგებს: ახმეტელი-მეთქი. მან თითით მანიშნა, მივსულიყავ. სალამის თქმა ვერ გავბედე...

— ჩამოხვედით? — მკითხა და პასუხს არ დაუცადა, — ახლავე წადით თეატრში.

ეს იყო 1932 წლის პირველი სექტემბერი. დაიწყო ოთხწლიანი შეუპოვარი, თავდადებულ სწავლა და მუშაობა იმ ადამიანთან, რომელმაც კომეტასავით გაიელვა ქართულ საბჭოთა სცენაზე და ხანმოკლე დროის მანძილზე ქართულ თეატრს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის საზღვრებს იქითაც გაუთქვა სახელი.

ილიასი არ იყოს, „იცი, მკითხველო, ეს ოთხ წელიწადი რა ოთხი წელიწადია?!“ დღის 11 საათზე შ. დადიანის „თეთნულდის“ რეპეტიციაზე შეგვიყვანეს. „თეთნულდი“ უკვე დადგმული იყო, მაგრამ ახლა აღდგენითი რეპეტიციები მიდიოდა. ჩვენ დაგვავალეს მასობრივ სცენებში მონაწილეობა. ახმეტელი თვითონ გვიჩვენებდა ყველა მოძრაობას. ყველაფერი გამიზნული იყო, არც ერთი ზედმეტი მოძრაობა. ყოველ დეტალს ვიმეორებდით რამდენჯერმე. ვიდრე არ იტყოდა კარგიაო, არ მოგვეშვებოდა. წარმოდგენის წინ ყველა ჩვენგანი შეამოწმა, გაგვისწორა სვანური ქუდების დახურვა. „თეთნულდს“ მოჰყვა „ანზორი“, „ქართა ქალაქი“, „სალტე“, „განგაში“ და სხვ.

რუსთაველის სახელობის თეატრში მაშინ სხვადასხვა სექცია იყო: თბილისის, აჭარის, ოსეთის, აფხაზეთისა და სხვები. მეცადინეობა გვეწყებოდა დილის ცხრა საათზე. თვითონ ს. ახმეტელი თეატრის მეთოდოლოგიას გვიკითხავდა. მისი ლექცია გრძელდებოდა ორ საათს. უფრო მეტად იჯდა და ისე ლაპარაკობდა. არავითარი კონსპექტი, წიგნი ან ბლოკნოტი არ ჰქონდა. ხანდახან ყალიონს გააბოლებდა, პაპიროსს არ უწევოდა. ორი საათი ისე გავიდოდა, ვერც კი გავიგებდით. მისი ლექცია მუდამ მიმზიდველი იყო, ყოველგვარი ჟესტისა და ყალბი ტონის გარეშე. ხმა ტკბილი და ხავერდოვანი, ფართო შუბლი, შავი ხუჭუჭა თმა შუბლზე დაყრილი, დიდი, წყლიანი თვალები. ქვედა ყბა ფართო ჰქონდა, რაც მეტ სიძლიერეს და ენერგიას მატებდა, ბეჭები — ფართო და განიერი, გულმკერდი ამოწეული, ამის გამო სიარული — ამაყი. იმათგან, ვინც მას ახლოს არ იცნობდა, ხშირად გამიგონია, ამაყიაო, მაგრამ ასეთი სიარული სიამაყით კი არ იყო გამოწვეული, არამედ მისი ტანის კომპლექციით. სიარულშიც მეღავნდებოდა ტემპერამენტი, ენერგია და ვაქაცობა. თუ ალერსით შემოგხედავდა ან ხელს გადაგხვევდა, ნეტარებას განიცდიდი, მაგრამ გაჯავრებული, რომ იტყვიან, ნაპინჭრი დათვი თუ ფოცხვერი, სწორედ ისეთი იყო. რაც ხელში მოხვდებოდა, ყველაფერი იმტვრეოდა: მაგიდა, სკამი, სურა თუ სხვა რამე. როგორც ბავშვი ვეფხი გალიაში, ისე დადიოდა. ბაკურაულ ამყო, ასე გაშმაგებული უცებ დაცხრებოდა და მუშაობას განაგრძობდა. ყველას ეალერსებოდა, აქეზებდა. თუ ვისმეს გაუჯავრდებოდა მუშაობაში, მალე გაუვლიდა, შემდეგ მამაშვილურად მოხვევდა ხელს, ჩაიხუტებდა და, რაც არ უნდა ნაწყენი ყოფილიყავ, ყველაფერი გავიწყდებოდა.

როგორც შრომის, ისე მხატვრული დისციპლინის დამრღვევს ს. ახმეტელი სასტიკად სჯიდა. მუშაობის ასეთი რეჟიმი ჰქონდა: თერთმეტ საათს რომ ხუთი წუთი დააკლდებოდა, მსახიობები სარეპეტიციო დარბაზში უნდა ყოფილიყვნენ. თერთმეტ საათზე თანაშემწე პატარა ზარით ხელში კარებში იდგა. როგორც კი გამოჩნდებოდა ს. ახმეტელი, თანაშემწე ზარის წკარუნით გვანიშნებდა, საშა მოდისო. ყველანი ფეხზე ვიდექით. შემოვიდოდა თუ არა, უსიტყვოდ თავს დაგვიკრავდა და დღიურს მოითხოვდა. ყველანი გარშემო მიუსხდებოდნენ. რეპეტიციაზე ს. ახმეტელის შემოსვლის შემდეგ დარბაზში ვერავინ შემოვიდოდა. არ შეიძლებოდა გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეზე, წიგნის ან გაზეთის კითხვა ან ჩურჩული. ამ წესს ასრულებდა ყველა — დიდი თუ პატარა. ისე გაიელვიდა სარეპეტიციო დრო, რომ ამას ვერავინ ამჩნევდა, მხოლოდ თანაშემწე შეახსენებდა, რეპეტიციის დამთავრების დრო უკვე გავიდაო (ს. ახმეტელს საათი არასოდეს არ ჰქონია, ყოველ შემთხვევაში, არ ატარებდა) და ისიც უკმაყოფილოდ შეწყვეტდა მუშაობას.

ერთხელ დილის გაკვეთილების შემდეგ საუზმე ვერ მოვასწარით და რამდენიმე ახალგაზრდას დაგვაგვიანდა. ს. ახმეტელს უკვე დაეწყო რეპეტიცია. თანაშემწემ ჩუმად გვერდის კარი გაგვიღო და გვანიშნა, თითო-თითოდ შემოიპარეთო. ჩვენც ეს „ოპერაცია“ დიდი სიფრთხილით ჩავატარეთ, მაგრამ ახმეტელმა უცებ რეპეტიცია შეაჩერა და დაიძახა — „ა ნუკა, კატლეტჩიკი, ვსტანტე...“ და ჩვენც რიგში გამოვიჭიმეთ. რატომ დაიგვიანეთო, გვკითხა. ყველანი გაფითრებული ვიდექით, ხმის ამოღება ვერავინ გავბედეთ. უფროსმა თანაშემწემ შალიკო წერეთელმა მანიშნა, უპასუხეო. მეც წავილუღლუღე, ბუფეტში საუზმე დროზე არ მოგვცეს-მეთქი... გვაპატია.

ერთხელ „ლამარას“ წარმოდგენაზე მასის მონაწილე ახალგაზრდობამ დაგვაგვიანეთ. მეოთხე მოქმედებაში თორღვაის (მსახიობი ვალიკო აბაშიძე) მივყვებით იჩოს (მსახიობი აკაკი ხორავა) სახლ-კარის ასაკლებად და იჩოს მოსაკლავად. სცენაზე შევრბივართ, ვყვირით:

— სიკვდილი იჩოს!

მოვიდა ჩვენი შესვლის დრო, ვ. აბაშიძე ყვირის: — სიკვდილი იჩოს!.., მაგრამ სადაა მისი რაზმი! თორღვაი რამდენიმე კაცის თანხლებით შევიდა სცენაზე. ჩვენ ამ დროს გაცხარებული ჯამათი გვაქვს მოსართავ ოთახში. ვიღაცამ ჩამოგვძახა: თქვენი შესვლის დრო არის, სადა ხართო. ჩვენც ვიშიშვლეთ ხმლები და ყვირილით გავეშურეთ სცენისაკენ. მაგრამ, ვიდრე კულისებს მივაღწევდით, წარმოდგენა დამთავრდა და ფარდა დაეშვა. ს. ახმეტელი თავისი ლოჟიდან უყურებდა სპექტაკლს. ჩვენ ჯარისკაცებივით ჩავმწკრივდით მსახიობთა ფოიეში და ველოდებით, რით დამთავრდება ჩვენი ესოდენ დიდი დანაშაული. როგორც მარილის სვეტები, ისე გარინდული ვიდექით, როდესაც ახმეტელი შემოვიდა. ალბათ, არ ელოდა, რომ ჩვენ უკვე ვიგრძენით ჩვენი დანაშაული და მზად ვართ უსიტყვოდ მივიღოთ ყოველგვარი სასჯელი. გაჩერდა ჩვენს წინ. ყველა თავჩაქინდრული ვდგავართ, სუნთქვა შეკავებული.

— რა მოგვიდათ, რატომ დააგვიანეთ?! — ხმას არავინ იღებს.

— მურად! სად იყავით?!

— ჩვენ, ბატონო... ყველა ერთად ვიყავით, მე თეატრის ისტორიას ვუვებოდი (ვიცრუე), ესენი მისმენდნენ და... ამიტომ დავაგვიანეთ...

ახმეტელმა შემოსვლისთანავე იგრძნო, რომ ჩვენ შევიგნეთ დანაშაული, ველოდებით დასჯას. ამიტომ იყო, რომ არც ერთი ჩვენგანი არ დაძრულა ადგილიდან გრიმის მოსაცილებლად. წყნარად გვითხრა:

— წადით და ყურადღებით იყავით წარმოდგენის დროს. — ჩვენ ერთმანეთს ვეხვეოდით და ვულოცავდით გადარჩენას.

ერთ-ერთი სპექტაკლის დროს თანამშრომელს შარვალი დაეკარგა. თანაშემწემ გაგვაფრთხილა, წარმოდგენის შემდეგ ახალგაზრდები დარჩებითო. ჩვენც დაველოდეთ ს. ახმეტელს. საშა გაბრაზებული შემოვიდა, გადახედა ყველას და რუსულად თქვა:

— ავლაბრელები ცალკე დადექით!

გაცალკევდნენ ავლაბრელები, მაგრამ დავით ოქროსცვარიძე (ახლა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი) სავარძლიდან არ დაიძრა. ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ ის ავლაბრიდან იყო, საშამაც იცოდა და, რადგან არ გაჩერდა ავლაბრელების ჯგუფში, ყველამ მას შეეხედეთ.

— ა, ტი?! — მიმართა ს. ახმეტელმა.

ოქროსცვარიძე მძიმედ წამოდგა და მორიდებულად უთხრა:

— მე, ბატონო, ისნელი გახლავარ... (ისანი ავლაბრის ძველი სახელწოდებაა, ე. ი. მისი სიტყვის ქვეტექსტი ის იყო, რომ მე მასეთ რამეს არ ვიკადრებო).

ამის გაგონებაზე ს. ახმეტელს სიცილი აუვარდა, მობრუნდა და წავიდა. ოქროსცვარიძის მოხდენილმა პასუხმა ისე ძლიერად იმოქმედა მასზე, რომ ჩვენ ყველანი რისხვას გადავრჩით.

ს. ახმეტელს ძლიერ მოსწონდა აჭარული ცეკვები. ხშირად ყოფილა შეეთხვევა, რომ რეპეტიციას შეაჩერებდა და გვაცეკვებდა. აღტაცებული იყო „ხორუმის“, „გადახვეულის“ და „განდაგანის“ ილეთებით, გრაციით და განსაკუთრებით ცეკვის რიტმით. შეხვედრებსა და ბანკეტებზე ხშირად გვგზავნიდა საცეკვაოდ.

.გრანდიოზულად ჩატარდა რუსთაველის სახელობის თეატრის არსებობის ათი წლის იუბილე. იუბილე გაგრძელდა სამ დღეს. ყოველ საღამოს დარბაზში მაყურებლის სკამებზე იდო ცოცხალი ყვავილების პატარა თაიგული. ს. ახმეტელი ამბობდა: ყოველთვის მაყურებელს მოაქვს ჩვენთვის თაიგულები, ახლა ჩვენ მივართვათ ისინი ჩვენს მაყურებელსო.

თეატრის სცენა, კულისები და პარტერი გაერთიანებული იყო, ფარდა არ იხურებოდა. მსახიობები და მაყურებლები არეული იყვნენ ერთმანეთში. არტისტები წარმოდგენას პირდაპირ პარტერიდან .იწყებდნენ. შესვენების დროს იმართებოდა ცეკვები, სიმღერები და სრულდებოდა საესტრადო ნომრები. ე. აფხაიძე დადიოდა პარტერში, ხან ფოიეში და კითხულობდა „აჯაბსანდალს“. საკონცერტო დარბაზში ლამარა (მსახიობი თამარ წულუკიძე) უვლიდა „ქისტურს“ მაყურებლებთან ერთად. ამ დროს შეიარაღებული თორღვაი (მსახიობი ვ. აბაშიძე) თავისი ამხანაგებით დაესხმოდა თავს. შეახვევდნენ ნაბადში, გაიტაცებდნენ, ნადავლით პარტერიდან სცენაზე ავიდოდნენ და იწყებოდა „ლამარას“ მეორე მოქმედება. სპექტაკლებში დუბლიორებიც იღებდნენ მონაწილეობას, სხვადასხვა სურათში სხვადასხვა შემადგენლობა გამოდიოდა. ეს იყო თეატრისა და მაყურებლის ზეიმის აპოთეოზი. ზემო სართულში, ს. ახმეტელის ბინაზე, გაშლილი იყო სუფრა და სამი დღის მანძილზე ცნობილი პოეტი და თეატრის მეგობარი პაოლო იაშვილი უცვლელი თამადა იყო. ამ იუბილეზე სანდრო ახმეტელს, აგრეთვე მსახიობებს გ. დავითაშვილს, ა. ვასაძეს და ა. ხორავას მიანიჭეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება. გარდა ამისა, ახმეტელი დააჯილდოვეს მსუბუქი ავტომანქანით.

1934 წლის შვებულება და მოსამზადებელი

პერიოდი თეატრის კოლექტივმა გაატარა ბაკურიანის ხეობაში. თეატრმა აქვე გახსნა საკუთარი სასადილო, პურის საცხობი თონე და სხვ. ს. ახმეტელს სურდა ამ ხეობაში თეატრისათვის აეშენებინა აგარაკი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა დასვენებაც და მუშაობაც. ამ მიზნით ვარჩევდით ყველაზე მოხერხებულ ადგილს. ბოლოს, ს. ახმეტელმა ამოირჩია, სადგურ საკოჭაოდან სამხრეთ-დასავლეთით ხუთ კილომეტრზე მშვენიერი ნაძვნარით, კარგი წყაროებითა და მზის სიუხვით შემკული ვაკე. მხოლოდ საჭირო იყო ხუთ კილომეტრზე რკინიგზის ხაზის გაყვანა. ამ მიზნით ს. ახმეტელმა თბილისიდან საგანგებოდ ჩამოიყვანა სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ბუდუ მდივანი, რომელმაც აღუთქვა რკინიგზის ხაზის გაყვანა და აგარაკის აშენება.

ერთ საღამოს მთელი კოლექტივი ვბრუნდებოდით მომავალი აგარაკიდან. რკინიგზის ხაზზე გადასვლისას ს. ახმეტელი უცებ შეჩერდა. „ბიჭებო! — წამოიძახა მან, — ეს მდებარეობა ხომ „ანზორის“ მეოთხე მოქმედებაა?..“

მართლაც, ზუსტი დამთხვევა იყო.

— აბა, დავიწყოთ! — დაიძახა და ჩვენც მოვნახეთ ჩვენი ადგილები. დაიწყო მოქმედება. ჯავშნოსანის კაპიტანი ჩინელას მაჭიერ გ. დავითაშვილმა „მოჰკლა“, რადგან მას აღმოაჩნდა ჯიბეში პატარა რევოლვერი. დამთავრდა წარმოდგენა. მაყურებლებიც შეგროვილიყვნენ და განცვიფრებით შემოგვცქეროდნენ. ვერ მიმხვდარიყვნენ რა ხდებოდა იქ, ან ჩვენ ვინ ვიყავით!

დიდი ინტენსიური და დაძაბული მუშაობა ჩაატარა ახმეტელმა ფ. შილერის „ინ ტირანოსზე“. ამიტომაც იყო, რომ 1932-1933 წლის სეზონში სხვა პრემიერა არ დაუდგამს თეატრს. ს. ახმეტელს მაგიდასთან მუშაობა არ უყვარდა, ტექსტს გაასწორებდა, დამოკიდებულებას გაარკვევდა პარტნიორებს შორის და გადავიდოდა მიზანსცენებზე. რა თქმა უნდა, ამას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა — შილერის ეპოქის, მემკვიდრეობისა და შემოქმედების გაცნობა და სხვ.

რატომ აირჩია ს. ახმეტელმა დასავლეთ ევროპის კლასიკოსებიდან ფ. შილერი და ფ. შილერის ნაწარმოებებიდან „ინ ტირანოსი“? ს. ახმეტელმა თავისი მხატვრული მუშაობის პრაქტიკაში დაადგოვა საკმაო გამოცდილება, გაარკვია და ჩამოაყალიბა სცენური ხელოვნების სისტემა და აქტიორული ხელოვნების ახალი მეთოდით თეატრს საკუთარი მხატვრული სახე მისცა. ამ გარკვეული და ჩამოყალიბებული მეთოდის გამოყენებით განახორციელა მან ისეთი თანამედროვე პიესები, როგორიც იყო პ. სამსონიძის „სალტე“, ს. შანშიაშვილის „ანზორი“, ა. მირცხულავა-მაშაშვილის „[illegible]“, ვ. კორშონის „ქართა ქალაქი“ [illegible] ბით ს. ახმეტელმა დაამტკიცა, რომ თეატრის მხატვრული ორიენტაცია სწორი იყო. რევოლუციურ დრამატურგიაზე შემუშავებული მეთოდი ს. ახმეტელმა შეამოწმა კლასიკურ მასალაზე. „ინ ტირანოსში“ მკაფიოდ ჩანს „შტურმ უნდ დრანგის“ ეპოქის იდეები, მეთვრამეტე საუკუნის გერმანელი ახალგაზრდობის ბრძოლა ტირანების წინააღმდეგ. ამდენად „ინ ტირანოსი“ ყველაზე უფრო ახლოს იდგა რუსთაველის სახელობის თეატრის სულთან.

ს. ახმეტელს ჩვეულება ჰქონდა: რომელი სურათიც უფრო მოსწონდა, სწორედ იქიდან დაიწყებდა პიესის მომზადებას. „ინ ტირანოსში“ ასეთი სურათი იყო ტავერნა — ლუდხანა. პიესის მომზადებაც აქედან დაიწყო. სურათში 24 სტუდენტი ვმონაწილეობდით. ლუდხანაში, ზემოთ, აივანივით იყო გამოწეული, სადაც ერთი სასადილო მაგიდა იდგა. მე სწორედ ამ ჯგუფში მოვხვდი. სარეპეტიციო დარბაზში პირობითი დეკორაციები იდგა. ჩემი ადგილი იატაკიდან რამდენიმე მეტრს აღწევდა. კედელზე უშანგი ჩხეიძეს მიეწერია „ლამარას“ რეპეტიციების თარიღები. მისი წარწერის გვერდით მეც დავიწყე თარიღების აღნიშვნა. კარლ მოორის ყველა სიტყვას სურათის მონაწილე ყველა სტუდენტი ვეხმაურებოდით, ზოგი ეთანხმებოდა, ზოგი არა, ნაწილი სხვა გზას მოითხოვდა და ა. შ. თვითეულის მოძრაობა უნდა ყოფილიყო განსხვავებული. ყველა მიზანსცენას თუ მოძრაობას ახმეტელი თვითონ გვიჩვენებდა. ხან მაგიდაზე ახტებოდა, ხან იატაკზე გორავდა, ხან რას აკეთებდა და ხან რას. ამოწმებდა, გვისწორებდა და გადადიოდა შემდეგ ეპიზოდზე. როდესაც სურათის შავად მომზადება მოათავა, თქვა, ხვალ შემდეგი სურათი იქნებაო. მე დავთვალე ჩატარებული რეპეტიციების დღეები ამ სურათზე და გამოვიდა ოცდაცამეტი დღე.

როდესაც ცალკეული სცენები ასე დავამუშავეთ, დაიწყო მთელი პიესის რეპეტიციები. საინტერესოა ერთი შემთხვევა, რაც „ინ ტირანოსის“ გენერალურ რეპეტიციაზე მოხდა. მსახიობი ელგუჯა ლორთქიფანიძე კიბეზე დაცურდა, დაეცა და ბარძაყის ძვალი გადაუტყდა. ერთი დღის შემდეგ კი პრემიერა გადიოდა. დილით შევიკრიბეთ სცენაზე. აი საშაც გამოჩნდა პარტერში. სიჩუმეა... ელგუჯასადმი სიყვარული დუმილით გამოხატა ყველამ.

— თუ ელგუჯა გიყვართ, — თქვა ახმეტელმა, — მისი სიყვარულის აღსანიშნავად ხვალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერას წარმოვადგენთ! — და ელგუჯას როლი დააკისრა ვანო ლაღიძეს.

როგორც ცნობილია, „ინ ტირანოსი“ ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი საეტაპო სპექტაკლია, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო საქართველოში — მან მოხიბლა მოსკოვისა და ლენინგრადის მაყურებელიც. სპექტაკლის დიდ წარმატებაზე ისიც მეტყველებს, რომ იმავე სეზონში მესამესე სპექტაკლი ვითამაშეთ.

1933 წელს რუსთაველის თეატრი თითქმის საშ თვეს იმყოფებოდა გასტროლებზე მოსკოვსა და ლენინგრადში. რუსთაველის თეატრისათვის ეს მეორე გასტროლი იყო მოსკოვში. პირველად, 1930 წელს, მოსკოველები მოხიბლა რუსთაველის თეატრმა, ახლა კი დამატებით ვაჩვენებდით ფ. შილერის „ინ ტირანოსს“ და შ. დადიანის „თეთნულს“. ეს იყო ქართული თეატრის ზეიმი მოსკოვსა და ლენინგრადში. შეხვედრებზე, დისპუტებსა და ბანკეტებზე უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევდნენ თეატრს. ლენინგრადში ოცდაათი სპექტაკლი მთლიანად იყიდეს პროფკავშირებმა. ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანმა ს. მ. კიროვმა პირადად მიიღო ს. ახმეტელი სმოლნში და ყველაფრით უზრუნველყო თეატრი.

მე პირველად მივდიოდი მოსკოვში. მგზავრობისათვის სხვების წაბაძვით მეც მოვემზადე, ვიყიდე სამგზავროდ ღვინო და სურსათი. ღვინო მანამდე არასოდეს არ დამილევია, არ ვიცოდი რა იყო სიმთვრალე. მცირე ჯგუფმა გავშალეთ სუფრა და მეც შევექეცი ნუნუას. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ ყველას ვეპატიჟებოდი ღვინოზე, შემდეგ ვძალადობდი, ბოლოს, მატარებლიდანაც კი ვხტებოდი თურმე.

მე ვიცოდი, რომ ახმეტელი სიმთვრალეს მკაცრად სდევნიდა.. ამის გამო თვითონაც არ სვამდა. მან გაიგო ჩემი სიმთვრალე მგზავრობის დროს, ბევრი იცინა და თანაც ასე მომმართა: არ გრცხვენია, „თათარი“ ღვინოს სვამო? — მე არაფერი ვუპასუხე. — დასათრობად ღვინო არასოდეს არ დალიო, ოღონდ ეროვნულიც რომ იყო, თეატრში არ მოხვიდეო. — ეს დავალებას მე დღემდე მტკიცედ ვასრულებ.

განუსაზღვრელი იყო ს. ახმეტელის ზრუნვა და სიყვარული თეატრის ყველა მუშაკის მიმართ. ერთხელ ე. აფხაიძე ავად იყო და სამკურნალოდ მოსკოვში იმყოფებოდა. და აი ახმეტელმა რეპეტიციაზე გამოგვიცხადა, ყველამ მისწერეთ გამამხნევებელი წერილი და ქვითარი მაჩვენეთო..

ს. ახმეტელისა და კ. მარჯანიშვილის ურთიერთობას სხვები ჩემზე უკეთ გაარკვევენ. მე მინდა მხოლოდ აღვნიშნო, თუ როგორ იმოქმედა მასზე კ. მარჯანიშვილის უეცარმა სიკვდილმა. ს. ახმეტელი რეპეტიციას გადიოდა, იქნებოდა დღის თორმეტი საათი. უცებ გაიღო კარი და შემოვიდა მსახიობი დ. მჟავია. რეპეტიციაზე ასეთ დროს შემოსვლა უჩვეულო იყო.

— ალექსანდრ ვასილიჩ, — თქვა მან, — კოტე მოკვდა!..

ყველა სახტად დავრჩით. მზერა ახმეტელზე გადავიტანეთ. მას კი სახეზე ნაცრისფერი დაედო, გაშრა და რამდენიმე ხანს იყო თვალებგაშტერებული, შემდეგ ძლივძლივობით წამოდგა და ჩაილაპარაკა: დღეს რეპეტიცია აღარ შედგებაო. მერე შევიდა კაბინეტში. დიდხანს არ გამოსულა იქიდან და არც არავინ არ მიუღია. მთელი თეატრი ესწრებოდა კ. მარჯანიშვილის პანაშვიდებს, ახმეტელი გაფითრებული იჯდა სცენაზე, არავის არ ელაპარაკებოდა. საერთოდ იმ ხანებში ძალიან უხასიათობა დაეტყო.

ყველა ბეჯითი მოწაფე ცდილობს თავისი მასწავლებლისაგან შეითვისოს რაც შეიძლება მეტი, ამავე დროს ცდილობს მიბაძოს თავის მასწავლებელს ცხოვრებაში, ქცევაში, ჩაცმაში, უბრალოებაში, სიყვარულსა თუ თავაზიანობაში, ერთგულებასა და შრომის სიყვარულში. მე ძალიან შორს ვარ ჩემი მონაცემებით და შესაძლებლობით ჩემი მასწავლებლისაგან, მაგრამ თუ კი რამ კარგია ჩემში, მე მას ჩემს საყვარელ მასწავლებელსა და მეგობარს სანდრო ახმეტელს ვუმადლი.

რომანი პარტიული ხელმძღვანელობის სტილის შესახებ

თავის რომანში „მოუსვენარი ადამიანები“ მწერალმა კაპიტონ რუსიძემ აღძრა მეტად აქტუალური საკითხი პარტიული ხელმძღვანელობის სტილის შესახებ და შეეცადა იგი გადაეწყვიტა იმ ახალი მოთხოვნების საფუძველზე, რომლებიც მოცემულია პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში. ეს ცდა ერთ-ერთი პირველია ქართულ საბჭოთა მწერლობაში და უპირველეს ყოვლისა ამან განაპირობა მკითხველთა დიდი ინტერესი. მწერალს მკითხველებისაგან მოსდის ბევრი წერილი, რომლებშიც ისინი გამოთქვამენ თავიანთ აზრს ნაწარმოების გმირებზე, იწონებენ ან იწუნებენ მათ საქციელს, აძლევენ ავტორს საყურადღებო რჩევას, აღნიშნავენ თხზულების როგორც ღირსებას, ისე ნაკლოვანებებს. ეს იმას მოწმობს, რომ ნაწარმოების გმირები ახლობელია მკითხველებისათვის და მწვავედ განიცდიან მათი სულიერი ცხოვრების ყველა ნუანსს, სურთ ისინი იხილონ განწმენდილნი სერიოზული, არსებითი ნაკლოვანებებისაგან, რომლებიც ხელს უშლიან მათ, ნაწარმოების ცალკეულ გმირებს, მთელი ნიჭი, უნარი და ენერგია მოახმარონ მშობლიურ ხალხს, კომუნიზმის დიად საქმეს.

ნაწარმოების ცენტრშია ორი კომუნისტი — ახალგაზრდა მალხაზ ვაშაყმაძე და ძველი პარტიული მუშაკი აქვსენტი ნებიერიძე. პირველს აქვს ის, რაც აკლია მეორეს — ახალგაზრდული შემართება და ენერგია, სწრაფვა სიახლისაკენ, ხოლო მეორე ფლობს იმას, რაც აკლია პირველს, — გამოცდილება. მაგრამ მათ შორის კონფლიქტს ქმნის არა ეს, არამედ ხელმძღვანელობის არსის სულ სხვადასხვაგვარი გაგება.

აქვსენტი ნებიერიძე ფიქრობდა, რომ მარტო იგი, როგორც პარტიის რაიკომის პირველი მდივანი, აგებდა პასუხს რაიონში არსებული მდგომარეობისათვის და ეყრდნობოდა არა ფართო აქტივს, არამედ ხელმძღვანელთა ძლიერ ვიწრო წრეს. იგი რაიკომის მდივნის ავტორიტეტის შელახვად თვლიდა „სიტყვის შებრუნებას“, რაიმე წინააღმდეგობას, ჩაიკეტა კაბინეტში და რაიონს ხელმძღვანელობდა ე. წ. რწმუნებულთა საშუალებით, რითაც ფაქტიურად ამცირებდა რიგითი მუშაკებისა და ძირეული რგოლის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობასა და როლს. თვითონ ერთპიროვნულად წყვეტდა ყველა საკითხს, რასაც არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა სერიოზული ნაკლოვანებები, ჩავარდნები და შეცდომები. ხელმძღვანელობის ასეთი მანკიერი სტილი ბოქავდა მასების ინიციატივას, ნერგავდა უპრინციპობას, მლიქვნელობას, პარადულ ხმაურს, იწვევდა თვითნებობასა და უკანონობას, რევოლუციური კანონიერების უხეშ დარღვევებს. ყოველივე ამის გამო აქვსენტი ნებიერიძის პარტიული მუშაობის „გამოცდილებას“ არსებითად მხოლოდ ზიანი მოჰქონდა და არა სარგებლობა.

ბუნებრივია, რომ სპეტაკი, უანგარო კომუნისტი მალხაზ ვაშაყმაძე ვერ შეურიგდებოდა ხელმძღვანელობის ასეთ ბიუროკრატულ-კანცელარიულ მეთოდსა და სტილს და აღსდგა მის წინააღმდეგ. როგორც რესპუბლიკური გაზეთის კორესპონდენტი, იგი გაბედულად ამხილებდა რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, პარტიის რაიკომის მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებს, მოითხოვდა ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების დაცვას.

ამ გზაზე მალხაზ ვაშაყმაძე წააწყდა აქვსენტი ნებიერიძის სასტიკ წინააღმდეგობას. ნებიერიძეს ეგონა, რომ ვაშაყმაძეს ამოძრავებდა პირადი ინტერესები და ინტრიგანად სთვლიდა ახალგაზრდა კომუნისტს. მას შემდეგაც კი, რაც გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება, რომელიც გმობდა ხელმძღვანელობის

ფართოდ გავრცელებულ ბიუროკრატულ-კანცელარიულ სტილს, ნებიერიძემ, თუმცა შეეცადა, ვერ შეძლო გამოსთხოვებოდა ხელ-მძღვანელობის მანკიერ მეთოდებს და კიდევ უფრო გააძლიერა ბრძოლა ვაშაყმაძის წინააღმდეგ, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ყოველ-გვარი გამოვლინების წინააღმდეგ. იგი სამუშაოდან ხსნიდა „ურჩებს“ და აწინაურებდა მლიქვნელებს, მაამებლებს. მალე კონფლიქტმა მიაღწია თავის მწვერვალს — ნებიერიძემ შეთითხნილი „მასალების“ საფუძველზე პარტიიდან გარიცხა და სამუშაოდან მოხსნა მალხაზ ვაშაყმაძე. მაგრამ ამ საქმეში მას არ შეიძ-ლებოდა ჰქონოდა ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერა. კომისიამ უდანაშაულოდ ცნო ვა-შაყმაძე და აღადგინა იგი თავის უფლებებში, ხოლო პარტიის რაიკომის პლენუმმა ნებიერიძე აღარ აირჩია რაიკომის მდივნად. ეს პოსტი მან მალხაზ ვაშაყმაძეს მიანდო. ასე გაიმარჯვა ხელ-მძღვანელობის ლენინურმა სტილმა ბიუროკრა-ტულ-კანცელარიულ სტილზე.

ნაწარმოების ამ დედააზრის ხორცშესასხ-მელად მწერალი შეეცადა კონფლიქტი მალხაზ ვაშაყმაძესა და აქსენტი ნებიერიძეს შორის გაეშალა არა მარტო შრომითი, არამედ ყოფი-თი მასალების მომარჯვებითაც. ამის შედეგად ორივე მხატვრულმა სახემ უდავოდ მოიგო — ორივე უფრო ცხოვრებისეული გახდა, მათ-ში მკითხველი ნათლად ხედავს ადამიანებს თა-ვიანთი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით. და მაინც, მწერალს აქსენტი ნებიერიძის მხატვ-რული სახე უფრო სრულყოფილი, სისხლსავსე გამოუვიდა, ვიდრე მალხაზ ვაშაყმაძისა. ჩვენი აზრით, ეს იმიტომ მოხდა, რომ მწერალი ზედ-მეტად გაიტაცა ყოფითმა თემამ, ნაწარმოებში შემოიტანა ისეთი რეალები, რომლებმაც ერთგვარად შებოჭეს მალხაზ ვაშაყმაძე. დედის დარიგებამ და ეჭვმა დედის ცხოვრებაში რა-ღაც საიდუმლოს შესახებ იგი გაორებული და ზოგჯერ გაუბედავიც გახადა.

კოლმეურნეებმა ისე გადაირჩიეს არტე-ლის თავმჯდომარე კუჭუხიძე, რომ მალხაზ ვაშაყმაძეს ფაქტიურად არავითარი მონაწი-ლეობა არ მიუღია სოფლისათვის ამ უმნიშვნე-ლოვანესი საკითხის გადაჭრაში. იგი შეეცადა საკითხი „შეეთანხმებინა“ ნებიერიძისათვის, მაგრამ, ვიდრე ამის ცდაში იყო, კოლმეურნე-ებმა აირჩიეს არტელის ახალი თავმჯდომარეც. გაბედულ ადამიანს, კომუნისტ-ლენინელს, რო-გორადაც მწერალს სურს წარმოგვიდგინოს ვაშაყმაძე, არ შეეფერებოდა არც ის, რომ რაიკომის ბიუროს სხდომაზე ვერ შეძლო ვერც უდანაშაულო კოლმეურნეთა და ვერც საკუთარი თავის დაცვა. კიდევ მეტი, მან უარი უთხრა კორესპონდენტ ხელაძეს დაებეჭდა ფე-ლეტონი, რომელიც აკრიტიკებდა თანამშრომლების მოყვარულთ „გვარის დაუსახელებლად“ ურჩია იგი გაეგზავნა რესპუბლიკური გაზეთი-სათვის, რამდენადაც... თურმე ნუ იტყვით, ფელეტონში შეიძლებოდა გამოეცნოთ აქსენ-ტი ნებიერიძე. მტკიცე ლენინელს არ შეფერის ის სულიერი დეპრესიაც, რაც მალხაზმა განიცა-და, როცა პარტიიდან გარიცხეს, სამუ-შაოდან მოხსნეს და ა. შ.

რა თქმა უნდა, დადებით გმირსაც შეიძ-ლება ჰქონდეს ნაკლოვანებები, მის ხასიათშიც შეინიშნებოდეს ბზარები, მაგრამ თუ ეს ნაკ-ლოვანებები, ეს ბზარები არსებითია, უაღრე-სად პრინციპულია, მაშინ მდგომარეობა იცვ-ლება და დადებითი გმირი შეიძლება აღარ აღ-მოჩნდეს დადებითი. სამწუხაროდ, მწერალმა ანგარიში არ გაუწია ამას და იმის ცდაში, რომ რაც შეიძლება „ადამიანური“ გაეხადა მალხაზ ვაშაყმაძე, გადააჭარბა და უდავოდ გააფერ-მკრთალა მხატვრული სახე.

ნაწარმოების დანარჩენი გმირების უმრავ-ლესობა ასე თუ ისე ემსახურება ამ ორი მხა-ტვრული სახის გახსნას, რის გამოც ბევრი მათგანი მოკლებულია ინდივიდუალობას, სა-კუთარ „მეობას“. რით შეიძლება, მაგალითად, მკითხველს დაამახსოვრდეს რაიკომის მდივანი ლოლა ჩიტაშვილი? ასევე „სტატისტის“ როლი დააკისრა მწერალმა არჩილ ნიკოლაიშვილს, ლევან სიხარულიძესა და სხვებს, ხოლო აგრო-ნომ თინათინის სახე ხელოვნურად გააღარიბა მისი და მალხაზის სიყვარულის რაღაც „გა-საიდუმლოებით“, წინააღმდეგობის შექმნისადმი მისწრაფებით. რატომ დასჭირდა თინათინს უარი ეთქვა მალხაზის წინადადებაზე ერთად ევლოთ ცხოვრებაში? ასეთი პასუხი არ გამომ-დინარეობდა არც მოვლენათა მსვლელობიდან და არც თინათინის მხატვრული სახის განვითა-რების ინტერესებიდან. მაგრამ იგი დასჭირდა მწერალს, რათა ამით გაემწვავებინა მალხაზ ვაშაყმაძის სულიერი დრამა. ერთი სახის ასე-თი დაქვემდებარება მეორე — მთავარი სახი-სადმი არ შეიძლება გამართლებულად მივიჩნი-ოთ. ერთი მხრივ, იგი აფერმკრთალებს „დაქ-ვემდებარებულ“ სახეს, ხოლო, მეორე მხრივ, ასუსტებს მთლიანად ნაწარმოების დამაჯერებ-ლობის ძალას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როცა მწერა-ლი ხელოვნურად არ უქვემდებარებს ერთ სა-ხეს მეორეს, იგი ახერხებს გამოძერწოს დასა-მახსოვრებელი სახეები ერთი-ორი ეპიზოდი-თაც კი. ასეთია, მაგალითად, მოხუცი ოლღა, იასონ მახარაძე, ანტონინა ივანოვნა, ტრაქტო-რისტი პიროგინი, თუმცა ამ უკანასკნელს

ძლიერ მცირე ადგილი უკავია ნაწარმოებში. მწერალს შეეძლო უფრო გაეღრმავებინა ეს საინტერესო მხატვრული სახე და დაეკისრებინა მისთვის გაცილებით მეტი როლი, ვიდრე ამჟამად უკავია მას. ამით მთლიანად ნაწარმოები უთუოდ მოიგებდა.

კომპოზიციურად ნაწარმოები კარგად არის შეკრული, თუმცა არა უნაკლოდ. ზოგიერთი ამბავი იწყება, მაგრამ აღარ ვითარდება, ზოგიერთი კი მეტად გაჭიანურებულია და არსებითად ანელებს მოქმედებას, ხელს არ უწყობს ძირითადი იდეის ხორცშესხმას. ძლიერ გაჭიანურებულია და ნაწარმოების განვითარების ინტერესებს არ შეესაბამება, მაგალითად, მალხაზის დედის ლიას თავგადასავალი, რომელიც ცალკე ნაწილის სახითაა წარმოდგენილი და 60 გვერდი უკავია. ამავე დროს ნაწარმოებში საკმაო ადგილი არ უჭირავს ხალხთა მეგობრობის თემას, თუმცა მწერალი შეეცადა მხედველობიდან არ გამორჩენოდა საკოლმეურნეო სოფლის ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა. ეს კოლმეურნეებს, რომლებიც სოციალისტური შეჯიბრებაში არიან ჩაბმული ქართველ თანამოსაქმეებთან, მკითხველი ხედავს მხოლოდ მაგიდის გარშემო. საჭირო კი იყო მწერალს ეჩვენებინა ორი მოძმე რესპუბლიკის კოლმეურნეობათა შეჯიბრების, ხალხთა მეგობრობის დიადი ძალა კომუნიზმის მშენებლობაში, სოფლის მთელ ცხოვრებაში. ნაწარმოების მეორე ნაწილში მწერალმა უთუოდ უნდა გაითვალისწინოს ეს და სათანადო ადგილი დაუთმოს ამ მეტად საჭირო და უმნიშვნელოვანეს თემას.

„მოუსვენარი ადამიანები“, მიუხედავად ამ ხარვეზებისა, მწერლის შემოქმედებითი გამარჯვებაა. იგი ეხმარება მკითხველს სწორად გაიგოს პარტიული მუშაობის სტილის განუწყვეტელი სრულყოფისათვის პარტიის ბრძოლის უდიდესი მნიშვნელობა.

ძ. შავგულიძე.

სახელმწიფო მუზეუმის შრომების მეორე ტომი

აჭარის სახელმწიფო მუზეუმი დიდი ხანია სწავლობს ჩვენს რესპუბლიკაში დღემდე დაცულ მნიშვნელოვან ისტორიულ ძეგლებს. ხანგრძლივი და ნაყოფიერი კვლევის შედეგია მუზეუმის შესანიშნავი სამეცნიერო ფონდი, მაგრამ აჭარის ისტორიული და არქეოლოგიური შესწავლის მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. მუზეუმის დირექტორი ხ. ახვლედიანი „შრომების“ მეორე ტომის წინასიტყვაობაში მართებულად შენიშნავს, რომ აჭარაში ვერ ნახავთ სოფელს, სადაც მატერიალური კულტურის რაიმე ნაშთი არ იყოს შემორჩენილი.

როგორც ცნობილია, ანტიკური პერიოდის ჩვენამდე ასე თუ ისე დაცული ძეგლებიდან აღსანიშნავია ციხისძირის ციხე-სიმაგრე, რომელიც ბიზანტიურ მწერლობაში პეტრას სახელწოდებითაცაა ცნობილი.

პეტრას ციხეზე ბევრი დაწერილა, ბევრ ცნობილ მკვლევარს გამოუთქვამს თავისი შეხედულება, მაგრამ გასაკეთებელი და სათქმელი მაინც ბევრი დარჩა. ამ საკითხს მიეძღვნა მ. სულეიმანოვის ნაშრომი „პეტრას ციხე (ციხისძირი)“, რომლითაც იხსნება მუზეუმის „შრომების“ მეორე ტომი. მკვლევარს გამოუყენებია ბერძნულ-ბიზანტიური საისტორიო წყაროებში დაცული მასალები პეტრას ციხის შესახებ და მეცნიერულად გაუანალიზებია ისინი. იგი პეტრას ციხის ისტორიასთან მჭიდრო კავშირში განიხილავს როგორც ლაზიკის სამეფოს, ისე ბიზანტიისა და სპარსეთის სოციალურ-ეკონომიურ და ისტორიულ ვითარებას. კერძოდ, ნარკვევი ამომწურავად გადმოგვცემს ბიზანტია-სპარსეთის 528-532 წლების ომს. და ეს ბუნებრივიცაა. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლაზიკის სამეფოსათვის. როგორც საომარი ოპერაციების პლაცდარმმა, ლაზიკამ გარკვეული როლი შეასრულა ომის მსვლელობაში, ხოლო პეტრას ციხეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ლაზიკის სამეფოზე გაბატონებისათვის ბიზანტია-სპარსეთის ომში.

წინათ გაბატონებული იყო აზრი, თითქოს იუსტინიანესდროინდელი ბიზანტიის ძლიერების პერიოდში ბიზანტიელებმა ააშენეს ციხე-ქალაქი პეტრა, რომელიც მათ სჭირდებოდათ ლაზიკის სამეფოზე გავლენის მოსაპოვებლად. ამ ვერსიით პეტრას ციხე უნდა აეშენებინათ ბიზანტიელებს VI საუკუნის 40-50-იან წლებში, იუსტინიანეს მეფობის დროს. ასეთ შეხედულებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ პეტრას ციხე ლაზიკის სამეფოში ბიზანტიელთა ბატონობის პერიოდში „იუსტინიანეს ქალაქის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. მ. სულეიმანოვი კი დამაჯერებლად ადასტურებს, რომ პეტრა ადგილობრივ მკვიდრთ აუგიათ. ჯერ კიდევ ბიზანტიელთა შემოსვლამდე აქ არსებულა როგორც ციხე-სიმაგრე, ისე სავაჭრო ქალაქიც. ასე რომ ბიზანტიელებს მისი შემდგო-

მი გამაგრებისათვის უნდა ეზრუნათ მხოლოდ.

მ. სულეიმანოვის ეს გამოკვლევა კარგი შევსებაა პეტრას ციხის შესახებ დღემდე არსებული შრომებისა. იგი უთუოდ ხელს შეუწყობს პეტრას ციხის ისტორიის შემდგომ საფუძვლიან შესწავლას.

კრებულში დაბეჭდილია აგრეთვე ვ. სიჭინავას „ახალი ცნობები ციხისძირის (პეტრას) ისტორიისათვის". ავტორი ეყრდნობა საარქივო მასალას «Переписка по разработке камня из урочищ Цихисдзири», რომელიც დაცულია აჭარის სახელმწიფო არქივში და ეხება ბათუმის ნავსადგურის მშენებლობისათვის ქვის კარიერის შექმნას ციხისძირის რაიონში. ვ. სიჭინავა ცდილობს გაამაგროს ნ. ნ. გომანის ზეპირსიტყვიერი ცნობა ბათუმის ნავსადგურის მშენებლობის დროს პეტრას ციხის აფეთქების შესახებ (გომანის ეს ცნობა დაცულია აკად. ს. ჯანაშიას შრომაში), მაგრამ ამას რამდენადმე მნიშვნელოვანი კორექტივი ვერ შეაქვს პეტრას ციხის ისტორიის გაშუქებაში და სათაურიც პრეტენციოზულია.

კრებულში წარმოდგენილია მუზეუმის მეცნიერ მუშაკის შ. რუსიძის ნარკვევი „დარჩიძეებისა და შუახევის ციხე-სიმაგრეები". ავტორს ნარკვევზე მუშაობისას გამოუყენებია კომპლექსური ექსპედიციების დროს ხალხში შეგროვებული და მუზეუმის ფონდში დაცული მასალები. იგი საინტერესო ცნობებს აწვდის მკითხველს. მაგრამ ნაშრომს აქვს ნაკლოვანებებიც. მაგალითად, ავტორი შუახევის ციხის სახელწოდების გენეზისს სოფელ შუახევის სახელწოდების მიხედვით ადგენს, რადგანაც ეს ციხე სოფელ შუახევში მდებარეობსო. ჩვენი აზრით, ავტორი ცდება. ეს ციხე-სიმაგრე სოფელ ოქროპილაურთან მდებარეობს (შუახევი კი სასოფლო გაერთიანებაა). ამდენად სახელწოდების გენეზისის ასე ხელაღებით დადგენა არ არის გამართლებული. ამ საკითხს ხ. ახვლედიანმა თავის შრომებში კარგი გამოკვლევა მიუძღვნა (ორივე ციხეს იგი „ყალაბოინის" სახელწოდებით იხსენიებს). ცდება ავტორი, როცა წერს: აბუსერიძეთა მმართველობა აჭარაში 1240 წელს შეწყდაო (გვ. 65). როგორც ცნობილია, აბუსერიძეები აჭარაში 1266 წლამდე მთავრობდნენ, ე. ი. მანამ, სანამ აჭარაა მესხეთის პატრონი სარგის ჯაყელი დაეფლებოდა.

ნარკვევში ვხვდებით სტილისტიკურ ... თაე ადგილებს და ტავტოლოგიებს. ... გვერდზე ვკითხულობთ: „ციხის შიგნით, კლდეში ამოკვეთილია 3 მეტრი სიმაღლის ორმო, მისი ფუძე წრიულია, რომელიც თანდათან ფართოვდება და შუაზე გარშემოწერილობა მაქსიმუმ რადიუსს (!) აღწევს..." 66-ე გვერდზე ორჯერაა გამეორებული ხალხში შემონახული გადმოცემა „კუტი ჯარის" შესახებ და ა. შ.

„შრომებში" დაბეჭდილი გამოკვლევებისაგან თემატურად განსხვავდება მ. სვანიძისა და დ. ნაცვალაძის ნაშრომები.

მ. სვანიძის ნარკვევის „სამხრეთ საქართველოს (სამცხე-საათაბაგოს) ბრძოლის ისტორიიდან ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში" თემა ახალი არ არის. გარდა ამისა, თუმცა ნარკვევში ლაპარაკია სამცხე-საათაბაგოს მიტაცებაზე ოსმალო დამპყრობლების მიერ, მასში ერთხელაც არაა ნახსენები აჭარა და მისი მამაცი მოსახლეობის იმდროინდელი ბრძოლები. ამ პერიოდში კი თურქი დამპყრობლები ზედიზედ იჭრებოდნენ აჭარის ტერიტორიაზე და აქ სასტიკი ბრძოლები იმართებოდა.

„შრომები" მთავრდება დ. ნაცვალაძის ნარკვევით „მე-19 საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი აჭარის შესახებ". მკითხველს ახსოვს რამდენიმე საინტერესო სტატია ჩვენი გაზეთების ფურცლებზე, სადაც სხვადასხვა ავტორმა საკმაოდ ვრცლად გააშუქა ეს საკითხი. ამ სტატიებთან შედარებით დ. ნაცვალაძის ნარკვევი ახალს ბევრს არაფერს შეიცავს, მაგრამ მისი გამოქვეყნება მაინც მიზანშეწონილია, რადგანაც თავს უყრის დღემდე ასე თუ ისე ცნობილ მასალებს.

სასურველი იქნებოდა, ნარკვევებს მატერიალური ძეგლების ისტორიის შესახებ დართოდა ფოტომასალები. უნდა აღინიშნოს აგრეთვე „შრომების" მცირე ტირაჟი (1.000 ცალი).

ჯ. ჩხეიძე.

პატრიოტული ლექსები

სამშობლოს დიდი და ფაქიზი სიყვარული, ახალი ცხოვრების მშენებლობის პათოსი, აჭარის მდიდარი ბუნების პეიზაჟები და მისი ახალი ადამიანები — აი რა არის მთავარი პოეტ მამია ვარშანიძის ლექსთა ახალ კრებულში „შენს მზეს ვფიცავ".

კრებული იხსნება დედისადმი მიძღვნილი ლექსით „დედის ნანა", რომელშიც მშობლის უნაზესი სიყვარულის გრძნობა ორგანულად ერწყმის პატრიოტულ გრძნობას, რაც მას ემოციურ ძალას ანიჭებს. აჭარელ დედას დიდი ისტორიული მისიის შესრულება ხვდა წი-

ლად—თაობების ეროვნული-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა. მადლიანი ქართული ენა დედამ შემოინახა და თავის პირმშოს აკვნიდანვე შთაუნერგა. სინანულით იგონებს პოეტი ადრეგარდაცვლილ დედას, რომელმაც მისცა პოეტს ქართული, მშობლიური ენა და აზრი და ამით პირწმინდად აღასრულა ქართველი დედის ვალი.

...სხვა რა ექნა, ერისათვის
გული მომცა, ენა მომცა...
საქართველოს სიყვარულზე
მე რომ ასე მემღერება,
ყველა ეს მე დედამ მომცა.

აჭარის განახლებული სოფლის ახალი, მჩქეფარე ცხოვრება ჩანს ლექსებში „კახაბერი“, „შუამთობა“, „ბარათაული“, „გაზაფხული კლუბის ეზოში“, „მშობლიურო ჩემო კერავ“, „მარადიდი“ და სხვ. განსაკუთრებით საინტერესოა მაჭახელჰესის გახსნისადმი მიძღვნილი ლექსი „მიწაო, ვარსკვლავიანო!“ მასში პოეტი იგონებს წარსულს, როცა აქ — მაჭახლის ხეობაში კაჟიან თოფებს „მაჭახელას“ ამზადებდნენ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

თანადროულობის წარსულთან დაპირისპირების შემდეგ პოეტი დაასკვნის:

დღეს შენს აღმართებს, დაღმართებს
გრიგალი ვერ დაუბერავს,
აქ ილიჩი დგას მღიმარე,
მხრებით მზე მოჰყავს ბუმბერაზს.

ლექსის „სინათლის მბრძანებელი“ ლირიკული გმირი აჭარელი ახალგაზრდა ქალია, ელექტროინჟინერი, რომლის ხელმძღვანელობით სოფელს ელსადგური აუშენებია. ამასთან დაკავშირებულ სიხარულსა და განცდებს პოეტი ლაკონიურად, ხატოვანად გადმოგვცემს.

რამდენიმე სიმღერა უძღვნა პოეტმა ხალხთა ლენინურ მეგობრობას. მათგან ... „გაზაფხულის ბაღნარიდან“. ყველაფერი ძეიძლება დაბერდეს, ამბობს ავტორი, მაგრამ არ დაბერდება თარი, საზი, ჰიანური, მწყემსის სალამური, რომლებიც ხალხთა მარადიულ ძმობას უმღერიან.

ჩვენი ქვეყნის წარსულს ეხებიან ლექსები „ქაშუეთის ლერწამი“, „მერცხლის სიმღერა“, „უშიშა“, „მტკვარში მინდა ბანაობა“, ისინი გაჟღენთილია ეროვნულ-პატრიოტული გრძნობით.

პოემა „ხიხანის არწივის“ შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით, რადგან სარეცენზიო კრებულში მხოლოდ ნაწყვეტია წარმოდგენილი.

მ. ვარშანიძის სარეცენზიო წიგნი არაა დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან. ზოგან შეხვდებით „ჩავარდნილ“, ზერელედ დაწერილ სტრიქონებს. დასამუშავებელია, მაგალითად, ლექსი „ჯებირები ჭოროხის ნაპირებზე“. ლექსში არ ჩანს ხალხი, ჯებირის ამგები.

ლექსში „ხუთი და“ პოეტი ხუთი დის სხვადასხვა პროფესიას ასე ასურათებს:

მეოთხე თესავს თესლს „დედა ენის“,
ყოველ ანბანში სიცოცხლეს ხედავს,
მეხუთე დიდი შუქია ჩვენი,
ქვეყნის ბურჯია,
მას ჰქვია დედა.

გამოდის, რომ დედობა პროფესიაა.

ლექსების კრებული „შენს მზეს ვფიცავ“ უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯია მამია ვარშანიძის შემოქმედებაში.

გ. ურუშაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/V—58 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 6.
ემ 00702. შეკვეთის № 2103. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 3000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

Батумская типо-литография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Батуми, ул. Р. Люксембург, 22.

4 ЗЗб. /107

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литературули Аджара“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ